უშედეგობითაც კმაყოფილები A2

არასამთავრობოები ფოთის ტერმინალების ტენდერს აპროტესტებენ A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 16 აპრილი, 2003 წელი. №104 (316)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, ენერგეტიკოსები მთავრობას პრობლემების მოგვარებას სთხოვენ

მაშინ, როცა მთავრობამ და ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ, როგორც იქნა, საერთო ენა გამონახა და, საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული პრობლემების ერთობლივი განხილვის მიზნით, ყრილობაზე შეიკრიბა, ქვეყნის ენერგოსისტემაში ავარია მოხდა.

A4

## უცხოეთი

### არიელ შარონი კომპრომისისთვის მზად არის

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური რეალიების წარმოქმნას მისცა ბიძგი. ეს, პირველ რიგში, ისრაელ-პალესტინის ნახევარსაუკუნოვან კონფლიქტს შეეხება.

A5

## საზოგადოება

### სახარება უსინათლოებისთვის

“ინანებ ვიცი აქედან წასვლას, ხელს თუ არ გააყოლებ ამ ლამაზ ჩანთას”. ეს კოტე ყუბანეიშვილის მორიგი ექსპრომტი არ გეგონოთ. თბილისელი ბავშვების მიერ უცბად გარითმული მსგავსი სტროფები გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ გასაყიდად გამოფენილ უამრავ ნივთს ჰქონდა მიწერილი.

A6

## სამართალი

### მკვლელობა, რომლის გამოძიებასაც გავლენიანი ძალები ხელს უშლიან

საქმე, რომლის ძიებაც პროკურატურამ უკვე მეოთხედ დაიწყო, რამდენიმე დღის წინ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო კვლავ ჩიხში შევიდა. შემთხვევა, რომლის გამოძიებაც ვერა და ვერ დასრულდა, ზუსტად 9 წლის წინ, რუსთავში მოხდა.

A7

## პოლიტიკა

### ალექსანდრ ვაშჩენკო: აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი საქართველოს უშუქოდ, უგაზოდ და უწყლოდ დატოვებს

„24 საათთან“ საუბარში რუსეთის პარლამენტის გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის უფროსი ალექსეი ვაშჩეკნო, აფხაზეთში არ გამორიცხავს მოსკოვისათვის საიმედო პიროვნებების მოსვლას.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | წვიმა |
| ქუთაისი | 18 | მოღრუბლული |
| ბათუმი | 16 | მოღრუბლული |
| სოხუმი | 19 | მზიანი |
| ფოთი | 18 | ცვალებადი მოღრუბლულობა |
| თელავი | 9 | წვიმა |
| ზუგდიდი | 21 | ცვალებადი მოღრუბლულობა |
| გორი | 10 | წვიმა |
| ახმეტა | 10 | წვიმა |
| ჭიათურა | 14 | წვიმა |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.3248 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3928 |
| რუბლი | 0.0692 |

# გადამწყვეტი ბრძოლის წინ





საპარლამენტო დაპირისპირება.

*გუშინ პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებით შექმნილი სამთავრობო კომისიის წევრებმა საბოლოოდ “გააკეთილშობილეს” “შევარდნაძის ინიციატივად” წოდებული კანონპროექტი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ე.წ. პროფესიული მოდელით დაკომპლექტებას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ ამ პროექტის შესახებ პარლამენტის ოპოზიციურ ფრთას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, საგანგებო სესიაზე თემატური უმრავლესობა ყველაფერს ილონებს, რათა ამ ინიციატივას პრიორიტეტულის სტატუსი მიენიჭოს და დეპუტატებმა საარჩევნო კოდექსზე მსჯელობა სწორედ მისი განხილვით დაიწყონ. საგულისხმოა, რომ ამას პარლამენტის რეგლამენტიც ითხოვს, რადგან პრეზიდენტის ხელმოწერით პარლამენტში შესული ნებისმიერი კანონპროექტი რიგგარეშე განხილვას ექვემდებარება.*

თამარ მჭედლიშვილი

ამ კანონპროექტის მიხედვით, ცესკო ცხრაკაციანი იქნება. კომისიის შვიდ წევრს პარლამენტს დასამტკიცებლად პრეზიდენტი წარუდგენს, ხოლო თითო-თითო წევრს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების ხელმძღვანელები დანიშნავენ. იმისათვის, რომ პარლამენტმა კოდექსში ცვლილების შეტანა შეძლოს, 118 დეპუტატის თანხმობა იქნება საჭირო. ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში კი პრეზიდენტის თითოეულ პროტეჟეს დასამტკიცებლად მხოლოდ 79 დეპუტატის თანხმობა დასჭირდება.

სახელისუფლებო ფრაქციებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ

გაგრძელება A2 გვერდზე

# ერაყელები მომავალზე ვერ თანხმდებიან

*ბაღდადის შიიტებით დასახლებულ აღმოსავლეთ რაიონს "სადამ სიტის" სახელს უეჭველად გადაარქმევენ. ადგილობრივმა სასულიერო წრეებმა უკვე გამოაკრეს ახალი ფირნიშები, რომელზეც ამ ორმილიონიანი დასახლების ახალი სახელი "სადრ სიტია" აღნიშნული. შიიტების სასულიერო ლიდერი, დიდი აიათოლა სადრი, სადამმა 1999 წელს მოაკვლევინა. თავიდან ამ დასახლებას მისმა დამაარსებელმა, ერაყის პრეზიდენტმა, გენერალმა აბდელ-კარიმ კასემმა "რევოლუციის ქალაქი" უწოდა, შემდეგ მას, როგორც ვთქვით, “სადამ სიტი” დაერქვა, ახლა კი, ალბათ, "სადრ სიტიდ" იქცევა. სახელის ევოლუცია შეიძლება კარგად ასახავდეს მთელი ქვეყნის განვითარებას, რომელშიც სოციალისტური ექსპერიმენტი დიქტატურაში გადაიზარდა, ახლა კი შეიძლება ფუნდამენტალისტების ხელში აღმოჩნდეს. განვითარების მსგავსი გზა გაიარა ერაყის მეზობელმა ირანმაც.*

შოთა უტიაშვილი

"ჩვენ ვუბრძანებთ და ხალხი უნდა დაგვემორჩილოს: როცა ჩვენ ვეტყვით - ადექით, უნდა ადგნენ, როცა ვეტყვით - დაჯექით, უნდა დასხდნენ. სადამის დამხობის შემდეგ ხალხი მეჩეთებისაკენ შემობრუნდა," – განუცხადა "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს აღმოსავლეთ ბაღდადის ერთ-ერთი მეჩეთის იმამმა - შავკიმ.

გაგრძელება A5 გვერდზე

# დღეს ურჩ გადამხდელებს და ჩინოვნიკებს დასჯიან

*მთავრობის სხდომაზე დღეს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი იასე ზაუტაშვილი პრეზიდენტს ურჩ გადამხდელთა სიას წარუდგენს. ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილისგან კი საკადრო ცვლილებებს მოელიან, სავარაუდოდ, თანამდებობებს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალეკო ასლანიკაშვილი და საგანგებო ლეგიონის უფროსი თემურ ძიძიგური დატოვებენ.*

სოფო კვინტრაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ფინანსთა სამინისტროს ეწვია, სადაც გაფართოებული კოლეგიის სხდომა გაიმართა. შეხვედრის დასაწყისში ჯორბენაძემ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით საკმაოდ ზოგადი კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილება ფინანსთა მინისტრმა უნდა მიიღოს. ფინანსთა მინისტრს კი თავისი ახალგაზრდა ხელქვეითები არ ეთმობა, რაზეც მას ცალსახა განცხადებები არაერთხელ გაუკეთებია. (გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბაჟო დეპარტამენტის უფროსმა ალეკო ასლანიკაშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა. რაც შეეხება საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელს თემურ ძიძიგურს, მის მოვალეობას, უკვე ერთი თვეა, რაც მოადგილე ნუგზარ კახნიაური ასრულებს, ოფიციალური ვერსიით, ძიძიგურის ავადმყოფობის გამო).

გაგრძელება A4 გვერდზე

# „თბილავიამშენი” - როგორ მოვი(რ)გოთ ტენდერი

თეა გილიგაშვილი

“თბილავიამშენის” ისტორია მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იწყება. სსრკ-ს ხელისუფლებამ სამხედრო საავიაციო საწარმოს აშენება თბილისში, საავიაციო ძრავების ყოფილი ქარხნის ბაზაზე განიზრახა. 1941 წლის დეკემბერში, სევასტოპოლიდან და ტაგანროგიდან დანადგარები ჩამოიტანეს, 150 თანამშრომელი ჩამოიყვანეს და უკვე 20 დღეში საწარმომ თვითმფრინავების გამოშვება დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კი, თბილისის დიმიტროვის სახელობის 31-ე ქარხანა ფრონტზე გასაგზავნად დღე-ღამეში ხუთ საბრძოლო თვითმფრინავს აწყობდა. ომის დასრულების შემდეგაც, საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავების ახალი მოდელები პირველად თბილისის საავიაციო ქარხანაში იწყობოდა. საწარმოში 15 000-მდე ადამიანი მუშაობდა და თბილისს სსრკს-ს მთელ სივრცეში ავიამშენებლობის დარგის საუკეთესო სპეციალისტები ჰყავდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საავიაციო ქარხანასაც, ისევე, როგორც მძიმე მრეწველობის სხვა დარგებს, განადგურება ემუქრებოდა, თუმცა, 1998 წლიდან უკვე სააქციო საზოგადოება “თბილავიამშენი” ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საწარმოა. მისი შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება, ყოველწლიურად ქვეყანას ბიუჯეტში 37 მილიონ ლარს უხდის და თან თურქმენეთის თვითმფრინავების გარემონტებით ოდესღაც აღებულ ბუნებრივი აირის ვალსაც უსტუმრებს. საწარმო “საქართველოს რკინიგზისა” და “ფოთის პორტის” შემდეგ ყველაზე მსხვილი გადამხდელია. და კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო ცნობა: “თბილავიამშენის” წყალობით, ქვეყანაში თვითმფრინავების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს მხოლოდ ჯართის ექსპორტით შემოსული თანხა სჭარბობს.

გაგრძელება A3 გვერდზე



„თბილავიამშენის” საამქრო.

# ამერიკაში სერიოზულად ფიქრობენ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

**"არჩევნების წინ ალიანსს “გაერთიანებულ დემოკრატებთან” ჩამოვაყალიბებთ, რაც შეეხება “ახალ მემარჯვენეებს”, გაერთიანებაზე მათთანაც ვსაუბრობთ, თუმცა ჯერჯერობით თვითონ ისინი არ არიან ჩამოყალიბებული იმაზე, თუ რა უნდათ,"** - ეს იყო მთავარი ინფორმაცია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ვაშინგტონის ნიქსონის ცენტრში გამოსვლისას გააკეთა.

**"საბოლოო ჯამში ოპოზიციის ერთად ყოფნა დამოკიდებული იქნება იმ ზეწოლაზე, რომელსაც ხელისუფლება განახორციელებს. თუ ოპოზიცია იმდენად იგრძნობს ზეწოლას, რომ მიხვდება - ცალ-ცალკე ყველა დამარცხდება, მაშინ გაერთიანებისთვის უფრო მეტი მოტივაცია იარსებებს,"** - განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა ნიქსონის ცენტრში, რომელიც 1994 წელს ექსპრეზიდენტმა ნიქსონმა გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე დააარსა და დღეს, ვაშინგტონის რამდენიმე ანალიტიკურ ცენტრთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ორგანიზაციად ითვლება, ქართველი პოლიტიკოსის გამოსვლას კონგრესის, სახელმწიფო ხაზინის, სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, ამერიკის საგარეო ურთიერთობის საბჭოს, სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრის წარმომადგენლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

კითხვები, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს დაუსვეს, ძირითადად რამდენიმე მთავარ თემას შეეხო

გაგრძელება A2 გვერდზე

# სოხუმში მოსკოვის გავლენა ძლიერდება

სოფო ბუკია

*“დამერწმუნეთ, აფხაზეთში საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი, არ არის გამორიცხული, რომ იქ საქმე სროლამდეც მივიდეს. ჩვენ უნდა შევძლოთ, ეს მდგომარეობა ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ, საჭიროა მხოლოდ ზუსტად შევარჩიოთ შესაფერისი მომენტი. ერაყელებმა, რომლებიც ფანატიზმამდე იცავდნენ ჰუსეინს, ყოველგვარი გასროლის გარეშე ჩააბარეს ბაღდადი ამერიკელებს. ამგვარი ოპერაცია საჭიროა ჩვენი მხრიდანაც განხორციელდეს. აფხაზეთის უზენაეს საბჭოს ამასთან დაკავშირებით არაერთი გეგმა აქვს შემუშავებული. ჩვენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჩვენი ვარიანტი შევთავაზეთ,” – აცხადებს თამაზ ნადარეიშვილი.*

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა კვლავ მთავრობის გარეშე რჩება.

უახლოეს დღეებში არძინბამ პრემიერ გენადი გაგულიას შემცვლელი უნდა მოუძებნოს. აფხაზური მხარე, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს, ვინ ჩაუდგება სათავეში მთავრობას. როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ამბობს, პრემიერის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილება - ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა. ნადარეიშვილის თქმით, გაგულიას მთავრობაში დაბრუნება არძინბას “ამცახარასთან” კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს.

ოპოზიციური ორგანიზაცია “ამცახარა”, რომელიც ძირითადად რეზერვისტ მეომართაგან შედგება, ფართომასშტაბიანი ფორუმის ჩატარებით იმუქრება, სადაც, სავარაუდოდ, არძინბას ხელისუფლების მისამართით რადიკალური განცხადებები გაკეთდება. როგორც აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძე აცხადებს, ამ ორგანიზაციის წევრებს, ყოფილ მეომრებს, გარკვეული

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პრობლემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ერთ დღეს ორი ინციდენტი მოხდა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, სადაც საჩხერის სამთო მსროლელთა ბატალიონის ჯარისკაცები სამხედრო სწავლებას გადიან, გუშინ ორი ინციდენტი მოხდა. როგორც "ინტერ-პრესს" ქვემო ქართლის მხარის სამხედრო პროკურორმა მამუკა ცაავამ აცნობა, წვრთნების დროს ერთ-ერთ ჯარისკაცს ე.წ. საიმიტაციო ნაღმი აუფეთქდა. აფეთქების შედეგად სხეულის დამწვრობები მიიღეს საჩხერის ბატალიონის ჯარისკაცებმა - გია მუკბანიანმა, როინ ჯალაღონიამ და ნოდარ ბერიძემ. დაშავებულები ამჟამად თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში არიან მოთავსებული. პირველი უბედური შემთხვევა გუშინდელი წვრთნების მსვლელობისას დილით, "კომანდოს" ანტიტერორისტულ ბატალიონში მოხდა. 30 წლის კაპრალს ლუხუმ კოშაძეს ჭურვი აუფეთქდა, მძიმედ დაუზიანდა მარცხენა ხელი და სამხედრო ჰოსპიტალში ამპუტაცია გაუკეთდა. საზენიტო დანადგარ "ს-23"-ის ჭურვის აფეთქების მიზეზები დგინდება, მაგრამ ვინაიდან უბედური შემთხვევა სწავლების დროს მოხდა, სავარაუდოდ, რაიმე დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. *ინტერ-პრესი*

## საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურები პანკისის ხეობაში თანამშრომლობას აგრძელებენ

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური პანკისის ხეობის პრობლემასთან დაკავშირებით "ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესთა შესაბამისი ფორმატით" თანამშრომლობას აგრძელებენ. ამის შესახებ განუცხადა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ირაკლი ალასანიამ. მისი თქმით, პანკისის ხეობაში ადრე არსებული კრიმინოგენული ვითარების აღსაკვეთად, ქართული მხარე ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ კოორდინირებული ქმედებების შესახებ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებს. ამ გეგმაში უშიშროების სამინისტრო, სასაზღვრო და დაზვერვის დეპარტამენტები, ასევე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებია ჩართული, - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. პანკისის ხეობასთან დაკავშირებით პრევენციული ხასიათის ოპერატიული ზომები უკვე მიღებულია, - თქვა მან. ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ "ულელტეხილების გახსნის შემდეგ ბოევიკთა დიდ ნაკადს არ ელოდება". "ამასთან, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომლითაც პროვოკაციული მიზნით ბოევიკთა არცთუ დიდი ჯგუფი შესაძლოა საქართველოში გადმოვიდეს", - თქვა მან. "ამას შეიძლება, რუსეთის მხრიდან საჰაერო ან სხვა ტიპის აგრესია მოჰყვეს", - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. სწორედ ამიტომაც, პრევენციული ზომების ფარგლებში, რუსეთის სპეცსამსახურებთან მუშაობა მიმდინარეობს. პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება ამჟამად სტაბილურია და ადრინდელი სიტუაციის განმეორება გამორიცხულია, - თქვა მან. *პრაიმ-ნიუსი*

## თენგიზ სიგუა: შევარდნაძე პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებას შეეცდება

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა აცხადებს, რომ სახელისუფლებო წრეებში "არის მცდელობა", რომ 2005 წელს, ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო უფლებამოსილების გასვლის შემდეგ, ეს ინსტიტუტი გააუქმდეს და საქართველო გახდეს საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც შევარდნაძე ეცდება დაიკავოს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის ან პრემიერ-მინისტრის პოსტი. "შევარდნაძე იმდენად სკამის მოყვარულია, რომ თავისი ნებით პოლიტიკას არ ჩამოშორდება", - უთხრა პრაიმ-ნიუსს თენგიზ სიგუამ. მაგრამ, მისი აზრით, მომავალ პარლამენტში ძნელად მოიძებნებიან ძალები, რომლებიც მას ისევ პირველობას შესთავაზებენ. სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", რომელსაც შევარდნაძე ხელმძღვანელობს, წელს, შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობის მოპოვებას ვერ შეძლებს, რათა შემდეგ ხმების მოგროვებით, შევარდნაძის აქტიურ პოლიტიკაში დატოვების საკითხი გადაწყვიტონ, - თქვა მან. ამასთან, სიგუას თქმით, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** ირანი მზადაა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ჩაერთოს, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არ გამორიცხავს ერაყში, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** როგორც პრაიმ-ნიუსს "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერის, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** [illegible] "ახალი საქართველოსთვის" [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**ერევანი.** აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე [illegible] *პრაიმ-ნიუსი*

**თბილისი.** საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის [illegible] *მედია-ნიუსი*

**თბილისი.** რუსეთ-საქართველოს შორის [illegible] *მედია-ნიუსი*

**თბილისი.** სახალხო დამცველი [illegible] *მედია-ნიუსი*

# უშედეგობითაც კმაყოფილები

გიორგი ასანიშვილი

*2000 წლიდან მოყოლებული, ავსტრიის ქალაქ შლაინინგში სისტემატურად იმართება ქართულ-აფხაზური დიალოგი. შეხვედრები კონფიდენციალურია და რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღება ან ხელშეკრულების გაფორმებას არ ითვალისწინებს.*

შლაინინგის პროცესის ფორმატით, 5-12 აპრილს, ჰამბურგში (გერმანია) მხარეები უკვე მეათედ მოუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას. აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ გამართულ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის წევრებმა - ჰამლეტ ჭიპაშვილმა და პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზებთან გამართული ბოლო "რაუნდის" შედეგები მიმოიხილეს.

ჰამლეტ ჭიპაშვილის მტკიცებით, ბოლო სამი შეხვედრა ძალიან კონსტრუქციული იყო; თუმცა, პარლამენტარი ვერ აკონკრეტებს, რაში გამოიხატა დიალოგის პროდუქტიულობა. ფრაქცია "ალორძინების" წევრი მხოლოდ იმ საკითხებს ასახელებს, რომელზეც აფხაზურ მხარეს ესაუბრნენ. ესენია: აფხაზების პასპორტიზაცია, ლტოლვილების დაბრუნება, საკომუნიკაციო პრობლემები, ენერგეტიკის რეაბილიტაცია და სხვა. თუმცა, რომელ საკითხში იქნა მიღწეული წინსვლა, პროგრესი და "კონსტრუქციულობა", პრესკონფერენციაზე დამსწრე მასმედიისთვის გაუგებარი დარჩა.



*რამაზ კლიმიაშვილი, ჰამლეტ ჭიპაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი.*

**"აფხაზურ მხარესთან ძალიან საინტერესო დიალოგი მიდის, მაგრამ არ ხდება მისი იმპლემენტაცია. არადა, შედეგები უნდა ვეძებოთ არა უშუალოდ ამ შეხვედრებში, არამედ იმაში, თუ რამდენად მოახერხებენ ოფიციალური სრუქტურები დიალოგის დროს გამოთქმული ინიციატივების რეალიზებას,"** - "უშედეგო, მაგრამ საინტერესო" ღონისძიების შესახებ საუბრობს პაატა ზაქარეიშვილიც.

პრესკონფერენციის ინიციატორები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში შექმნილ სიძნელეებზე პასუხისმგებლობას მხოლოდ ქართულ მხარეს აკისრებენ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჰამლეტ ჭიპაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აფხაზების პასპორტიზაცია მთლიანად ქართული მხარის სინდისზეა: საწყალ აფხაზებს, თურმე, გარე სამყაროსთან კონტაქტების დამყარების საშუალება არ ჰქონიათ და იძულებულები გამხდარან, რუსული პასპორტების მიღებაზე დათანხმებულიყვნენ. **"მათთვის გაერო-ს ტიპის პასპორტები რომ მიგვეცა, საქმე აქამდე არ მივიდოდა და დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა,"** - ოფიციალური თბილისისკენ იშვერს ხელს "ალორძინების" წარმომადგენელი.

ცენტრალური ხელისუფლების კრიტიკა "ალორძინებას" რომ კარგად ეხერხება, გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. **"ეს ხელისუფლება აფხაზეთის საკითხს ვერ მოაგვარებს. ასეთი პრობლემები ცარიელი ლაქლაქით არ წყდება,"** - აღნიშნავს ჭიპაშვილი, რომელსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნის პრეზიდენტ შევარდნაძის გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ერაყის ომის დასრულების შემდეგ ამერიკა აფხაზეთისთვისაც მოიცლის. საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იქვე იმასაც დასძენს, რომ **"ამ განცხადებას აფხაზეთში ძალიან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა."**

**"აფხაზეთის საკითხი გადაიჭრება მხოლოდ სახალხო დიპლომატიის გზით; თანაც, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დღევანდელი მაფიოზური ხელისუფლებისგან გათავისუფლდება,"** - დეპუტატ გივი ბოლოთაშვილის ეს სიტყვები კი თავისუფლად შეიძლება გუშინდელი პრესკონფერენციის ლაიტმოტივად ჩაითვალოს.

# ახალგაზრდა მოქალაქ-სოციალისტ-ედეპელები საარჩევნო მარათონში ერთვებიან

ლენა მიქაძე

"მოქალაქეების", "სოციალისტების" და "ეროვნულ-დემოკრატების" ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერებმა გუშინ წინასაარჩევნო ბრძოლაში ოფიციალურად ჩაბმის შესახებ განაცხადეს. ამ ახალგაზრდული პარტიების საბჭოები დიდი გაერთიანების საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება. ახალგაზრდული ორგანიზაციები რომ ხელწამოსაკრავი ძალა არ არის, ამას გუშინდელ შეკრებაზე სამივე ორგანიზაციის ლიდერი ამტკიცებდა. ყველაზე მეტს კი მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ლადო ბოჟაძე ლაპარაკობდა.

ჯერ კიდევ 1994 წელს დაარსებულ სმაკ-ში დღეისათვის 7000 წევრია. სოციალისტებს – 3200, ეროვნულ-დემოკრატებს კი 300-მდე წევრი ჰყავთ. **"აქედან ყველა აქტიური წევრი არ არის, მაგრამ გარკვეულ დავალებებს, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მიიღებს",** - ახალგაზრდული აქტივის მობილიზებაზე ფიქრობდა ბოჟაძე. სმაკ-ის თავმჯდომარე გუშინ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელიც გახდა. თუ კონკრეტულად რამ უნდა აამოქმედოს სხვადასხვა პარტიის პასიური წევრები, გაურკვეველია. თავად პარტიის ლიდერებს ერთგვარი იმედი იმან გაუღვივა, რომ ალიანსის წინასაარჩევნო კამპანიას ქვეყნის მეთაური უხელმძღვანელებს... ლადო ბოჟაძე ამტკიცებს, რომ სახელისუფლებო პარტიების ახალგაზრდულ ფრთას თავის თანაპარტიელებსა თუ საზოგადოების ნაწილზე ზემოქმედებისათვის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. **"საამისოდ ჩვენ სერიოზულ თანამდებობებს არ ვფლობთ. პირიქით, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოსტებზე თავისი წარმომადგენლები "ნაციონალურ მოძრაობასა" და "დემოკრატებს" ჰყავთ. თუნდაც, მერიაში ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ასევე სპორტისა და ტურიზმის განყოფილების მოადგილე".** როგორც შეკრების მონაწილეები აცხადებდნენ, სულ ცოტა ხნის წინ ფილარმონიაში ჩატარებული და ბიუჯეტიდან დაფინანსებული კონცერტი "ნაციონალებმა" საკუთარი რეკლამისთვის გამოიყენეს.

შეკრებაზე დემოკრატებისა და ნაციონალების მიმართ პრეტენზიები 14 აპრილს ჩატარებული სტუდენტური აქციამსვლელობების გამოც გაჩნდა. **"ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხმა მხოლოდ 200 სტუდენტის აყოლიება შეძლო. ძირითადად, ის სახეები ელავდა, ვისი პოლიტიკური ორიენტაციაც კარგადაა ცნობილი და ჯერ კიდევ ოქტომბერ-ნოემბრის აქციის დროს გამოჩნდა. ეს არ იყო სტუდენტების აქცია, კონკრეტული პირების დავალებით შესრულებული გამოსვლა იყო. მოდით, ჩვენ ქუჩაში გამოსვლას, ქუჩის აქციებს თავი დავანებოთ. უფრო ცივილიზებული მეთოდები მოვიფიქროთ",** - აცხადებდნენ სმაკელი ბოჟაძე და სოციალისტი დიმიტრი ცქიტიშვილი.

რით განსხვავდება ახალგაზრდული წინასაარჩევნო სტრატეგია და ტაქტიკა უკვე "ზრდასრული" პოლიტიკური პარტიების მოქმედების გეგმისაგან? ახალგაზრდები აქცენტს, ძირითადად, სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებზე გააკეთებენ - კონცერტების თუ სპორტული შეჯიბრებების გამართვაზე.

საინტერესო ის არის, რომ თავისი წინასაარჩევნო ტაქტიკის განსახორციელებლად სახელისუფლებო პარტიის ახალგაზრდული შტო დიდ დაფინანსებას რატომღაც არ ელის. **"ალბათ, ძირითად ღონისძიებებს დაგვიფინანსებენ, მაგრამ უფრო ენთუზიაზმზე ვიმუშავებთ,"** - ამტკიცებს ბოჟაძე.

"ალიანსში ერთიანი საქართველოსათვის" გაწევრიანებული "დიდი" პარტიების მსგავსად "პატარებიც" უახლოეს მომავალში საკუთარი მომხრეების მატებაზე საუბრობენ.

"24 საათის" ინფორმაციით, სახელისუფლებო ალიანსის მხარდასაჭერად დღეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი შეიკრიბება და დაახლოებით 90 "ენჯეო" დააფუძნებს საზოგადოებრივი მოძრაობას "სამოქალაქო საზოგადოება ახალი საქართველოსათვის". ნაკლებად ცნობილი "ენჯეოებიდან" შედარებით ცნობილი არიან: ზაზა სიხარულიძის "საქართველოს არასამთავრობოთა კავშირი", ლევან მამალაძის თანამოაზრის ლერი გელენავას "ალიანსი ერთიანი საქართველოსათვის", "ფონდი-მწვანე დედამიწა" და ა.შ. არასამთავრობოების კოორდინატორის სტატუსი კი ნიკა გელაშვილს ერგო, რომელიც საკმაოდ საინტერესო სახელის მქონე "ენჯეოს" - "საქართველოს არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის ურთიერთობის განვითარების ეროვნული ცენტრის" ხელმძღვანელია.

# ამერიკაში სერიოზულად ფიქრობენ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე

პირველი გვერდიდან

- რამდენად ძლიერია ოპოზიცია? რამდენად სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები? რას გააკეთებს ოპოზიცია, თუ ის პარლამენტში უმრავლესობით მოვა და, ბოლოს, თუ ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები და გამარჯვება მოახერხა, რა იქნება შემდეგ?

**"შევარდნაძე უკვე ენერგიისაგან დაცლილია. ამიტომ დღეს საქართველოში მთავარი პრობლემა არის არა ის, რომ ქვეყანა ცუდად იმართება, არამედ ის, რომ ქვეყანა საერთოდ არავისგან არ იმართება და - პირველ რიგში პრეზიდენტისაგან. დღეს ჩვენ ვართ უფრო სუფთა და ბევრად უფრო ენერგიულები, ამიტომ ჩვენ შევძლებთ ქვეყნის უკეთ მართვას. თუ პარლამენტში უმრავლესობით მოვალთ, ჩვენი უპირველესი მიზანი იქნება საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა. რაც შეეხება არჩევნების გაყალბებას, რასაც ხელისუფლება ნამდვილად შეეცდება, ასეთ შემთხვევაში ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში და ქვეყანა ქაოსს ვეღარ გადაურჩება,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

დღეს, როცა ამერიკაში მთავარი თემა ერაყის ომი და ზოგადად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პრობლემებია, ამერიკის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველო ნამდვილად არ არის პრიორიტეტული საკითხი. თუმცა, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ამერიკის ინტერესების სფეროში აღარ შედის. ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელიც ჯერ კიდევ " ნედლია", მაგრამ რომელზეც უკვე მუშაობას იწყებენ ამერიკის ანლიტიკურ წრეებში, ეს კავკასიის როლი და ადგილია ომის შემდგომ მსოფლიოში. ამაზეა მიბმული საქართველოს (და ალბათ აზერბაიჯანის) მომავალი ურთიერთობები ნატო-სთან (რაზეც თბილისში ბრუს ჯექსონის გახშირებული ვიზიტებიც მიუთითებს).

ამ ეტაპზე კი ერთი რამ სავსებით ცხადია: სტაბილურობა კავკასიაში ძალიან აქტუალურია ამერიკისთვის, მითუმეტეს ახლა, როცა ახლო აღმოსავლეთში სრული ქაოსი და გაურკვევლობა სუფევს.

საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება კი დიდწილად არის დამოკიდებული ამ საპარლამენტო არჩევნებზე. სომხეთში დიდი დარღვევებით ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ძალიან გაამწვავა ურთიერთობა ამერიკის ადმინისტრაციასა და სომხეთის ხელისუფლებას შორის (თუმცა, სომხური ლობის გამო, ეს ურთიერთობა ბოლომდე ალბათ არასოდეს გაფუჭდება). საქართველოსთან დაკავშირებით კი ამერიკაში არა მარტო ის ფაქტი აღელვებთ, რომ არჩევნების დიდი დარღვევებით ჩატარება მყიფე დემოკრატიისთვის სერიოზული დარტყმა იქნება და ნატო-სთან ურთიერთობებსაც გაართულებს, არამედ - უფრო ის არასტაბილურობა, რომელიც შეიძლება ხელისუფლების ძალადობას და არჩევნების გაყალბებას მოჰყვეს. ამის საშიშროებას კი ვაშინგტონში ნამდვილად გრძნობენ, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც დარღვევებით ჩატარებულმა არჩევნებმა შედარებით უფრო არადემოკრატიულ სომხეთში ხალხმრავალი დემონსტრაციები გამოიწვია.

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ არჩევნებამდე საქართველოში ჩამოსვლას და პრეზიდენტთან შეხვედრას ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი და რამდენიმე სენატორი, მათ შორის ჯონ მაკკეინიც, აპირებენ. ეს ინფორმაცია აშშ-ში საქართველოს საელჩომაც დაადასტურა, მაგრამ იქვე დასძინეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

# გადამწყვეტი ბრძოლის წინ

პირველი გვერდიდან

პირველი ეტაპის წარმატებით დაძლევაა, რადგან პარლამენტში სულ ცოტა ხნის წინ დატრიალებულმა მოვლენებმა (115 [illegible]) ცხადყო, რომ ე.წ. საპარლამენტო უმრავლესობისთვის გადამწყვეტ მომენტში ძალების მობილიზაცია აშკარად უჭირს. თუმცა, დღევანდელი საკითხი თავისი მნიშვნელობით იმავე მინიმალური ხელფასის თემას აშკარად ფარავს, რადგან, მოგეხსენებათ, ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის მომავალი სწორედ ახალ საარჩევნო კოდექსზე იქნება დამოკიდებული.

სამთავრობო ფრაქციებს თადარიგში მეორე გეგმაც აქვთ: პირველი სცენარის წარუმატებლობის შემთხვევაში, ძალაში უნდა დარჩეს დღეს მოქმედი ცესკო-ს შემადგენლობა, ხოლო პასუხისმგებლობა დისკრედიტებული საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობის უცვლელად დატოვებაზე ოპოზიციას უნდა დაეკისროს.

თუმცა ხელისუფლების გეგმა არც ისეთი უნაკლოა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ჩვენი ინფორმაციით, დაკომპლექტების წესის შეცვლის შემთხვევაში, პრეზიდენტი შევარდნაძე პარლამენტს დასამტკიცებლად დღეს მოქმედი ცესკო-ს რამდენიმე წევრს წარუდგენს. ეს კი ოპოზიციას კონტრშეტევისათვის შესანიშნავ საბაბს მისცემს.

[illegible] ობს და ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთის საქმიანობის გაკონტროლებას შეეცდებიან მაინც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელისუფლების მხარდამჭერ დეპუტატთა მხრიდან ინტერფრაქციული ჯგუფის წევრებისადმი აგრესია დღითიდღე მატულობს. ასე მაგალითად, ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარის ირაკლი მინდელის განცხადებით, **"იგი სულაც არ ენდობა ამ ჯგუფის წევრებს", რადგან იგი იმ პარტიების წარმომადგენლების მიერ არის დაკომპლექტებული, რომლებმაც წინა არჩევნები გააყალბეს და ამჯერადაც კოდექსის საკუთარ თავზე მორგებას ცდილობენ".** სხვათა შორის, სულ თავიდან, პრეზიდენტთან ვახტანგ რჩეულიშვილის "ჩახუტებამდე" რამდენიმე ხნით ადრე, მინდელი ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომებში აქტიურად მონაწილეობდა.

იგივეს ამტკიცებს ფრაქცია "ალიანსის" ლიდერი ირაკლი გოგავა და გამყალბებლებად პირდაპირ ჟვანიასა და სააკაშვილის მხარდამჭერებს მოიხსენიებს. იგი არც ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს გიგი წერეთელს წყალობს, რადგან ეს უკანასკნელი **"ჟვანიასგუნდელი და მისი ინტერესების"** გამტარებელია. უფრო შორს მიდის "მოქალაქეთა" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვიტალი ხაზარაძე, რომელიც ინტერფრაქციულ ჯგუფს "სალაყბო ორგანოდ" მოიხსენიებს და აცხადებს, რომ **"მათ საკუთარი თავი დიდი ხნის წინ ამოწურეს".**

ოპოზიცია, რომლისთვისაც პრეზიდენტის ინიციატივა აბსოლუტურად მიუღებელია და რომელშიც ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციების სრული უზურპაციის საფრთხეს ხედავს, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის სახელისუფლებო ფრთა მისთვის სასურველ მიზანთან საკმაოდ ახლოსაა, ოპოზიციის კოორდინირებული ქმედებების წყალობით, შესაძლოა, პრეზიდენტის ერთგულ პარლამენტარებს მიზნის მიღწევა გაუჭირდეთ.

ოპოზიციური ფრაქციები რამდენიმე მიმართულებით იმოქმედებენ:

პირველ რიგში, ეს რეგისტრაციაზე დემონსტრაციულად უარის თქმა იქნება. მეორე მხრივ, გაგრძელდება ე.წ. საპროცედურო ომი, რომლის დროსაც პარლამენტის რეგლამენტის არაერთგზის ციტირების მომსწრენი გავხდებით (საპარლამენტო ბრძოლის ეს ტაქტიკა ოპოზიციამ ე.წ. მინიმალური ხელფასის ირგვლივ ატეხილ ორთაბრძოლაში საკმაოდ წარმატებულად განახორციელა).

მომავალი ომის პირველი კონტურები პარლამენტის ბიუროს სხდომაზე უკვე გამოიკვეთა. ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ პრეზიდენტის ავტორობით შემოსულ პროექტს **"სამოქალაქო კონფრონტაციის და არეულობის შექმნისკენ"** გადადგმული ნაბიჯი უწოდა და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს სთხოვა, **"ჩაერთოს პროცესებში და პარლამენტში საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ის ვარიანტი შევიდეს, რომელიც ფრაქციებმა უკვე შეათანხმეს".** ბარამიძემ იქვე დასძინა, რომ **"სახელისუფლებო ფრაქციების პროექტი, ფაქტობრივად, პრეზიდენტის მიერ ამ ორგანოს ხელში ჩაგდებას ნიშნავს".**

საინტერესო აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარის პასუხი. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ **"არ იცნობს პროექტს, რადგან ეს ვარიანტი პარლამენტში ოფიციალურად წარმოდგენილი არ არის".**

ერთი სიტყვით, დღეს უკვე შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ უახლოეს დღეებში საკმაოდ სასტიკი საპარლამენტო ომი გაჩაღდება. ამის მიუხედავად, რთულია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და, საერთოდ, შეიცვლება თუ არა საარჩევნო კოდექსის ის მუხლი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტებას ეხება.

საინტერესოა ისიც, თუ რა არგუმენტებს დაუპირისპირებენ ერთმანეთს პოზიცია და ოპოზიცია.

სახელისუფლებო ფრაქციათა არგუმენტების თანახმად, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი და შემდგომ ცაცანაშვილის კომისიაში გაკეთილშობილებული კანონპროექტი, ფაქტობრივად, უარს ამბობს ცესკო-ს დაკომპლექტების პარტიულ პრინციპზე და უპირატესობას პროფესიულ კადრებს ანიჭებს. მათი ლოგიკა ასეთია: პარტიული პრინციპით დაკომპლექტებულმა ცესკო-მ, ფაქტობრივად, ამოწურა საკუთარი თავი. მეტიც: იგი **"კორუფციისა და უხამსი გარიგებების"** ბუდედ იქცა. თანაც, პარლამენტმა თითქმის ორი წლის წინ თავადვე თქვა უარი კომისიების დაკომპლექტების პარტიულ პრინციპზე და კოდექსის შესაბამის მუხლში კომისიების არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით დაკომპლექტების პრინციპი ჩადო. ვიტალი ხაზარაძის მტკიცებით, პრეზიდენტს ქვეყნისთვის სიკეთე სურს და ზრუნავს მის მომავალზე, რასაც, პირველ რიგში, საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად გამართვა უზრუნველყოფს. ბატონი ხაზარაძე ამტკიცებს: **"არ შეიძლება საკითხის იმგვარად წარმოჩენა, რომ თითქოს აღნიშნული პროექტი ქვეყანაში "რაღაცას გამოიწვევს. ოპოზიცია ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს სხვა აზრს, მაგრამ მას არავინ სთხოვს, რომ ამ აზრს დაეთანხმოს".**

ოპოზიცია კი, ალბათ, განაცხადებს, რომ დღევანდელ პირობებში, როცა პრეზიდენტი თავად არის ერთ-ერთი პოლიტიკური ბლოკის ლიდერი, ყოვლად წარმოუდგენელია, მან პარლამენტს დამოუკიდებელი და პროფესიონალი კადრები წარუდგინოს. მეტიც: "ტრადიციონალისტი" ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს: **"დღეს თითქმის ყველა პრეზიდენტის საგარეო კურსით არის აღფრთოვანებული. ამ საარჩევნო კოდექსით კი იგი პირდაპირ ქვეყნის მოწყობის რუსული მოდელისაკენ მიგვაქანებს, რადგან ამ ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისია სწორედ პრეზიდენტის მიერ არის უზურპირებული. ჩვენ ორმოში გადავიჩეხებით. პრეზიდენტის მოდელს არანაირი საერთო არ აქვს დემოკრატიასთან. მის მიღებას ჩვენ არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ გვაპატიებს".**

იგივე განწყობაზე არიან "ახალი მემარჯვენეებიც".

ასე რომ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ორივე ბანაკის წარმომადგენლები რამდენად ბრძოლისუნარიანნი აღმოჩნდებიან და პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკასა და სტრატეგიას ვინ უფრო სწორად წარმართავს. თანაც, აუცილებლად გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც, რომლის თანახმად, სამართლიანი არჩევნები პარიტეტულ საწყისზე დაკომპლექტებულ საარჩევნო ადმინისტრაციებზე დიდწილად იქნება დამოკიდებული.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „თბილავიამშენი" - როგორ მოვი(რ)გოთ ტენდერი

პირველი გვერდიდან

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ მდგომარეობით, საავიაციო ქარხანა ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხაშია - იმ საწარმოებს შორის, რომლებსაც ქონების მართვის სამინისტრო გეგმაზომიერად, მშვიდად და შეუმჩნევლად ასხვისებს და ყიდის ტენდერით, რომლის შედეგიც ისედაც ცნობილია და საჯაროდ გამოცხადებას აზრი არა აქვს. ასეთი ფაქტები იმდენად ხშირად ხდება, უკვე ველარც კი ამჩნევ!

ასე შეუმჩნევლად ჩაიარა სს "თბილავიამშენის" ტენდერმაც.

ასეთი წარმატებული საწარმოს ტენდერზე გატანის მოტივი მოულოდნელად, თუმცა დამაჯერებლად ჟღერდა - თუკი საწარმოს კერძო პირებს არ გადასცემდნენ, მას გაკოტრება ელოდებოდა.

■ ■ ■

მაშინ, როცა ქვეყანა ახალ წელს ზეიმობდა, საქართველოს პრეზიდენტი იძულებული იყო, უხერხულ კითხვებზე ეპასუხა - რატომ გაეხვა ქვეყანა საერთაშორისო სკანდალში და რატომ ეხმარებოდნენ სახელმწიფო საწარმო "თბილავიამშენის" თანამშრომლები აშშ-ს პრეზიდენტის მიერ "ბოროტების ერთ-ერთ ღერძად" წოდებულ ირანს სამხედრო ავიაციის განვითარებაში. ეს ამბავი 13 იანვარს მოხდა, იმ დღეს თავისმართლება მოხერხდა და ამის გამო დარდი დიდხანს არავის გაჰყოლია. უკვე ხუთი დღის შემდეგ კი, 18 იანვარს ედუარდ შევარდნაძემ ქონების მართვის სამინისტროს დაავალა, "თბილავიამშენი" სასწრაფოდ ტენდერზე გაეტანა.

სოლომონ პავლიაშვილმაც არ დააყოვნა.

11 თებერვალს სს "თბილავიამშენზე" ტენდერი გამოცხადდა. განაცხადის შეტანის ბოლო ვადად 18 მარტი დასახელდა. როგორც იურისტები მიიჩნევენ, ამ პროცესის პირველი უკანონობაც სწორედ აქედან დაიწყო. "თბილავიამშენი" სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხაშია, რომლის აქციათა პაკეტის 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იყო. კანონის მიხედვით, ასეთი ობიექტების ტენდერზე გატანა ოთხ თვემდე მოსამზადებელ ვადაში ხდება. ამჯერად კი, ქარხნისა და ქვეყნის ხელმძღვანელობაც ერთნაირად ჩქარობდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: პირველი, საჭირო იყო ტენდერის მოთავება მანამ, სანამ პარლამენტი ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების დადგენილებას მიიღებდა. აჩქარების მეორე და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, როგორც თავად ქარხნის თანამშრომლები ფიქრობენ, "თბილავიამშენის" დასაკუთრების მსურველთა მოულოდნელი გამოჩენა გახდა.

■ ■ ■

"თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პანტიკო თორდია აცხადებს, რომ მას იმის მერე ებრძვიან, რაც ქარხნის ალმშენებლობა დაიწყო. "თბილავიამშენი", რომელსაც მის სათავეში მოსვლამდე მილიონობით ლარის დავალიანება ჰქონდა და გაპარტახებული იყო, არავის აინტერესებდა. მას შემდეგ კი, რაც წარმოება აღდგა, დავალიანებებიც გაისტუმრეს და მოგებაც მილიონობით ლარს აღწევდა, პირველი, ვინც პანტიკო თორდიას დაუპირისპირდა, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი იყო. ქარხნის ხელმძღვანელეობის აზრით, ეკონომიკის მინისტრის გაღიზიანებას ერთი კონკრეტული ფაქტი იწვევდა: საავიაციო ქარხანა თავს არიდებდა "გაერთიანებულ ქართულ ბანკთან" თანამშრომლობას, სამაგიეროდ, თორდიას ვლადიმერ პატეიშვილთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, "საქართველოს ბანკის" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კლიენტი იყო და ედუარდ შევარდნაძის ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ყველას რომ ეგონა, ვანო ჩხარტიშვილის გათავისუფლებით პრობლემა მოგვარდაო, ქარხნის ხელმძღვანელობა თანამდებობის დაკარგვის საფრთხის წინაშე, სწორედ მაშინ კიდევ ერთხელ დადგა.

ქარხნის გენერალური დირექტორის, ნოდარ ბერიძის თქმით, რამდენიმე ადამიანი ხშირად აკითხავდა "თბილავიამშენის" ძველ და ახალ თანამშრომლებს, ხელმძღვანელობის წინააღმდეგ განაწყობდა და საკუთარ საქციელს ერთი "მაგიური ფრაზით" ხსნიდა: **"ჩვენ მოვდივართ ბადრისთან ერთად, ჩვენს უკან პატარკაციშვილის დიდი ფულია, მას საავიაციო ქარხნის ყიდვა უნდა და მხარს თუ დაგვიჭერთ, ყველას გვეშველება!"**

ქარხნის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ სწორედ მათი დახმარებით გახმაურდა ახალი ამბავი, რომელმაც "თბილავიამშენი" და საქართველოს მთავრობა საერთაშორისო სკანდალში გახვია.

## როგორ მოისურვა სადამ ჰუსეინმა ქართული სუ25-ების ყიდვა

**"გერმანკა"** – ასე მოჯაჰედები ეძახდნენ, რადგან ვერაფრით იჯერებდნენ მის საბჭოთა წარმომავლობას;

**"კუზა-კვიცი"** – ასე კი, მოფერებით, პილოტებმა დაარქვეს, რადგან უზომოდ ბევრი შრომა და ერთგული სამსახური შეეძლო.

მისი შექმნის იდეა რუს კონსტრუქტორს, პაველ სუხოის 70-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა და პროექტი ასე დაასაბუთა: **"მას შეუძლია, დაუზიანებლად იფრინოს ადგილებში, სადაც გამალებული საჰაერო ბრძოლაა, გაანადგუროს მტერი იქ, სადაც ქვეით ჯარს ხელი არ მიუწვდება."**

იმ დროს, საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე იყო, თბილისის საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინერი კი პანტიკო თორდია. მისი ინიციატივით, 1977 წელს, სუ25-ის პირველი მოდელი თბილისში ჩამოიტანეს. საჩვენებელმა ფრენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შევარდნაძეზე და სამ დღეში გამოვიდა ბრძანება, სუ25 თბილისის საავიაციო ქარხნის წარმოებაში ჩაეშვათ. ასე დაიბადა პირველი მოდელები და მაშინვე გამოსაცდელად გაიგზავნა ავღანეთში. ამ მოდელებით აზიის ის ქვეყნები დაინტერესდნენ, რომლებთანაც სსრკ-ს აქტიური სამხედრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. საბჭოთა შეიარაღება ყველაზე უფრო მეტად ერაყს ერგებოდა. ის საჭირო დროს, ნატო-ს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობის დაძაბვისას, აზიაში საბჭოთა პლაცდარმი უნდა გამხდარიყო და სუ25-ებსაც წლების მანძილზე დაუზოგავად აწვდიდნენ.

1996-1997 წლებში ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქტიური თანამშრომლობა დაიწყეს თბილისის საავიაციო ქარხანასთან. მათ ძველი თვითმფრინავების შეკეთება და ახლების ყიდვა სჭირდებოდათ. ეს ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ გამოპარვია და 1997 წელს, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა, საქართველოში ვიზიტის დროს, თეთრი სახლის საგანგებო დავალება ჩამოიტანა - თბილისს უარი უნდა ეთქვა ირანთან სამხედრო თანამშრომლობასა და თვითმფრინავების მიყიდვაზე. ამერიკასთან დაპირისპირება არავის სურდა. ოთხვარსკვლავიან ამერიკელ გენერალსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, პრობლემა ამოწურულად ჩაითვალა და ცოტა ხანს "თბილავიამშენი" აღარავის გახსენებია.



ვახო ხაჟალიას ფოტო

1998 წელს, შვიდწლიანი შესვენების შემდეგ, ქარხნის ხელმძღვანელი კვლავ პანტიკო თორდია გახდა. ამჟამად სს "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ უარყოფს, რომ ირანის წარმომადგენლებმა იმ დროს განსაკუთრებით მოუხშირეს თბილისში სიარულს და საავიაციო წარმოების ხაზის თეირანში გადატანაც ითხოვეს. საავიაციო ქარხნით ასეთი დაინტერესება პირველი შემთხვევა არ იყო. ერაყი წარმოების ხაზის ყიდვას უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან ითხოვდა. ქართულ ავიაციას, კონკურენციის უმძიმეს პირობებში სჭირდებოდა საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, არსებული რეზერვის გაყიდვა და ავიამშენებლობის დარგის განვითარება. ასეთ ვითარებაში ირან-ერყთან თანამშრომლობა მომხიბვლელი წინადადება იყო.

პანტიკო თორდია: **"მე შევხვდი ედუარდ შევარდნაძეს და ვუთხარი, რა წინადადებებიც გვქონდა. მან მომისმინა და მითხრა, ამერიკასთან კარგი ურთიერთობები გვაქვს, რაღაც პროგრამების დაფინანსებასაც გვპირდებიან და მოდი, ამ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე თავი შევიკავოთ, ნუ გავირთულებთ ურთიერთობასო, მეც დავთანხმდი.**

პრობლემა თითქოს მოგვარდა და "თილავიამშენი" კარგა ხანს აღარავის გახსენებია. მთავარი სკანდალი იმ დროს დაიწყო, როცა მას უკვე აღარავინ ელოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ "თბილავიამშენის" თეირანთან შეხმატკბილებულ ურთიერთობაზე პასუხი წელს, საახალწლოდ მოითხოვა. თეთრი სახლის დანაბარები ამჯერად საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა უშიშროების საბჭოს მდივანს, თედო ჯაფარიძეს გადასცა. უკვე 13 იანვარს, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ თეირანში მართლაც იმყოფებოდნენ ქართველი სპეციალისტები, თუმცა, მას შემდეგ, რაც აშშ-მ ირანს ტერორიზმში დასდო ბრალი, თანამშრომლობა ამ ქვეყანასთან შეწყდა: **"ახლა ირანში იმყოფება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც გაარკვევს ამ პრობლემას ისე, რომ არც ირანთან გაგვირთულდეს ურთიერთობა, ამერიკასთანაც გამოვნახავთ საერთო ენას. რაც შეეხება თვითმფრინავების ახალი პარტიების შესყიდვას, ამაზე ლაპარაკიც არ არის."** – თქვა პრეზიდენტმა ("საქართველოს რესპუბლიკა", 2003 წელი, 14 იანვარი).

ამჯერად თვითმფრინავების გაყიდვაზე ლაპარაკი არც ყოფილა. საქმე იმ სპეციალისტებს ეხებოდა, რომლებიც ირანში სუ-25-ებს არემონტებდნენ.

## ტურისტული ვიზა ირანში? - რა სისულელეა?

**"დიახ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ქართველი ავიამშენებლების ირანში მუშაობის თაობაზე. კარგა ხანია, ამით დავინტერესდით და ველაპარაკეთ კიდეც მათ, ვინც, სავარაუდოდ, თეირანში უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ინფორმაცია კონტრდაზვერვითი ხასიათისაა, ვერაფერს გეტყვით!"** - ეს უშიშროების სამინისტროს პასუხია. ისინი კი, ვინც სრულ ინფორმაციას ფლობენ ირანში ქართველი ავიამშენებლების მუშაობის შესახებ, აცხადებენ, რომ ყველაფერი ისე გაკეთდა, კვალის მიგნება შეუძლებელი გამხდარიყო. თუმცა, დამადასტურებელი ცნობები, რომ ქართველ ავიაკონსტრუქტორებს ირანისკენ მიმავალი გზა ქარხნის ხელმძღვანელობამ გაუკაფა, მაინც არსებობს.

ამონაწერი საფინანსო დოკუმენტიდან: **"თბილავიამშენის" გენერალური დირექტორის დავალების შესასრულებლად, რობერტ პაპანდოპულოსა და ნოდარ ბერიძეს მიეცეს სამივლინებო მოწმობა თეირანში გასამგზავრებლად."** ქვითარს თან სასტუმროს ხარჯიც ერთვის, 1530 დოლარი. ეს გასული წლის ოქტომბერში, "ფერდოსი გრანდ-ოტელში" გატარებული ხუთი დღის მომსახურების თანხაა. მანამდე თეირანში "თბილავიამშენის" მთავარი ინჟინერი გოჩა გოგუაძე, გ.ჯამასპიშვილი (თვითმფრინავების საამწყობო წარმოების ხელმძღვანელი) და სუ25 ტიპის თვითმფრინავის ორი ამწყობი სპეციალისტი იმყოფებოდნენ.

ქარხნის ხელმძღვანელეობა ადასტურებს, რომ ირანთან მართლაც აქვთ ურთიერთობა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებას ეხება და არა სამხედრო ავიაციას. მათი ოფიციალური პირებიც იმიტომ დადიან თეირანში. თუმცა, პასუხი კითხვაზე, რატომ დადიან მაინცდამაინც სუ25-ების ამწყობი სპეციალისტები, არ არსებობს. სამაგიეროდ, ქარხანაში ასახელებენ მიზეზს, რის გამოც შეიძლება, არ ღირდეს თბილისი-თეირანის სამხედრო თანამშრომლობის განხილვა: **"ასეც რომ იყოს - დავუშვათ, შევცდით, ვერ გავითვალისწინეთ ქვეყნის ინტერესები და მართლა გავურემონტეთ ირანს თვითმფრინავები, ამით ხომ დასაქმდნენ ადამიანები, აიღეს ხელფასი და ქვეყანაშიც ფული შემოვიდა. ჰოდა, გაჩუმდით, რა!"**

ვერაფერს იტყვი, ნამდვილად სერიოზული არგუმენტია გასაჩუმებლად, რომ არა კიდევ მიზეზი, რის გამოც ღირს ამ საკითხის განხილვა.

ირანს საბჭოთა კავშირისგან არასოდეს უყიდია სუ25-ები. მას, ოფიციალური ინფორმაციით, მხოლოდ 1991 წელს ერაყთან ომის შემდეგ დასაკუთრებული შვიდი სუ25 ჰქონდა. ქართველმა სპეციალისტებმა შვიდივე თვითმფრინავი თეირანში გადმოიტანეს და შეკეთებაზე ზრუნვა დაიწყეს. "თბილავიამშენში" ერთი თვითმფრინავის შეკეთება მილიონი დოლარი ღირს. არაოფიციალური ინფორმაციით, ქართველმა ავიამშენებლებმა ამ სუ25-ების შეკეთებაში ხუთ მილიონ დოლარამდე აიღეს. იმის გამო, რომ საქმე არაოფიციალურად კეთდებოდა, თეირანიდან გადმორიცხული თანხა არ მოხვდა არც "თბილავიამშენისა" და არც სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

**"გგონიათ, არ იცოდნენ, ეს ამბავი რომ გახმაურებულიყო, რა მოხდებოდა? ამიტომ, წინასწარ, ქარხნის 50 საუკეთესო თანამშრომელს დააწერინეს უხელფასო შვებულებაში წასვლის განცხადება და ირანში მუშაობის სანაცვლოდ მაღალ ანაზღაურებას – 1000-1200 დოლარს შეჰპირდნენ. ეს იმიტომ დასჭირდათ, რომ საჭირო შემთხვევაში პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინათ. მერე მათი პასპორტები მოაგროვეს და ვიზებიც გაუკეთეს,"** - ასე გაახმაურეს ქარხნის ყოფილმა თანამშრომლებმა "თბილავიამშენის" თეირანთან ურთიერთობა.

საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოში განმარტავენ, რომ, სხვა ქვეყნების საელჩოებისგან განსხვავებით, პროცედურის გავლა ძალიან მარტივია და ტურისტულ ვიზებს უპრობლემოდ გასცემენ. თუმცა, საქართველოდან ირანში ტურისტებად, როგორც წესი, რომ არ მიდიან, არ უთქვამთ. ეს ქართულ ტურისტულ ბიუროებში გვითხრეს:

**"ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა, ტურისტული ვიზა ირანში არასოდეს არავის მოუთხოვია!"** - ასე კატეგორიულად გვპასუხობდა ყველა მოქმედი ფირმის მენეჯერი. იმ ტურისტულ ბიუროს კი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეებზე ვიზა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მოსთხოვა, "ამორა" ერქვა და მას შემდეგ გაუქმდა, რაც მისი საქმიანობის შესახებ გახდა ცნობილი.

## თბილისი თეირანი თბილისი

"თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა უარყოფს კავშირს ირანში გაგზავნილ თანამშრომლებთან და ამის დასადასტურებლად დამაჯერებელი ფაქტებიც აქვს: წარმოების შემცირებამ კვალიფიციური მუშების მასიურად გათავისუფლება გამოიწვია. ქარხანაში14 000 თანამშრომლიდან, თითქმის 2 000 დარჩა. "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობას კი ქარხნის გარეთ მყოფი მუშების გაკონტროლების საშუალება არ აქვს, თუმცა ამ არგუმენტს ერთი შემთხვევა აბათილებს:

ირანში მყოფმა სპეციალისტებმა სარემონტო მასალები მოითხოვეს. ქარხნის ხელმძღვანელობამ კონტეინერი და ირანელი მძღოლი აზგარ გამრი ბაჰრამი დაიქირავა და ტვირთის ღირებულებაზე ქვითარი 2002 წლის 30 მაისს გამოიწერა. "72 ათასი დოლარის მარაგნაწილები," რომლის დანიშნულებაც მითითებული არ იყო, ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით მძღოლს დუბაიში მიჰქონდა. კონტეინერმა უსაფრთხოდ გადაკვეთა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორია და ის ირანის საზღვარზე, ასტარას რაიონის ნეიტრალურ ზონაში დააკავეს. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საეჭვოდ მიიჩნიეს გაურკვეველი წარმოშობის სამხედრო ტვირთის გატარება; მძღოლი, რომელიც ვერ ასაბუთებდა, რა უნდოდა მის მანქანაში თვითმფრინავის ასაწყობ ნაწილებს, დააპატიმრეს, მანქანა კი, როგორც ნივთმტკიცება, დალუქეს. "თბილავიამშენმა" სასწრაფოდ ოფიციალური წერილი გაგზავნა აზერბაიჯანში:

**"ასტარის რაიონულ სასამართლოს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მიერ დაკავებული ტვირთი ეკუთვნის "თბილავიამშენს" და მისი გადატანა ხდებოდა როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ნორმების დაცვით. ამიტომ, გთხოვთ, სასწრაფოდ განიხილოთ მისი ჩვენთვის დაბრუნების საკითხი. პატივისცემით, გენერალური დირექტორი ნოდარ ბერიძე, 2002 წლის 3 ოქტომბერი."**

ტვირთი "თბილავიამშენისთვის" არავის დაუბრუნებია, ის აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს გადასცეს, მძღოლი კი კვლავაც დაპატიმრებულია.

ვითარება გართულდა. ირანში მყოფი მუშები მასალების მიწოდებას ითხოვდნენ. "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობამ "საქაერონავიგაციას" საჰაერო დერეფანი სთხოვა თბილისი-თეირანის მიმართულებით და ტვირთი ქარხნის კუთვნილი თვითმფრინავით - ან 26-ით პირდაპირ თეირანში ჩაიტანა.

ამ ფაქტს კიდევ ერთი დოკუმენტი ადასტურებს. საქაერონავიგაცია "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობას სთხოვს, გადაიხადოს ოფიციალურად დადგენილი თანხა ირანის ტერიტორიაზე ფრენისთვის.

ქარხანაში პასუხი ამ ბრალდებაზეც არსებობს: **"ეს თვითმფრინავი დუბაიში მიფრინავდა. თეირანში ნამდვილად დაჯდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს თვითმფრინავს ან 26-ს დუბაიმდე შეუჩერებლად ფრენა არ შეუძლია. მართალია, ქვითარი ჯერ მხოლოდ ირანზეა მოსული, მაგრამ ოდესმე ალბათ დუბაიდანაც მოვა."**

## ტენდერი - გამოსავალი

სიტუაცია ძალზე ჩაიხლართა. საქართველოს ხელისუფლებას, ერთი მხრივ, ამერიკელთა წინაშე პასუხისმგებლობა აწვა, მეორე მხრივ, როგორც პრეზიდენტი ამბობს, ირანთან ურთიერთობების გაფუჭება არ სურდა. თანაც ერთობ შემოსავლიანი საქმე უკვე დაწყებული იყო და შუაგზაზე მისი მიტოვება ირანის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ნიშნავდა. "თბილავიამშენის" გასხვისებით კი ხელისუფლება პასუხისმგებლობას მოიხსნიდა და სამომავლოდ სკანდალებს თავიდან აიცილებდა. არც აშშ-ს წინაშე მოუწევდა მუდმივად თავის მართლება სამხედრო-საავიაციო წარმოების გამო.

მოკლედ, ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის ამ საწარმოს მართვის უფლებით გადაცემის შემდეგ, უფრო თავისუფლად შეიძლებოდა, ქარხანას საერთაშორისო ბაზრის ათვისებაზე, ახალი პროდუქციის გამოშვებასა და შემორჩენილი სუ25-ების გაყიდვაზე ეფიქრა. გაყიდვის რეალური პერსპექტივა კი თბილისურ სუ-ებს სწორედ იმ ქვეყნებში აქვს, რომელთაც აშშ, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრებად არ მიიჩნევს. "თბილავიამშენის" კერძო მფლობელობაში გადასვლის შემდეგ კი საქართველოს ხელისუფლება თავისუფლად უპასუხებს ოკეანისგაღმელ მოკავშირეებს - რა ვქნათ, საავიაციო ქარხანა კერძო საწარმოა და პარტნიორებსაც თავად ირჩევსო.

ტენდერით ხელისუფლება პასუხისმგებლობას კი იხსნიდა, მაგრამ "თბილავიამშენი" ის საწარმოა, რომელზე კონტროლის სრულად დაკარგვა დიდი შეცდომა იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს საწარმო კვლავაც ისტუმრებს სახელმწიფოს ვალებს თურქმენეთთან. გარდა ამისა, პრეზიდენტისთვის საწარმოს პრივატიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მისაღები, თუ მის მმართველობას მისივე ძველი მეგობარი და ოჯახის ახლობელი ჩაიბარებდა. სწორედ ამას მოერგო სატენდერო პირობები და შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად კონკურსისთვის მოსამზადებელი ვადაც შეიზღუდა.

საკონკურსო განცხადებისთვის 35 კალენდარული დღე დაწესდა. ინფორმაცია ამის შესახებ მხოლოდ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკასა" და ქონების მართვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა. კაცმა რომ თქვას, ამ ამბის გახმაურებას აზრი ისედაც არ ჰქონდა. საკონკურსო პირობები ისე იყო შედგენილი, რომ მასში მონაწილეობას ერთი ჯგუფის გარდა მაინც ვერავინ მიიღებდა. "თბილავიამშენზე" პრეტენზია შეიძლეოდა ჰქონოდა მხოლოდ სუ25-ების დაპროექტებისა და წარმოების 15-წლიანი სტაჟის მქონე ავიამშენებლებს.

4 მარტს, სს "თბილავიამშენის" ბაზაზე, ქარხნის ხელმძღვანელმა და კიდევ 26-მა ადამიანმა შპს თბილავიამშენი დააფუძნა. პანტიკო თორდიას 15-კაციანი ჯგუფი ერთადერთი იყო, რომელმაც ტენდერში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა. სასწრაფოდ დაფუძნებულ ორგანიზაციას ანგარიში ერთ-ერთ ყველაზე პატარა ბანკში "თეთრში" აქვს გახსნილი და მთელი მისი საწესდებო კაპიტალი 50 ათასი ლარია. 10 წლით მართვის უფლება სწორედ ამ ჯგუფმა აიღო. წილები კი ასე ნაწილდება: პანტიკო თორდია - 45 პროცენტი, ნოდარ ბერიძე (გენერალური დირექტორი) - 20 პროცენტი. დანარჩენი 35 პროცენტი კი ჯგუფის 13 წევრზე ნაწილდება.

და ბოლოს, ტენდერის პირობებს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი აქვს. ტენდერში გამარჯვებულს "თბილავიამშენის" აქციათა 100 პროცენტის მართვის უფლება სურვილის შემთხვევაში 10 წლის შემდეგაც გაუგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მმართველს უფლება აქვს, საწარმო გაყიდოს ან გაასხვისოს მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვით. ჯერჯერობით კი, თეორიულად საწარმოს ისევ სახელმწიფო ფლობს მანამდე, სანამ "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობასა და ხელისუფლების ზედა ეშელონებს შორის მორიგი გარიგება არ შედგება.


არასამთავრობო ორგანიზაცია
დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრი

ახორციელებს პროექტს

პროფესიული სტანდარტების დაცვა ქართულ პრესაში

პროექტი შედგება სამი ნაწილისაგან:

ჩაღრმავებული ინტერვიუები გამომცემლებთან, რედაქტორებთან და ჟურნალისტებთან;

მკითხველთა ფოკუს-ჯგუფები;

წინასწარ შერჩეულ თემებზე ექვს ქართულ გაზეთში (ახალი თაობა, ალია, 24 საათი, რეზონანსი, ახალი ვერსია, ჯორჯიან თაიმსი) გამოქვეყნებული მასალების ანალიზი.

პროექტის განხორციელების ეთიკური ნორმები:

პროექტი არის ღია და მისი განხორციელება მიმდინარეობს საჯაროდ;
ყველა გაზეთის ხელმძღვანელს წინასწარ მიეწოდება დაწვრილებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ყველა გაზეთსა და მის ჟურნალისტს გაეცნობა ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მონიტორინგი მიმდინარეობს;

ჩაღრმავებული ინტერვიუების გაშიფრული ტექსტები იქნება კონფიდენციალური.
მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ზოგადი ანალიზისათვის;
პროექტის შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ.

პროექტი ხორციელდება IREX-ის ფინანსური მხარდაჭერით.
საკონტაქტო ტელეფონები: : 99 54 66 56, : 99 56 11 54

## მოკლედ

**თბილისი.** ავიაკომპანიებს "BRITISH AIRWAYS"-სა და "TURKISH AIRLINES"-ს, გადასახადების გადაუხდელობისა და რიგი სამართლებრივი საკითხების მოუგვარებლობის გამო, გუშინ საქართველოში ფრენის ლიცენზია შეუწყდათ. უცხოური კომპანიები ქართული მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ აპირებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლო დღეს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ "ენგურჰესის" სარჩელს განიხილავს. პროცესზე გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსებას. პროექტის დაფინანსება ევრობანკმა მას შემდეგ შეაჩერა, რაც სემეკის გადაწყვეტილება შეიტყო "ენგურჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის 30 პროცენტით შემცირების თაობაზე. გერმანულ-ავსტრიული ფირმა "ფოიტსიმენსი", რომელსაც ენგურჰესის რეაბილიტაციის დასაწყებად ევრობანკიდან თანხები უნდა მიეღო, საქართველოში არ ჩამოსულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, ქართულ-ბრიტანულმა კომპანია "კანარგომ" გარე კახეთში ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად გაზარდა. ძველ ჭაბურღილზე ჰორიზონტალური ბურღვის დაწყების შემდეგ ნავთობმოპოვება დღე-ღამეში 10-დან 170 ტონამდე გაიზარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ლიკვიდაციის პროცესი უკვე დაიწყო და, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 13 მაისამდე გაგრძელდება. ლიკვიდაციის შემდეგ სამინისტროს ფუნქციების ნაწილს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო შეითავსებს, ხოლო სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებით სადავო საკითხების გადაჭრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ქონების მართვის სააგენტო შეიქმნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში საწარმოთა რაოდენობა დანაწევრების ხარჯზე გაიზარდა, საქართველოს მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 6-ჯერ შემცირდა. **ინტერ-პრესი**

## მონიტორინგი

როგორც იქნა, დაზუსტდა შემოსავლების ექვსი თვის პროგნოზი. შესაბამისად, შემოსავლების მაჩვენებლებს წარმოგიდგენთ (N1 ცხრილი) წლისა და ექვსი თვის გეგმებთან შედარებით.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ექვსი თვის გეგმა შედგენილია საბიუჯეტო სისტემების კანონის დარღვევით, რომელიც მოითხოვს, რომ ექვსი თვის გეგმა არ იყოს წლის პროგნოზის 48%-ზე ნაკლები. შესაბამისად, **ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ექვსი თვის გეგმა კანონის დარღვევით შემცირებულია 6.11 მილიონი ლარით.**

ჯერ კიდევ არ არის დადგენილი დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის გეგმა და, შესაბამისად, ამ მაჩვენებლებს წარმოგიდგენთ წლის პროგნოზთან შედარებით.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 15 აპრილისათვის

ცხრილი N1
მლნ. ლარებში

| დასახელება | წლიური პროგნოზი | [illegible] | შესრულება | % წლიურ პროგნოზთან | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 514.09 | 242.3 | 21% | 47% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 813.7 | 373.23 | 173.91 | 21% | 47% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 310.64 | 141.93 | 22% | 46% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.16 | 24.18 | 31% | 67% |
| გრანტები | 95.4 | 26.43 | 7.8 | 8% | 30% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 136.81 | 99.24 | 24% | 51% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 9.15 | 18% | 38% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | | 62.77 | 26% | |
| [illegible] | 8.5 | | 1.96 | 23% | |
| [illegible] | 22 | | 9.6 | 44% | |
| [illegible] | 40 | | 19.51 | 49% | |
| [illegible] | | | 2 | | |
| [illegible] | 41.5 | | 3.71 | 9% | |
| [illegible] | 127.8 | | 25.99 | 20% | |

| დასახელება | წლიური პროგნოზი | [illegible] | შესრულება | % წლიურ პროგნოზთან | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 511.7 | 260.3 | 133.52 | 26% | 51% |
| [illegible] | 389.1 | 181.04 | 70.27 | 18% | 39% |

N2 ცხრილში წარმოდგენილია სოციალური ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების ინფორმაცია. როგორც ვხედავთ, **სოციალური ფონდის ხარჯების პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 68%-ით.**

**სოციალური ფონდის პირველი კვარტლის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი**

ცხრილი N2

| № | დასახელება | გეგმა | შესრულება | გადახრა | % |
|---|---|---|---|---|---|
| | შემოსავლები | | | | |
| 1 | [illegible] | 4,800,000.0 | 3,857,662.0 | -942,338.0 | 80% |
| 2 | [illegible] | 53,843,000.0 | 53,870,100.0 | 27,100.0 | 100% |
| 3 | [illegible] | 26,770,900.0 | 12,032,000.0 | -14,738,900.0 | 45% |
| 4 | [illegible] | 1,000,000.0 | 901,845.0 | -98,155.0 | 90% |
| 5 | [illegible] | 0 | 41,070.0 | 41,070.0 | |
| | სულ შემოსავლები | 86,413,900.0 | 70,702,677.0 | -15,711,223.0 | 82% |
| | ხარჯები | | | | |
| 1 | [illegible] | 53,788,000.0 | 43,898,963.0 | -9,889,037.0 | 82% |
| 2 | [illegible] | 500,000.0 | | -500,000.0 | 0% |
| 3 | [illegible] | 3,600,000.0 | 3,523,519.0 | -76,481.0 | 98% |
| 4 | [illegible] | 22,200.0 | | -22,200.0 | 0% |
| 5 | [illegible] | 1,065,700.0 | 350,000.0 | -715,700.0 | 33% |
| 6 | [illegible] | 3,435,000.0 | 1,785,059.0 | -1,649,941.0 | 52% |
| 7 | [illegible] | 13,083,000.0 | 7,314,957.0 | -5,768,043.0 | 56% |
| 8 | [illegible] | 5,122,000.0 | 3,312,536.0 | -1,809,464.0 | 65% |
| 9 | [illegible] | 600,000.0 | 540,553.0 | -59,447.0 | 90% |
| 10 | [illegible] | 1,050,000.0 | 264,898.0 | -785,102.0 | 25% |
| 11 | [illegible] | 1,950,000.0 | 496,704.0 | -1,453,296.0 | 25% |
| 12 | [illegible] | 100,000.0 | | -300,000.0 | 0% |
| 13 | [illegible] | 98,000.0 | | -98,000.0 | 0% |
| 14 | [illegible] | 2,000,000.0 | 1,281,213.0 | -718,787.0 | 64% |
| | სულ ხარჯები | 86,413,900.0 | 55,453,445.0 | -30,960,455.0 | 64% |

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

# დღეს ურჩ გადამხდელებს და ჩინოვნიკებს დასჯიან

პირველი გვერდიდან

საბაჟოს უფროსის შესახებ პირველი მკვეთრად კრიტიკული განცხადებები პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ რამდენიმე თვის წინ გააკეთა, როცა იგი ამ სფეროში არსებულ კორუფციასა და კონტრაბანდაზე ალაპარაკდა. მოლოდინი იმისა, რომ მირიან გოგიაშვილი ალეკო ასლანიკაშვილს თანამდებობიდან გაათავისუფლებდა, არც მაშინ იყო უსაფუძვლო, თუმცა, მინისტრმა თავისი კოლეგა კბილებით დაიცვა. მოგვიანებით, კვარტლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, საბაჟოს თემა კვლავ ამოტივტივდა, რადგან საბაჟო დეპარტამენტმა გეგმის შესრულებას 16 მილიონი ლარი დააკლო. ამის შემდეგ უკვე მთავრობის ყველა სხდომაზე ასლანიკაშვილის გათავისუფლებას მოელიან. მთავრობის დღევანდელ სხდომას კი, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო მინისტრთან გაფართოებული, ჟურნალისტებისათვის კი – დახურული, თათბირი უძღოდა წინ. სხდომიდან გამოსული ავთანდილ ჯორბენაძე საკმაოდ გაღიზიანებული ჩანდა, მან პრესისთვის არანაირი კომენტარი არ გააკეთა და ფინანსთა სამინისტროს საკმაოდ გრძელი კიბეები შესაშური სისწრაფით ჩაირბინა. სამაგიეროდ, "საიდუმლო სერობის" ნიუანსები სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ გასცა. ზოიძის თქმით, მირიან გოგიაშვილმა სახელმწიფო მინისტრისგან მიიღო დირექტივა - მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გააკეთოს განცხადება ადმინისტრაციულ ზომებთან დაკავშირებით იმ სფეროებში, სადაც პრობლემებია – საბაჟოსა და ლეგიონში. თავად ფინანსთა მინისტრი კი მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს კვლავ დაჟინებით უარყოფს. გადადგომის შესახებ ინფორმაციას საბაჟოს უფროსიც არ ადასტურებს.



ავთანდილ ჯორბენაძე ფინანსთა სამინისტროს ეწვია..

ცნობილი გახდა ისიც, რომ კოლეგიის გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის შექება საგადასახადო დეპარტამენტის უფროსმა იასე ზაუტაშვილმა დაიმსახურა. ამის მიზეზი საგადასახადო შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაა, (სამთავრობო თათბირებზე, როგორც წესი, ნაკლებად მსჯელობენ გადასახადების ამოღების იმ მეთოდებზე, რაც საქართველოშია გავრცელებული და რის შესახებაც "24 საათს" არაერთხელ დაუწერია). გარდა ამისა, ზაუტაშვილს უკვე მზადა აქვს ურჩ გადამხდელთა საკმაოდ დიდი სია, დაახლოებით, 50 ორგანიზაცია, რომელთა დავალიანება ბიუჯეტისადმი ასეულობით ათასიდან მილიონობით ლარს აღწევს. დღეს მთავრობის სხდომაზე საგადასახადოს უფროსი თითოეულ მათგანს დაასახელებს. როგორც იასე ზაუტაშვილმა "24 საათს" განუცხადა, დავალიანების მქონე ორგანიზაციებს შორის არიან ქართული და უცხოური კომპანიები თამბაქოს, ავიაციის, ენერგეტიკის, მრეწველობის სფეროებიდან. ზაუტაშვილის თქმით, ამ ორგანიზაციათა მინიმალური დავალიანება 200 ათასი ლარია, ხოლო მაქსიმალური - 17 მილიონი ლარი. როგორც ცნობილია, 17 მილიონ ლარს საგადასახადო დეპარატამენტი "თურქიშ ეარლაინზს" ედავება, რომელთანაც სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება უზენაეს სასამართლოში. ასე რომ, მთავრობის დღევანდელი სხდომა საკმაოდ დაძაბული უნდა გამოდგეს. ზემოაღნიშნულ საკითხებს კვარტლის ბიუჯეტის შესრულების განხილვაც დაემატება, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სავალუტო ფონდის წინაშე მთავრობის უპირველესი ვალდებულებაა.

# პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, ენერგეტიკოსები მთავრობას პრობლემების მოგვარებას სთხოვენ

სოფიკო ოხანაშვილი

*მაშინ, როცა მთავრობამ და ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ, როგორც იქნა, საერთო ენა გამონახა და, საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული პრობლემების ერთობლივი განხილვის მიზნით, ყრილობაზე შეიკრიბა, ქვეყნის ენერგოსისტემაში ავარია მოხდა. "იმერეთის" 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის გამორთვით აღმოსავლეთ საქართველოს ენერგოსისტემა "ნოლზე დაჯდა". "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის შოთა მაისურაძის თქმით, ავარიის მიზეზი დასავლეთ საქართველოში ამოვარდნილი ძლიერი ქარიშხალი გახდა. სისტემის მთლიანად აღდგენა და მუშაობის ძველ რეჟიმში დაბრუნება ნახევარ საათში მოხერხდა. მძიმე კლიმატური პირობების გამო, "იმერეთის" გადამცემი ე.წ. "შლეიფის" ერთი ხაზი დაზიანდა. მაისურაძის განმარტებით, დაზიანების ლიკვიდირება დღეისთვის უკვე დასრულდება.*
*მთავრობისა და ენერგეტიკოსების ერთად გამოჩენა, შესაძლოა, ენერგეტიკოსთა საზოგადოების სახელისუფლებო ბლოკ "ახალ საქართველოში" რეალური გაერთიანების წინაპირობაც იყოს. ამის შესაძლებლობა არც მთავრობის და არც ენერგეტიკოსების საზოგადოების წარმომადგენლებმა არ უარყვეს, თუმცა სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანების სანაცვლოდ, საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ მთავრობას ენერგეტიკის დარგში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების პროგრამის რეალიზების გარანტიები მოსთხოვა. გუშინ გამართულ ყრილობაზე ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის წარსადგენი წინადადებები შეაჯერა. მთავრობის წარმომადგენლებმა ენერგეტიკოსთა მიერ დარგის განვითარებასთან დაკავშირებით გამოთქმულ წინადადებებს მხარი დაუჭირეს.*

"იმერეთის" გადამცემ ხაზზე მომხდარი ავარიის გამო, საქართველოს ენერგეტიკოსთა ყრილობა გუშინ დაგვიანებით დაიწყო. ყრილობაზე, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოსული ენერგეტიკოსები ესწრებოდნენ, დარგში არსებულ კრიტიკულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. ენერგეტიკოსების საზოგადოებამ დარგში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად პროგრამა შეიმუშავა, რომელსაც უახლოეს მომავალში ხელისუფლებასაც წარუდგენენ. ენერგეტიკოსები მთავრობასთან სისტემატურ თანამშრომლობასა და ხშირ შეხვედრებსაც გეგმავენ. ენერგეტიკოსების მიერ შემუშავებული პროგრამა სისტემის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას, ტარიფების პრობლემის მოწესრიგებას, ხუდონჰესის მშენებლობის განახლებას, კანონის უზენაესობის აღიარებასა და არსებული სიმძლავრეების გაზრდას გულისხმობს.



მამუკა ნიკოლეიშვილი, დავით მირცხულავა, მირონ ფირცხელანი.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მამუკა ნიკოლეიშვილისა და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მტკიცების მიუხედავად, რომ გუშინდელი ყრილობა პოლიტიკურ მიზნებს არ ემსახურებოდა, ენერგეტიკოსთა საზოგადოების სახელისუფლებო ბლოკ "ახალ საქართველოში" შესაძლო გაერთიანებაზე უკვე გუშინვე ალაპარაკდნენ. სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანების სანაცვლოდ კი, საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ მთავრობას დარგში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების პროგრამის რეალიზების გარანტიები მოსთხოვა. ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის მირონ ფირცხელანის განცხადებით, ენერგეტიკოსები იმ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ მხარს, ვინც ენერგეტიკოსების მიერ მომზადებული პროგრამის განხორციელების დაწყებას უკვე ზაფხულისთვის უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში კი, თუ მთავრობა ენერგეტიკოსებს დარგში არსებული პრობლემების მოგვარებაში რეალურ მხარდაჭერას არ აღმოუჩენს, ფირცხელანის თქმით, ენერგეტიკოსები პირველები იქნებიან, ვინც ხელისუფლებას შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევს და ხალხს მთავრობის გადადგომისაკენ მოუწოდებს. **"ვინც მხარში ამოგვიდგება, ღმერთმა ქნას, მათ რიცხვში პრეზიდენტი და პარლამენტიც იყოს, ჩვენც მათ დავუჭერთ არჩევნებზე მხარს, მაგრამ თუ ჩვენი წინადადებების იგნორირებას მოახდენენ და ჩვენს წინადადებებზე მათი მხრიდან კვლავ მხოლოდ დაპირებები იქნება, ენერგეტიკოსთა საზოგადოება ხელისუფლების წინააღმდეგ ყველანაირ გამოსვლებს თავად ჩაუდგება სათავეში",** - განაცხადა ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ.

ფირცხელანის განცხადებით, მოლაპარაკებები ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს. სახელისუფლებო შტოებთან სისტემატურად იმუშავებს ჯგუფი, რომელიც ენერგეტიკოსთა საზოგადოების საბჭოს ბაზაზე ჩამოყალიბდება.

ენერგეტიკოსების სახელისუფლებო ბლოკში "ახალი საქართველო" შესაძლო გაერთიანებას არც დავით მირცხულავა გამორიცხავს. მისი თქმით, ენერგეტიკოსები ყოველთვის უჭერდნენ მხარს სახელმწიფოს საქმიანობას. **"არ შეიძლება, რომ ჩვენ სახელმწიფოს მხარი არ დავუჭიროთ, ჩვენ – ენერგეტიკოსები - სახელმწიფო ვართ. საქართველოს ენერგოსისტემაში 18 ათასი ადამიანი მუშაობს და მე არ მინახავს, რომ ვინმეს არასახელმწიფოებრივად ემსჯელა. ამ ადამიანებს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა, მაგრამ თავის საქმეს ისინი პირნათლად აკეთებენ",** - განაცხადა მირცხულავამ. თუმცა, იქვე ისიც აღნიშნა, რომ გუშინდელი შეხვედრის მიზანი არა პოლიტიკური განცხადების გაკეთება, არამედ დარგში არსებული პრობლემებისა და საქმიანი წინადადებების განხილვა იყო.

გუშინდელ ყრილობაზე მან მხარი დაუჭირა ენერგეტიკოსთა მიერ დარგის განვითარებასთან დაკავშირებით გამოთქმულ წინადადებებს და აღნიშნა, რომ, როგორც ენერგეტიკოსი, კოლეგებს ყოველთვის მხარში ამოუდგება. მირცხულავას თქმით, უახლოეს ხანებში სამინისტროს წარმომადგენლები რეგიონებში ჩასვლას და ადგილობრივ ენერგეტიკოსებთან შეხვედრას გეგმავენ.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი ენერგეტიკოსებს მთავრობის დახმარებას დაჰპირდა. ნიკოლეიშვილის განცხადებით, ამ დარგს მთავრობის მხარდაჭერა არც წელს დააკლდება. **"მთავრობა, ენერგეტიკის ყველა რგოლი და უცხოური მენეჯმენტი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის დასახმარებლად არის შემოსული, ყველაფერს აკეთებს დარგში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის მაგალითია არგადამხდელთა შეზღუდვა, რაც თანხების ამოღებასთან არის დაკავშირებული, ასევე დაბეგვრის შემსუბუქების მოდელზე მუშაობა",** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ.

მირცხულავას თქმით, ენერგეტიკის სფეროში არსებული მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო ენერგოსისტემასა და "ეი-ი-ეს თელასს" შორის პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმება და საბითუმო ბაზრის რეორგანიზაციასთან და საბაზრო წესებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული პროგრამის მომზადება. მირცხულავას განმარტებით, პირდაპირი ხელშეკრულება ხელფასების დარიგების პრობლემას საბოლოოდ გადაჭრის. პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების დადებით შედეგებზე საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის გენერალურმა დირექტორმა ბრაიან ქრონლიმაც ისაუბრა. **"ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს კლიენტებს გადაცემის და დისპეტჩერიზაციის რა მომსახურებასაც გავუწევთ, იმის შესაბამისი ანაზღაურება გვექნება ყველანაირი შუამავალი რგოლის გარეშე, რაც მოგვცემს საშუალებას, ტარიფში გათვალისწინებული ჩვენი კუთვნილი თანხა სრულად მივიღოთ",** - განმარტა ბრაიან ქრონლიმ. მისივე თქმით, მათი ერთ-ერთი მიზანი ისეთი სისტემის შექმნაცაა, რომელიც ხელფასების რეგულარულ და შეუფერხებელ გაცემას უზრუნველყოფს.

# არასამთავრობოები ფოთის ტერმინალების ტენდერს აპროტესტებენ

სოფო კვინტრაძე

*ფოთის ნავსადგურის ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით გადაცემაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ფირმების უკან ნავსადგურის უფროსის ჯემალ ინაიშვილის ინტერესებს მოიაზრებენ, რომელიც ამავდროულად სატენდერო კომისიის თავმჯდომარეცაა. არასამთავრობო ორგანიზაციები ტენდერს აპროტესტებენ, "ახალგაზრდულმა ალიანსმა" ფოთის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.*

არასამთავრობო ორგანიზაციამ "ახალგაზრდულმა ალიანსმა" ფოთის საქალაქო სასამართლოში შვიდ აპრილს სარჩელი შეიტანა. ორგანიზაცია ფოთის ნავსადგურის ოთხი ტერმინალის გრძელვადიანი იჯარით გადასაცემად გამოცხადებულ ტენდერს აპროტესტებს და აცხადებს, რომ ტენდერის ჩატარების შესახებ ნებართვა ქალაქ ფოთის მერმა დავით ქანთარიამ ერთპიროვნულად გასცა. სარჩელი მოითხოვს - გაუქმდეს ტენდერი და ქალაქ ფოთის საკრებულოს და მოსახლეობას საშუალება მიეცეს, სრულად გაეცნოს იმ პირობებს, რითაც აღმასრულებლებმა ტერმინალების 10 წლის ვადით იჯარით გაცემა გადაწყვიტეს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შიშობენ, რომ პირობები ქართული მხარისათვის საკმაოდ კაბალურია. როგორც "24 საათთან" საუბარში "ახალგაზრდული ალიანსის" წარმომადგენელმა გოჩა ღადუამ აღნიშნა, ნავსადგურის უფროსმა ჯემალ ინაიშვილმა სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი გასაცნობად და შენიშვნების მისაღებად ფოთის მერს გაუგზავნა. (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დოკუმენტაციის გაცნობის მსურველებს სამი ათასი დოლარი უნდა გადაეხადათ) დავით ქანთარიამ ტენდერის ჩატარების ვიზირება მოახდინა, თუმცა ეს პროცედურა ფოთის საკრებულოსთან არ შეუთანხმებია. **"შიდა განაწესის თანახმად, მერს არ ჰქონდა უფლება, რომ ვიზირება საკრებულოს გარეშე მოეხდინა. საკრებულოში კი აცხადებენ რომ მათთვის სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი არ წარუდგენიათ,"** – აცხადებს გოჩა ღადუა. ფოთის მერი სატენდერო კომისიის წევრია და, როგორც მან არასამთავრობოებს უთხრა, სატენდერო დოკუმენტაცია სწორედ ამიტომ გააცნეს. არასამთავრობოები კი აცხადებენ: მერმა დაარღვია პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელშიც ნათქვამია, რომ ტენდერი ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან სრული შეთანხმებითა და თანამშრომლობით უნდა ჩატარდეს. სარჩელი, რომელიც შვიდ აპრილს, ანუ სატენდერო წინადადებების გახსნამდე სამი დღით ადრე შევიდა სასამართლოში, მასში არსებული ხარვეზის გასასწორებლად 11 აპრილს მოსარჩელე მხარეს უკანვე დაუბრუნეს. გოჩა ღადუა მიიჩნევს, რომ საბაბი აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო, თუმცა, მათ მაინც დააკმაყოფილეს სასამართლოს მოთხოვნა და სასამართლოში დამატებითი დოკუმენტაცია წარადგინეს. არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ფოთის სასამართლო ცდილობს, ამ სარჩელის განხილვა თავიდან აიცილოს. ამ საკითხებთან დაკავშირებით, "ახალგაზრდული ალიანსი" დღეს ფოთში პრესკონფერენციას გამართავს.

ადგილობრივმა არასამთავრობოებმა "24 საათს" ისიც შეატყობინეს, რომ ფოთში უკვე საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი სამივე ფირმის უკან ნავსადგურის უფროსის და სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის ინტერესები დგას. როგორც ცნობილია, ტერმინალები სამ ლოტად იყო წარმოდგენილი და ყველა ლოტზე თითო განაცხადი გახლდათ შეტანილი, სამივე მსურველი ქართული ფირმაა. მესამე და მეოთხე ტერმინალების იჯარით აღების სურვილი თბილისში რეგისტრირებულმა ფირმამ "პრომეთ კო ჯორჯიამ" გამოთქვა, მეხუთე ტერმინალის - ფოთში რეგისტრირებულმა შპს-მ "მეტალ ექსმა", ხოლო მერვე ტერმინალის - ფირმამ "ბი ენდ პიმ", რომელიც ასევე ფოთშია რეგისტრირებული. არასამთავრობოების სერიოზულ ეჭვს ის ფაქტიც იწვევს, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი მხოლოდ სამი ფირმა აღმოჩნდა, მაშინ როცა არსებობს ინფორმაცია, რომ ტერმინალების იჯარით აღება რამდენიმე უცხოურ ფირმასაც უნდოდა. **"ჩვენ გვქონდა წინასწარი ინფორმაცია, რომ ეს სამი ფირმა გაიმარჯვებდა ტენდერში, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ სხვა ფირმების განაცხადებებიც კი არ იქნებოდა, თუნდაც, ფორმალურად მაინც,"** – აცხადებენ არასამთავრობოები.

ჯეოსელის გაზაფხულის მწვანე აქცია
დარეკეთ 7055 და დარგეთ 1 ხე საქართველოს დედაქალაქში
ერთი ზარის საფასურია 1 ლარი (მხოლოდ ჯეოსელის აბონენტებისათვის)
კანში ჩატარებულ 2001 წლის GSM კონგრესზე ჯეოსელის მწვანე აქციამ გაიმარჯვა ნომინაციაში "GSM და საზოგადოება"

# ერაყელები მომავალზე ვერ თანხმდებიან

პირველი გვერდიდან

"ხელისუფლებას სასულიერო წრეები იღებენ ხელში, სხვა ხელისუფლება არც არსებობს. ხალხი სასულიერო პირებს უნდა დაემორჩილოს," – განაცხადა მეორე იმამმა, აბდელ ჰასანმა.

საერო ხელისუფლების დამხობის შემდეგ ერთადერთ ორგანიზებულ ძალად რელიგიური სტრუქტურები რჩებიან. მათ ხელთაა კომუნიკაციის ერთადერთი ფუნქციონირებადი საშუალება: მეჩეთები და მეგაფონები, რომლებიც მორწმუნეებს სალოცავად მოუხმობენ და ბრძანებებსაც ავრცელებენ.

ბაღდადის მეჩეთები სავსეა შეიარაღებული ხალხით. სწორედ ისინი ცდილობენ ქალაქში წესრიგის დაცვას და ქურდობისა და მოროდიორობის აღკვეთას. თვითეულ იმამს საკუთარი შეიარაღებული რაზმი ჰყავს.

ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, როგორი ურთიერთობები ექნებათ შიიტ იმამებს ამერიკელებთან. "ამერიკელებმა მითხრეს დალაპარაკება, მაგრამ უარი ვუთხარი; რომ დალაპარაკებოდი, ჩემი ავტორიტეტი დაეცემოდა," – ამბობს იმამი ალავი. ხალხში ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჰუსეინის დროს მისი ოჯახის რვა წევრი დახვრიტეს. მისი თქმით, ის იმამები, რომლებიც ადრე ჰუსეინის რეჟიმთან თანამშრომლობდნენ, ახლა ამერიკელებთან გამონახავენ საერთო ენას; ისინი კი, ვინც ადრეც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლები იყვნენ, ახალი ხელისუფლების დროსაც ასეთებად დარჩებიან.

ამერიკელებმა უკვე გამონახეს საერთო ენა შიიტთა ერთ ნაწილთან. დიდმა აიათოლამ, ალი სისტანიმ ჯერ კიდევ ომის დროს გამოსცა ფატვა, რომლითაც შიიტებს (ისინი კი ერაყის მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ) მოუწოდა, ბრძოლაში არ ჩარეულიყვნენ. შიიტთა წინამძღოლების მეორე ნაწილი კი ირანთანაა დაკავშირებული, იმ ერთადერთ სახელმწიფოსთან, რომელსაც შიიტები მართავენ.

ამ ორ დაპირისპირებულ ფრთას შორის უკვე შეიარაღებული დაპირისპირებაც მოხდა. სისტანი და მასთან ერთად ორი სხვა აიათოლა მოწინააღმდეგეებს ქალაქ ნაჯაფში ორი დღის განმავლობაში ალყაში ჰყავდათ მომწყვდეული.

მიმომხილველები შიშობენ, რომ თუ ბაღდადში სამოქალაქო ხელისუფლება სასწრაფოდ არ აღდგა, რელიგიური ლიდერების მოწოდებებს სულ უფრო მეტი ხალხი გამოეხმაურება. რამდენიმე დღის წინ სასტუმრო "პალესტინასთან" შეკრებილი დემონსტრანტები აშკარად გამოთქვამდნენ ამერიკელებით უკმაყოფილებას და თეოკრატიული სახელმწიფოს დაარსებას მოითხოვდნენ. "ეს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში, – განუცხადა ერთ-ერთმა დემონტრანტმა "როიტერის" კორესპონდენტს, – ჩვენ კი არც წყალი გვაქვს, არც შუქი. ეს არის თავისუფლება?"

თუმცა არსებობს კოალიციის მიმართ მეორე შეხედულებაც. "ნიუ-იორკ თაიმსის" ჟურნალისტის კითხვაზე - რას მოგიტანენ ამერიკელები? ერაყელმა, რომელიც ქალაქ ნაჯაფში კოალიციის ტანკებს ყვავილებით ხვდებოდა, უპასუხა: "დემოკრატიას, ვისკის და სექსს". მოსახლეობის ამ ნაწილისათვის კოალიციის ტანკები ყველაზე მეტად "ამერიკულ ოცნებასთან" ასოცირდება.

კოალიცია პროტესტებს უკვე სერიოზულად ეკიდება. დაიწყო ბაღდადის პოლიციის აღდგენა. თუმცა, ომამდელი 40 ათასი პოლიციელიდან სამსახურს ჯერ მხოლოდ ორი ათასი დაუბრუნდა, მათ შორის - ქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი ნუამი.




ბაღდადში ჩავიდნენ რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის (პენტაგონის შემადგენლობაში შემავალი სამსახური, რომელსაც გარდამავალ პერიოდში ერაყის მართვა დაევალება) წარმომადგენლებიც. მათი უპირველესი მოვალეობა ძირითადი სოციალური ინფრასტრუქტურის (დენისა და წყლის მიწოდება, საავადმყოფოების, გზების, სკოლების) აღდგენა იქნება. წესრიგის დაცვას ამერიკელი სამხედროები განახორციელებენ ადგილობრივი პოლიციის დახმარებით.

ამის შემდეგ კი დღის წესრიგში ყველაზე მნიშვნელოვანი - ერაყის პოლიტიკური მოწყობის საკითხი დგება, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ნავთობსაბადოების ბედი.

ანალიტიკოსები ერაყის მომავალი ხელისუფლების ჩამოყალიბების ორ მეთოდზე საუბრობენ: ერთი ე.წ. "ბუნებრივი გადარჩევის" მეთოდია, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა ერაყულმა დაჯგუფებებმა თავად უნდა გაარკვიონ ურთიერთობები ერთმანეთში, შემდეგ კი გამარჯვებული ბუნებრივად შექმნის მთავრობას და უზრუნველყოფს მის სტაბილურობას. სავარაუდოა, რომ ეს ახალ სისხლისღვრას გამოიწვევს. ნაჯაფში ამერიკელების შუამავლობით გამართული შეხვედრისას ჯგუფებმა, რომლებიც, ჩანაფიქრის მიხედვით, ერთმანეთს უნდა შერიგებოდნენ, ერთმანეთი დახოცეს. ქურთებმა ბენზინი გადაასხეს და დაწვეს დანებებული ერაყელი ჯარისკაცი.

ამ მეთოდის გამოყენებას აშშ-ს ადმინისტრაციის ნაწილი ემხრობა, რადგან იგი არ მოითხოვს, ერაყში ამერიკული ჯარების ხანგრძლივად დატოვებას. დაახლოებით ასეთი სცენარით განვითარდა მოვლენები ავღანეთში.

ამ გზას კიდევ ერთი ნაკლი აქვს: შესაძლოა, ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტები ან ულტრანაციონალისტები მივიდნენ. ექსპერტების თქმით, იგივე შედეგი თავისუფლად შეიძლება მოჰყვეს უახლოეს მომავალში ერაყში არჩევნების ჩატარებასაც. აი, რას ამბობს ბოსნიის ყოფილი გუბერნატორი ბრიტანელი პედი ეშდაუნი: "ჩვენ გვეგონა, რომ დემოკრატია უმაღლესი პრიორიტეტი იყო და რაც უფრო ხშირად ჩავატარებდით არჩევნებს, მით უფრო ჩქარა დავამკვიდრებდით მას. შედეგად ის მივიღეთ, რომ რამდენიმე წელიწადში ბოსნიელ ხალხს მობეზრდა ხმის მიცემა. გარდა ამისა, არჩევნებზე ფოკუსირების გამო, ჩვენ საკმარისი ყურადღება ვერ მივაქციეთ დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, რამაც ცხოვრების დონის აწევისა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვის საშუალება არ მოგვცა. ახლა უკვე მესმის, რომ ყველაზე მნიშნელოვანი კანონის უზენაესობა უნდა ყოფილიყო, რადგანაც სხვა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული: ფუნცქიონირებადი ეკონომიკაც, პოლიტიკური სისტემაც, სამოქალაქო საზოგადოებაც და ხელისუფლებისადმი სახელმწიფოს ნდობაც".

მეორე მეთოდი, ამერიკელების მიერ ახალი ხელისუფლების "დასმაში" მდგომარეობს. ამგვარი ხელისუფლების ლიდერის კანდიდატურაც უკვე ცნობილია – ერაყელი ემიგრანტი, ყოფილი ბანკირი აჰმად ჩალაბი. მას აშკარად უჭერს მხარს პენტაგონი. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და სახელმწიფო დეპარტამენტი მისი წინააღმდეგნი არიან, რადგან მას ერაყში 1958 წლის შემდეგ აღარ უცხოვრია და, ფაქტობრივად, აღარავინ იცნობს. გარდა ამისა, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩალაბის იორდანიაში ჯერ კიდევ ეძებენ მოტყუებული მეანაბრენი.

სამხრეთ ერაყის შიიტური ჯგუფები აცხადებენ, რომ ისინი არ სცნობენ "ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების გმირებს". მათი თქმით, როდესაც ისინი სადამის რეჟიმის ქვეშ იტანჯებოდნენ, ემიგრანტები ლონდონსა და სხვა ქალაქებში განცხრომით ცხოვრობდნენ.

უთანხმოება აშკარად გამოჩნდა გუშინ ნასირიაში გამართულ შეხვედრაზეც. ერაყის დროებითი მთავრობის (ფორმალურად მას "ერაყის რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისი" ეწოდება) მეთაურმა, გენერალმა ჯეი გარნერმა ეს შეხვედრა ერაყული დემოკრატიის დასაწყისად გამოაცხადა; მაგრამ, შიიტების უმრავლესობამ (მათ შორის - "ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესმა საბჭომ") ამ შეხვედრას ბოიკოტი გამოუცხადა.

თუ ერაყელებს შორის კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა, მაშინ ამერიკას ჩალაბის მხარდასაჭერად დიდი სამხედრო და ფინანსური რესურსების გამოყენება მოუწევს. ეს კი, ალბათ, ერაყელების დამოკიდებულებას ამერიკისადმი მნიშვნელოვნად გააუარესებს და რადიკალური დაჯგუფებების პოზიციებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ერაყში დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაა: არაბი შიიტები, ქურთები, თურქომანები და არაბი სუნიტები. ეს უკანასკნელნი აქამდე თითქმის მთელ ძალაუფლებას ფლობდნენ. მათგან იყო დაკომპლექტებული როგორც მთავრობა, ისე რესპუბლიკური გვარდია და უშიშროების სამსახურები. სამაგიეროდ, ერაყის ნავთობის საბადოები მთლიანად დანარჩენი ჯგუფების კონტროლირებად ტერიტორიაზეა განთავსებული. ის, თუ რომელი დაჯგუფება იქცევა ამერიკელების დასაყრდენად და როგორი იქნება მათ შორის კომპრომისი, დღეს ძნელი სათქმელია.

# არიელ შარონი კომპრომისისთვის მზად არის



არიელ შარონი.

ლევან ღირსიაშვილი

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური რეალიების წარმოქმნას მისცა ბიძგი. ეს, პირველ რიგში, ისრაელ-პალესტინის ნახევარსაუკუნოვან კონფლიქტს შეეხება. ამჟამად, ისრაელის ხელისუფლება კომპრომისებისათვის მზად არის. პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის განცხადებით, მშვიდობის მისაღწევად თელ-ავივი თანახმაა, რამდენიმე ებრაულ დასახლებაზე უარი თქვას. მან ამის თაობაზე ისრაელში გამომავალ ლიბერალურ გაზეთთან "ჰარეცთან" ინტერვიუში განაცხადა.

არიელ შარონის თქმით, ეს კომპრომისი ისრაელისათვის საკმაოდ მტკივნეული იქნება, მაგრამ მშვიდობისათვის ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. ამავე დროს, არიელ შარონმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, აშშ-ს მიერ შექმნილი გეგმის ზოგიერთ პუნქტს არ ეთანხმება. როგორც ცნობილია, ეს გეგმა "საგზაო რუკის" სახელით არის ცნობილი. ისრაელმა უკვე გააგზავნა ვაშინგტონში ოფიციალური დელეგაცია, რომელმაც თეთრი სახლის წარმომადგენლებს გეგმაში შესატანი 15 შესწორება უნდა წარუდგინოს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს განცხადებით, "საგზაო რუკის" რეალიზაციის დაწყება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც პალესტინის ადმინისტრაციაში მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება მოხდება. ჯერ კიდევ ერაყში ომის დაწყებამდე ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო "ოთხეულის" ზეწოლით, პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი ადმინისტრაციის რეფორმირებას დათანხმდა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა შემოიღო. ამ პოსტზე დასავლეთისა და ისრაელისათვის მისაღები პიროვნება მაჰმუდ აბასი (აბუ მაზენი) დაამტკიცეს. ახლახან პალესტინის პრემიერ-მინისტრმა არაფატს მინისტრთა კაბინეტის წევრთა სია წარუდგინა. მთავრობის წევრების კანდიდატურებთან ერთად, მაჰმუდ აბასმა პალესტინის ლიდერს მომავალი საკანონმდებლო რეფორმების შესახებ საკუთარი პროექტიც გააცნო. როგორც ჩანს, არაფატს ერთპიროვნული მმართველობის დათმობა მაინც უჭირს. მან პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული პროექტი, მთავრობის ფორმირების შესახებ, არ მიიღო. როგორც ჩანს, პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასის წინადადებამ გააღიზიანა, რომლის თანახმადაც ის, მომავალ მთავრობაში, პრემიერ-მინისტრის პარალელურად, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტსაც შეითავსებდა. ეს კი აბასს არაფატზე არანაკლებ გავლენიან ფიგურად აქცევს. თანაც, არაფატისგან განსხვავებით, მას დასავლეთი მხარს უჭერს და გარკვეულ გავლენიან წრეებში პალესტინის მომავალ ლიდერადაც მოიაზრება. ამდენად, არაფატი, ჯერჯერობით, პოზიციების დათმობისათვის მზად არ არის. ეს კი ვაშინგტონის მოლოდინს არ ამართლებს, რომლის თანახმადაც, პალესტინის მინისტრთა კაბინეტმა ადმინისტრაციის მოქმედების ფინანსურ გამჭვირვალობას უნდა შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, თეთრი სახლი იმედოვნებს, რომ მაჰმუდ აბასის მთავრობა ყველაფერს იღონებს იმ ტერორისტების იზოლაციისათვის, რომლებიც ისრაელის მშვიდობიან მოქალაქეთა ცხოვრებას საფრთხეს უქმნიან.

არაფატისგან განსხვავებით, კომპრომისებისათვის მზადყოფნას გამოხატავს თვად არიელ შარონი, რომელიც წლების განმავლობაში 1967 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების გაფართოებას და გაძლიერებას უჭერდა მხარს. ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ის მზად არის, პალესტინელთა მოთხოვნები გაითვალისწინოს და ეს ოკუპირებული ტერიტორიები პალესტინის ადმინისტრაციას გადასცეს. **"ეს ნებისმიერი ებრაელისათვის და, პირადად, ჩემთვის მტკივნეული იქნება. მთელი ჩვენი ისტორია ამ ადგილებს უკავშირდება: ბეთლემი, შილო, ბეით-ელი. მე მესმის, რომ ჩვენ მოგვიწევს, ამ ადგილებზე უარი ვთქვათ. როგორც ებრაელს, მე ეს აზრი მტანჯავს. მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის ყველაფერი გავაკეთო,"** - ამბობს არიელ შარონი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მშვიდობა ისრაელისათვის საკმაოდ ძვირად ფასობს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ დასახლებებზე იტყვის უარს ისრაელი. სავარაუდოა, რომ ის ყველას არ დათმობს. არიელ შარონის პრეს-მდივნის რაანან გისინის განმარტებით, პრემიერ-მინისტრს ის ადგილები ჯერ არ განუსაზღვრავს, რომლებსაც თელ-ავივი შეელევა.

პალესტინელი მებრძოლების დიდი იმედის - სადამ ჰუსეინის დამხობამ, არიელ შარონი საკმაოდ ოპტიმისტურად განაწყო, რადგან ეს ყველაზე რადიკალ პალესტინელებშიც კი მოლაპარაკებების დაწყების სურვილს გააჩენს. **"არაბულ ქვეყნებთან და პალესტინელებთან ახალი ურთიერთობების ფორმირების შესაძლებლობა გაჩნდა,"** - აცხადებს ისრაელის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც აქედანვე იცის, რომ მის კომპრომისულ ინიციატივას პალესტინელებზე არანაკლებ რადიკალი თანამემამულეების მხრიდან საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდება. ებრაული დასახლებების – იუდეის, სამარიის და ღაზას სექტორის საბჭოს წარმომადგენელმა ისრაელის ლიდერის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თავისი და თანამოაზრეების ნეგატიური პოზიცია უკვე გამოხატა. **"როგორც ჩანს, შარონმა ებრაელების საკუთარი სახლებიდან გამოყრა გადაწყვიტა,"** - აცხადებს ებრაული თემის ერთ-ერთი ლიდერი.

თავად პალესტინელები კი, შარონის ინიციატივას საკმაოდ თავშეკავებულად შეხვდნენ. **"პალესტინელებს სურთ საქმე და არა სიტყვა,"** - განაცხადა პალესტინის მინისტრთა კაბინეტის წევრმა საებ ერექათმა. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საქმემდე ჯერ სიტყვა არსებობდა, შარონის კომპრომისული ინიციატივა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების იმედს აშკარად იძლევა. შარონი პირველი ნაბიჯისათვის მზად არის. ახლა ჯერი პალესტინელებზეა.

# ერაყის უძველესი ბიბლიოთეკა აღარ არსებობს

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოს ბაღდადში ერაყის ეროვნული ბიბლიოთეკის განადგურების შესახებ აუწყეს. უძველესი ბიბლიოთეკა ძლიერმა ხანძარმა იმსხვერპლა. ცეცხლში დაიწვა არა მარტო ფასდაუდებელი წიგნები, არამედ ერაყის ეროვნული არქივი, რომელიც ერაყის სამეფო კარის და ოტომანთა იმპერიის დროინდელ დოკუმენტებს და ჩანაწერებს შეიცავდა. ბრიტანული გაზეთის "ინდეპენდენტის" კორესპონდენტის რობერტ ფისკის ინფორმაციით, ბაღდადის საქალაქო არქივის და ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში დაუდგენელი შეიარაღებული პირები შეცვივდნენ და ყველაფერს ცეცხლი წაუკიდეს. გადარჩა მხოლოდ ისლამური სამართლის რამდენიმე წიგნი, რომლებიც ცეცხლმოდებული შენობიდან ათი წლის ბიჭმა გამოიტანა.

ფისკი, რომელიც თავისი მემარცხენე და ანტიამერიკული შეხედულებებით არის ცნობილი, აცხადებს, რომ ხანძრის გაჩენის დროს იქვე მყოფმა ამერიკელებმა შენობის გადასარჩენად არაფერი იღონეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვისი ბრძანებით დაიწვა ბიბლიოთეკა და საერთოდ საეჭვოა, რომ ეს როდისმე გახდეს ცნობილი. ბაღდადში ხომ, სადამის რეჟიმის დამხობის დღიდან მასობრივი ქაოსი და განუკითხაობაა გამეფებული. აბსოლუტურად ყველა ადმინისტრაციული შენობა გაძარცული და დარბეულია. მოროდიორების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ერაყის ნაციონალური მუზეუმი გახდა. მოროდიორები არც საელჩოებს ინდობენ. გუშინ მათ ერაყში უკრაინის საელჩოს შენობა პირწმინდად "გაასუფთავეს". მართალია, ამერიკელ სამხედროებთან ერთად, ქალაქში წესრიგის დასამყარებლად ერაყელი პოლიციელებიც გამოვიდნენ, მაგრამ ბაღდადისათვის და ერაყის კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებულ ზარალს უკვე ველარაფერი აანაზღაურებს.

ბაღდადის ეროვნული ბიბლიოთეკის და არქივის განადგურებამ საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ერაყის ნაციონალური მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრესად მოიხსენია და განაცხადა, რომ აშშ, ევროკავშირთან და იუნესკოსთან ერთად, მის აღდგენაში წამყვან როლს შეასრულებს.

ხუთშაბათს, ერაყის ისტორიის და ხელოვნების დარგში მოღვაწე წამყვანი სპეციალისტები საგანგებო შეხვედრას გამართავენ. ისინი დაკარგული და განადგურებული ექსპონატების შეფასებას შეეცდებიან. ერაყის კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებული ზარალი იუნესკომ უკვე შეაფასა მხოლოდ ერთი სიტყვით - "კატასტროფა."

# არაბული პრესის მტკიცებით, სადამის ინფორმაციის მინისტრმა თავი მოიკლა

არაბულმა ინტერნეტ-გაზეთმა "ალ ბავაბმა" გუშინ გაავრცელა ცნობა, რომლის მიხედვითაც სადამის მთავრობის ინფორმაციის მინისტრმა მუჰამედ საიდ საჰაფმა თავი მოიკლა. საჰაფმა ეს ნაბიჯი კოალიციის ჯარების მიერ ბაღდადის აღების დღეს გადადგა. "ალ ბავაბი" იმოწმებს ირანში გამომავალ არაბულენოვან გაზეთ "ალ უიფაკს", რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია ირანის საზღვართან, ქალაქ დელხორანის ახლოს დაბანაკებული ლტოლვილებისგან შეიტყო. ლტოლვილების მტკიცებით ექს-მინისტრმა 9 აპრილს დილით, ბაღდადში ამერიკელების შესვლის წინ, საკუთარ სახლში ჩამოიხრჩო თავი.

უკანასკნელად საჰაფი 8 აპრილს , სასტუმრო "პალესტინის" მახლობლად ნახეს, როცა ამერიკელთა ტანკიდან ნასროლ ტყვიებს 2 უცხოელი შეეწირა და 3 დაიჭრა.

საიდ საჰაფი სადამის რეჟიმის იმ 55 მსხვილ მოხელეთაგანია, რომლებსაც ამერიკა ეძებს.

# შევინარჩუნოთ თავისუფალი მასმედია!

**"ჩვენ მოგიწოდებთ, ნუ განიხილავთ მასმედიას ბიზნესად, ხუთი წლის განმავლობაში გამოვაცხადოთ მორატორიუმი მის დაბეგვრაზე და შევუნარჩუნოთ ჩვენს ხალხს პურთან ერთად გაზეთის – ინფორმაციის მიღების საშუალება, შევინარჩუნოთ თავისუფალი მასმედია!"** – ეს გახლავთ ოცდაათამდე გაზეთის ერთ ასოციაციაში გაერთიანების მთავარი მიზეზი.

ასოციაცია "თავისუფალი პრესის" პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "მეტეხში" შედგა, სადაც ჟურნალისტებთან ერთად პრესის პრობლემებზე პოლიტიკოსებიც საუბრობდნენ.

ერთ ასოციაციაში გაერთიანება ჟურნალისტებს რომან გოცირიძემ, გიორგი ბარამიძემ, ნიკო ლეკიშვილმა, ელენე თევდორაძემ, ვახტანგ რჩეულიშვილმა და სხვა ცნობილმა სახეებმა მიულოცეს.

ის, რომ გაზეთი ისევე იბეგრება, როგორც მეტალურგიული ქარხანა, გამომცემლებზე არანაკლებ, თურმე, პოლიტიკოსებს ადარდებთ. **"ერთადერთი სფერო, სადაც საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, გამოიყენოს სიტყვა შეღავათი, ეს არის პრესა,"** – აღნიშნა რომან გოცირიძემ და პრესისთვის საგადასახადო შეღავათების აუცილებლობაზე ისაუბრა. "სოციალისტი" ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც არასამუშაო გარემოშიც საკუთარი ბლოკის გახვავრიელებაზე ზრუნავს, ასოციაციაში გაერთიანებულ ჟურნალისტებს ახალ სახელისუფლებო ბლოკში გაწევრიანებისკენ მოუწოდებდა. რჩეულიშვილის წინადადება ასოციაციის წევრებმა ზრდილობიანად უარყვეს და კორექტულად შეახსენეს, რომ "თავისუფალი პრესა" არც ერთ პოლიტიკურ ბლოკს არ შეუერთდება, თუმცა მზადაა პოლიტიკოსებისგან საკანონმდებლო მხარდაჭერა მიიღოს.

*„24 საათი"*

# გააჩინეთ 4-5 შვილი, მერია დაგეხმარებათ

ნანა ქადაგიშვილი

*ქალაქის მერს ტრადიცია არც გუშინდელ სამშაბათს დაურღვევია და ჟურნალისტებთან ერთად, სამი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი მოინახულა - სამშობიარო სახლი, თოჯინების თეატრი და ახალი სკვერი.*

თუკი გასულ კვირას საკრებულოს თავმჯდომარემ №5 სამშობიარო სახლის ახალშობილები დაასაჩუქრა, ვანო ზოდელავა საპატრიარქოს წმ.იოკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლს ეწვია და ერთ-ერთ 4-შვილიან დედას 200 ლარი გადასცა. თუმცა, თბილისის მერს მხოლოდ ეს მრავალშვილიანი დედა არ გამოურჩევია. ამიერიდან ყველა დედა, ვინც მეოთხე შვილს გააჩენს, ამდენივე თანხას მიიღებს. ხოლო თუკი მე-5 ბავშვის გაჩენასაც მოინდომებს, 500 ლარით დასაჩუქრდება. ამის გარდა, ყველა მრავალშვილიანი დედა ყოველთვიურად თითო ბავშვზე 5 ლარს მიიღებს. ქალაქის ბიუჯეტში ამისთვის 1,5 მლნ. ლარია ჩადებული. მრავალშვილიანი დედები ამ ყოველთვიურ დახმარებას დიდი აღტაცებით არ შეხვედრიან. მით უმეტეს ისინი, ვინც ერთჯერადი დახმარების სახით, ბევრად მეტს იღებდნენ. თუმცა, მერმა დაამშვიდა, ეს თანხა ბევრი არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში გავზრდითო.

გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრში ზოდელავამ ჟურნალისტები გათბობის სისტემის აღდგენითი სამუშაოების სანახავად მიიწვია. 10 წელია, თეატრის შენობას გათბობა არ ღირსებია. წელს კი მერიამ თეატრში საქვაბის მოსაწყობად 24 300 ლარი გამოყო და თანამშრომლებს შენობის გადახურვასაც შეპირდა.

მერიამ ქალაქის გამწვანებული ადგილებისთვისაც მოიცალა და გაყიდვა-განადგურებას გადარჩენილი სკვერების აღსადგენად წლევანდელი ბიუჯეტიდან 450 ათასი ლარი გამოყო. გუშინ კი ჟურნალისტებს საბურთალოს ქუჩაზე გაშენებული მოპირკეთებულ-კეთილმოწყობილი და საქანელებით დამშვენებული პარკი დაათვალიერებინა. ასე რომ, მერიამ სკვერების მხოლოდ გაყიდვა როდი იცის, გაკეთებაც შეძლებია. უფრო მეტიც, ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან თბილისის გამწვანებაზე 1,6 მლნ. ლარი დაიხარჯება. მაგალითად, გლდანის მე-6 მიკრორაიონში უკვე 300 ძირი იფანი და ნეკერჩხალი დარგეს, ხეების დარგვა დიდ დიღომში, ისან-სამგორისა და ნაძალადევის რაიონშიც დაიწყეს.


„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი | პასუხის ტექსტი |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები ...

თუ გაიზიარებთ ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.


# სახარება უსინათლოებისთვის

ეთერ მამულაშვილი

*"ინანებ ვიცი აქედან წასვლას, ხელს თუ არ გააყოლებ ამ ლამაზ ჩანთას". ეს კოტე ყუბანეიშვილის მორიგი ექსპრომტი არ გეგონოთ. თბილისელი ბავშვების მიერ უცბად გარითმული მსგავსი სტროფები გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ გასაყიდად გამოფენილ უამრავ ნივთს ჰქონდა მიწერილი.*



*"სავაჭრო დახლი" სწრაფად დაცარიელდა.*

გუშინდელი საქველმოქმედო აქცია "დავეხმაროთ ერთმანეთს" საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის "ძლევაის" მიერ იყო ორგანიზებული. ცენტრში ძირითადად 18-25 წლის ახალგაზრდები არიან გაერთიანებულები. მათ მიერ დღემდე განხორციელებული უამრავი საქველმოქმედო პროექტით, ძირითადად ობოლმა და ინვალიდმა ბავშვებმა იხეირეს.

გუშინდელი აქციიდან შემოსული თითოეული თეთრი უსინათლოთათვის სახარების დაბეჭვდა-გამოცემას მოხმარდება. ცენტრში პირველ ეტაპზე სახარების ასორმოცდაათამდე ეგზემპლარის გამოცემას ვარაუდობენ. ამისთვის კი სულ რაღაც ათასხუთასამდე ლარია საჭირო. ქართულ ენაზე უსინათლოებისთვის სპეციალურად ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახარება, საგამომცემლო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იქნება.

ასორმოცდაათივე ეგზემპლარი ფონიჭალაში მცხოვრებ უსინათლოებს საჩუქრად დაურიგდებათ. სულ ცოტა ხნის წინ მათთვის ტვერელის ტაძრის წინამძღვრის მამა კონსტანტინეს ძალისხმევით ფონიჭალაში პატარა სამლოცველოც კი გაიხსნა.

ყოფილი პიონერთა სასახლის შენობის წინ გუშინ გამვლელები უჩვეულოდ მხიარული სანახაობის მომსწრენი გახდნენ. რამდენიმე მეტრიანი წითელ-ყვითელი თოკი ხიდან ხეზე ოთხმწკრივად იყო გაბმული. ზედ თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა, სამხატვრო აკადემიისა და ნიკოლაძის სამხატვრო სკოლის სტუდენტთა ნამუშევრები იყო ჩამოკიდებული. თითოეული მათგანი სიმბოლურ ფასად ერთ, ორ ან დიდი-დიდი სამ ლარად იყიდებოდა.

ის რასაც ე.წ. მშრალ ხიდზეც კი იშვიათად შეხვდებით, შესაძლოა გუშინდელ აქციაზე მოგეკრათ თვალი. უძველესი ღია ბარათები, დიდი ბებიების ნაქონი გულსაბნევი, თმისსარჭები, სამაჯურები და საყურეები, უნიკალური შანდლები და უჩვეულო ფორმის სანთლები, გამხმარი ფოთლების და გირჩების კომბინაციით გემოვნებით დამზადებული სუვენირები. ათასი გამოუყენებელი ნივთისგან ხელით ნაკეთი ერთობ საჭირო საგნები. ხელით ნაქსოვი და ნაქარგი ჩანთები, ქისები. გასაყიდ ექსპონატებს შორის იშვიათი ფერისა და ზომის ქამრები და ჰალსტუხებიც იყო, რომელსაც თორმეტიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი გამვლელებს გამოცდილი ვაჭარივით უქებდა.

მოსწავლე ახალგაზრდობის შენობის წინ სახელდახელოდ ჩადგმული "სავაჭრო დახლი" სწრაფად დაცარიელდა. ფერწერული ნამუშევრებიც ბლომად გაიყიდა, თუმცა სახარებისთვის დასაბეჭდი საკმარისი ფული მაინც ვერ მოგროვდა. ამიტომაც საპატრიარქოს ახალგაზრდული ფონდი "ძლევაი" მაისში კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტის ჩატარებას გეგმავს.

# შეხედეთ სამყაროს მათი თვალებით

*"ჩემი სამშობლო აფხაზეთია. აქ უცხოვრიათ ჩემს წინაპრებს ოდითგანვე. მე ჯერ ყრმა ვარ და იმდენი განსჯის უნარი არა მაქვს, მაგრამ ჩემს თავს ხშირად ვუსვამ შეკითხვას: ღმერთმა, ნუთუ, ჩვენთვის არ გაიმეტა საცხოვრებელი ადგილი, რა დავაშავეთ ასეთი?.. გულს მიკლავს ჩემი სოფლის სურათის ხილვა. მიწასთან გასწორებული ჩემი ზღვისპირა, ხავერდივით მწვანე მინდორ-ველი, ბაღები. გულს ცეცხლს მიკიდებს ნასახლარები, სადაც ვაგლახად პირდაფჩენილი ბუხრებია დარჩენილი, ისინი ცისკენ იყურებიან, თითქოს ღმერთს სთხოვენ შველას და მტყუან-მართლის გარჩევას. მეათე წელია არ დასრულდა ძმათა ომი, ვხოცავთ, გვხოცავენ, ვატყვევებთ, გვატყვევებენ და ამას ბოლო არ უჩანს."*

მაკა ჭაიანი

ეს ნაწყვეტია ქვემო ბარღების მე-6 კლასის მოსწავლის, დავით ჯოლოგუას საკონკურსო ნაშრომიდან. კონკურსი, ამ და გალის რაიონის კიდევ ხუთი სოფლის: ზემო ბარღების, ოტობაიას, ფიჩორის, გაგიდის, განახლების ქართული სკოლების მოსწავლეებისთვის, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირმა - "ახალი წიგნი" და აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ - "საბინები", მოაწყო. საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ბავშვებს 20-დან 25 მარტის ჩათვლით, ლექსების, მოთხრობების, ჩანახატებისა და ნახატების საშუალებით შეეძლოთ.

კონკურსის ორგანიზატორებს დიდი სურვილი ჰქონდათ, ღონისძიებაში გალის აფხაზური სკოლების ბავშვებსაც მიეღოთ მონაწილეობა და სპეციალური წერილით მიმართეს გალის ადმინისტრაციას. რუსლან ქიშმარია, თითქოს, წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ, საბოლოოდ, არაფერი გამოვიდა. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, აფხაზმა ბავშვებმა რა დაკარგეს ამით, მაგრამ მათ ქართველ თანატოლებს გულებში იმედის სხივი აუჭიატდათ - დანარჩენ საქართველოში, თბილისში ვახსოვართო. იქაური პრესა და ტელევიზია ხომ გამუდმებით საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

ჯერჯერობით ეს "მახსოვრობა" უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამერიკის მოზარდთა განვითარების აკადემიის მიერ გამოყოფილი საჩუქარი - სახატავი ფანქრები, რვეულები და სხვა საშუალებები, კონკურსში მონაწილე ერთი სკოლის მოსწავლეებს ძლივს ეყო. ნახატები, ნაწერები, რომელიც ბავშვებმა უფროსებს ენგურს აქეთ გამოატანეს, უბრალო ქაღალდებზე, რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზეა შესრულებული. ორგანიზატორები მათ გამარჯვებულთა ნამუშევრების გამოფენასა და წიგნად გამოცემას დაჰპირდნენ. სპონსორის გარეშე, ეს დანაპირებად დარჩება.

გალიდან გამომგზავრების წინ, კონკურსის ორგანიზატორებმა საზარელი ამბავი შეიტყვეს - 10 წლის ბიჭუნამ თავი ჩამოიხრჩო. ცოტა ხნით ადრე, მასზე ორი წლით უფროსმა ბავშვმა გააკეთა იგივე. უფროსები ამას ახსნას ვერ უძებნიან, მიმბაძველობით მოსდითო, ამბობენ. გალის რაიონში ხომ ახალგაზრდების მიერ თავის ჩამოხრჩობის შემთხვევები იშვიათობას აღარ წარმოადგენს. ასე უკვე 28 ადამიანმა მოისწრაფა სიცოცხლე.

მაგრამ ბავშვებს, თუნდაც უწიგნოებს და ურვეულოებს, გაპარტახებული სკოლების მოსწავლეებს, სიცოცხლე სწყურიათ. მათ უმრავლესობას საკუთარი სახლ-კარი წარმოსახვაში, მშობლების მონაყოლით აქვს შეკოწიწებული. უკვე შეჩვეული, არეული ყოფის შემყურეებს, ინსტინქტი კარნახობთ, რომ ყველაფერი მხოლოდ შერიგებით მოგვარდება. უყურებ მათ ნახატებს და ფიქრობ: უფროსები რომ, ხანდახან მაინც, ბავშვებივით სუფთა თვალებით უყურებდნენ ყველაფერს, სამყარო უამრავ პრობლემას აირიდებდა... ცხოვრებაც გაცილებით სასიამოვნო იქნებოდა მაშინ.

# „ფოთში ვაშენებ პატარა ხის სახლს"

## მსოფლიო მნიშვნელობის კარდიოქირურგის ლეო ბოკერიას ცხოვრება ფოთიდან ფოთამდე

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა იური შევჩენკომ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ჩვენი თანამემამულე ბატონი ლეო ბოკერია ასე გაგვაცნო: "ეს უდიდესი ქირურგი ხელმძღვანელობს ევროპის და შეიძლება მსოფლიოს ყველაზე დიდ კარდიოქირურგიულ ცენტრს."*

სწორედ ამ უდიდეს ქირურგს ჰკითხა "იზვესტიის" კორესპონდენტმა, თქვენთან ამდენი ქართველი რატომ მუშაობსო და სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემით დაიწყო თავისი სიტყვა აკადემიკოსმა ბოკერიამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამოსვლისას, რაც შექმნილ სიტუაციაში ძალიან უპრიანიც იყო.

რუსი და ქართველი ექიმები ურღვევი ძმური და მეგობრული კავშირების აღდგენაზე საუბრობდნენ. ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში, რომლის გენერალური დირექტორი გახლავთ ლეო ბოკერია, 2,5 ათასი თანამშრომელი მუშაობს. მათ შორის სსრკ-ს თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი გვხვდება. აქედან ქართველი სამოცია.

ლეო ბოკერია: **"მე ვუპასუხე კორესპონდენტს, რომ ისინი ინსტიტუტში ბურაკოვსკიმ მიიწვია და რომ ისინი გამოჩენილი ექიმები არიან."**

ვლადიმირ ბურაკოვსკი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქ დაამთავრა სკოლა, სამედიცინო ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა ოპერატიული ქირურგიის კათედრაზე. მოსკოვში 1951 წელს წავიდა. მალე იგი სამუშაოდ მიიწვიეს ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, საიდანაც სახელგანთქმულმა ბაკულევმა სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში გადაიყვანა და თანდაყოლილი გულის მანკების განყოფილება ჩააბარა. ამ დროს ლეო ბოკერია ფოთის საშუალო სკოლას ამთავრებდა.

ლეო ბოკერია: **"წარმოშობით ფოთლები ვართ, თუმცა მე ოჩამჩირეში დავიბადე. ჩემს დას მალარია დამართნია და მამაჩემისთვის ურჩევიათ, ოჩამჩირეში წაიყვანეო. სამი წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა და ისევ ფოთში დავბრუნდით."**



*ლეო ბოკერია.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

1966 წელს, როცა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ლეო ბოკერიამ სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა, ბურაკოვსკი სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი გახდა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, უკვე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლეო ბოკერია ლაბორატორიის გამგედ სწორედ ბურაკოვსკიმ წაიყვანა, რომელსაც არასდროს ღალატობდა კადრების შერჩევის ალღო. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მაშინ, როცა ბურაკოვსკის საუკეთესო აღმოჩენა ლეო ბოკერია 33 წლის ასაკში გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლეო ბოკერია: **"სადოქტორო ნაშრომისთვის 1976 წელს ლენინური პრემია მომანიჭეს. ამის მერე დავიწყე გულის რიტმული დარღვევების კვლევა და სსრკ-ში პირველი ოპერაციებიც გავაკეთე. ამისათვის 1986 წელს სახელმწიფო პრემია მივიღე."**

1992 წელს მოსკოვის სამი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ბაკულევის სახელობის სამეცნიერო ცენტრი, რომლის გენერალური დირექტორი გახდა ბურაკოვსკი, ხოლო ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორი - ბოკერია, რომელიც 1996 წელს, ბურაკოვსკის გარდაცვალების შემდეგ, კოლექტივმა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აირჩია.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- ბატონო ლეო, რას წარმოადგენს თქვენი ცენტრი?

**- ჩვენი ცენტრი ძალიან დიდია და შესაბამისად დიდ სამუშაოსაც ასრულებს. შარშან ღია გულზე 6 ათასი ოპერაცია გავაკეთეთ. 3 ათასი ბავშვებს გავუკეთეთ. მე პირადად დღეში ოთხი, ზოგჯერ კი ხუთი ოპერაცია მაქვს. წელიწადში ხუთასამდე ოპერაცია გამომდის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს ცენტრს გაცილებით მეტი საქმის გაკეთება შეუძლია, საშუალება რომ ჰქონდეს. ამჟამად წლიური ბიუჯეტი 20 მილიონი დოლარია. ეს ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ ერთი მეხუთედის დაფინანსებაა. ამის გამო ხუთი გამზადებული საოპერაციო გვაქვს დაკეტილი.**

- საბჭოთა კავშირის დროს რა ვითარება იყო?

**- სსრკ-ს დაშლის შემდეგ მართლაც მოიშალა ჩვენი სისტემა, რომელიც არ იყო ცუდი. კარგი იქნებოდა, მისი მოდერნიზაცია მომხდარიყო, მაგრამ... ახლა დავიწყეთ ამ სისტემის აღდგენა და იმედია, რომ გულის ქირურგია ფეხზე მალე დადგება. მართალია, ეს ძალიან ძვირი მომსახურებაა და მას სრულყოფილად ვერც ერთი ქვეყანა ვერ აფინანსებს, მაგრამ წინ მაინც მივდივართ. სსრკ-ს დროს წელიწადში ღია გულზე 12 ათასი ოპერაცია კეთდებოდა, ჩვენ შარშან რუსეთში 14 ათასი ასეთი ოპერაცია გავაკეთეთ.**

- როგორია სახელმწიფოს წვლილი თითოეული პაციენტის მკურნალობაში?

**- ოპერაციის 60 პროცენტს ცენტრალური ბიუჯეტი იხდის, 30 პროცენტს - რეგიონული ფონდები, ხოლო დარჩენილ 10 პროცენტს – პაციენტი, ან მისი სპონსორი.**

- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ თბილისის ბავშვთა და მოზრდილთა კარდიოქირურგიული ცენტრების მონახულებისას?

**- მოხარული ვარ, რომ ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრშიც და გადაუდებელი კარდიოქირურგიის ცენტრშიც ძალიან კარგი, თანამედროვე დონეა. ძალიან მომეწონა საქმისადმი მიდგომა და აქედან გამომდინარე შედეგები. დიდ ოპერაციებს აკეთებენ.**

**მე კარგად ვიცნობ ექიმებს, რომლებიც ქალბატონ გულიკო ჩაფიძესთან მუშაობენ.**

**ალექსანდრე ალადაშვილი ჩემი ყოფილი ასპირანტია, კახა ბახუტაშვილი კი - ჩვენი ყოფილი ორდინატორი.**

**ასევე ძალიან მომეწონა ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი. ეს ყველაფერი იმის იმედს გვაძლევს, რომ საქართველოში მედიცინის განვითარების მხრივ კიდევ ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდება.**

- რამდენი ხანი არ ყოფილხართ საქართველოში?

**- საქართველოში შედარებით ხშირად ჩამოვდივარ, იანვარშიც ვიყავი. ფოთში ვაშენებ პატარა ხის სახლს. მინდა ძველ მოგონებებს დავუბრუნდე და ვიყო აქ... როცა შევძლებ საქართველოში ჩამოსვლას.**

# ახალი გარემოება ჩეჩენი პატიმრების საქმეში

ხათუნა ჯანგირაშვილი


განსასჯელები ადვოკატებთან კონსულტაციისას.

რუსეთ-საქართველოს საზღვრის დამრღვევ ჩეჩენთა სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ საბოლოო ვერდიქტით უნდა დასრულებულიყო, ახალი გარემოებების გამო კვლავ გადაიდო. ადვოკატებმა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას ერთ-ერთი პატიმრის – რუსტამ ელიხაჯიევის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩეჩენ პატიმართა დამცველებმა გუშინ ელიხაჯიევის ნამდვილ გვარად მულკოევი დაასახელეს, მისი ნამდვილი ვინაობის დამადასტურებელი მასალები - მულკოევის გვარზე შედგენილი პასპორტი, დაბადების მოწმობა და საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა წარმოადგინეს. ადვოკატებმა სასამართლო კოლეგიას გადასცეს მულკოევის მეზობლების ხელმოწერები იმის დასტურად, რომ მულკოევი ნამდვილად ჩეჩნეთშია დაბადებული. ადვოკატების მიერ სასამართლოსთვის გადაცემულ დოკუმენტებში მითითებულია მულკოევის მისამართი. მასალებში დევს ატესტატი გაცემული იმ სკოლიდან, რომელშიც მულკოევი სწავლობდა. **„იგი რუსტამ ელიხაჯიევი არ არის. მისი ნამდვილი ვინაობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია ახლახან ჩაგვივარდა ხელში, თავად პატიმარი კი ვინაობას მალავდა, რადგან ეშინოდა, რომ მასზე რუსეთიდან კვლავ "შეთითხნილი" მასალები მოვიდოდა",** - ასეთი განცხადების შემდეგ ადვოკატებმა მოითხოვეს გენერალური პროკურატურის მიერ რამდენიმე თვის წინ გამოტანილი ექსტრადიციის დადგენილების გაუქმება. დაცვის მტკიცებით, აღნიშნული დოკუმენტაცია იმის დასტურია, რომ ელიხაჯიევზე რუსეთიდან მოსული ექსტრადიციის მასალები ყალბია და პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

**„ადვოკატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია. ჩვენ ამ მასალებს სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ. პასპორტი შევსებულია ხელით, რაც მისი გაყალბების შესახებ ბადებს ეჭვს. რუსეთიდან მოსული მასალები კი არა, არამედ ადვოკატების მიერ დღევანდელ პროცესზე წარმოდგენილი მასალებია ყალბი. რუსეთში მოქმედი ახალი პასპორტები კომპიუტერული წესითაა შედგენილი და არა ხელით შევსებული, როგორც ადვოკატების მიერ დღეს წარმოდგენილი პასპორტი. შესაბამისად, პროკურატურას ამ დოკუმენტაციის გაბათილება ხვალვე შეუძლია",** - ასეთია სახელმწიფო ბრალმდებელთა პოზიცია გუშინდელ პროცესზე წარმოდგენილ ახალ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

თავად განსასჯელის განმარტებით, პირადობის დამადასტურებელი საბუთები მან მშობლებისგან ცოტა ხნის წინ მიიღო და იმავე დღეს ადვოკატებს გადასცა.

ერთი სიტყვით, ჩეჩენ პატიმართა საქმეში ახალ-ახალი გარემოებები ჩნდება. შესაბამისად იძაბება სიტუაცია განსასჯელთა ადვოკატებსა და სახელმწიფო ბრალმდებლებს შორის. მხარეები საკუთარი სიმართლის დამტკიცებას მაქსიმალურად ცდილობენ და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას თავიანთი საჩივრის დაკმაყოფილებას კატეგორიულად სთხოვენ.

როგორც ჩანს, საზღვრის დამრღვევ ჩეჩენთა ექსტრადიციის შესახებ საბოლოო ვერდიქტის გამოტანა უზენაეს სასამართლოს ერთი ხელის მოსმით ნამდვილად გაუჭირდება და პროცესი კიდევ კარგა ხანს გასტანს.

რაც შეეხება იმ დანარჩენ სამ ჩეჩენს, რომლებიც ორთაჭალის საპყრობილეში იმყოფებიან და რომელთა ექსტრადიციის შესახებ საუბარი ჯერ არ დაწყებულა: ჩვენი ინფორმაციით, რუსეთიდან უკვე მათ შესახებაც მოვიდა მძიმე ბრალდებების სქელტანიანი ტომები. რუსეთის გენერალური პროკურატურა მათ ექსტრადიციას მოითხოვს. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩეჩნების ექსტრადიციის საკითხის განხილვას გენერალური პროკურატურა მას შემდეგ მიუბრუნდება, როცა ისინი საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის (საზღვრის უკანონო დარღვევისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის) მოიხდიან სასჯელს.

# „თბილგაზი" კიდევ ერთხელ გაძარცვეს

„თბილგაზის" ცენტრალურ ოფისზე ბოლო დროს განხორციელებული თავდასხმების არც ერთი ფაქტი ჯერ გამოძიებული არ არის. ამასობაში კი „თბილგაზი" კიდევ ერთხელ დააყაჩაღეს. ამჯერად ყაჩაღებმა ცენტრალური ოფისიდან 18 ათასი ლარი წაიღეს.

გუშინწინ, გვიან ღამით, „თბილგაზის" ცენტრალურ ოფისში ოთხმა შეიარაღებულმა პირმა უპრობლემოდ შეაღწია. თავდამსხმელებმა მუქარითა და ძალადობის გამოყენებით წაართვეს ოფისში მყოფ დისპეტჩერს გასაღებების აცმა, დაცვის თანამშრომელი და დარაჯი გაკოჭეს და „თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილის ნოდარ ხონელიძის კაბინეტში შევიდნენ. კედლის გამონგრევის შემდეგ ყაჩაღებმა ბუღალტრის კაბინეტში, იქიდან კი მოლარის ოთახში გადაინაცვლეს, სადაც ცეცხლგამძლე სეიფი ეგულებოდათ. საჭირო ინსტრუმენტებით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა რამდენიმე წუთი „იმუშავეს", შეძლეს სეიფის გახსნა და ნადავლით დატვირთულებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა. „მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე დგინდება", - ასეთ ტრადიციულ კომენტარებს აკეთებენ სამართალდამცველები მომხდართან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ დღემდე არ იცის „თბილგაზზე" ადრე მომხდარ თავდასხმებში მონაწილეთა ვინაობა, არ გამორიცხავს, რომ ამ ორგანიზაციის ძარცვაში ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობს.

# თბილისი, გორი, ზესტაფონი, გურჯაანი - ყაჩაღთა მოქმედების არეალი

წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი სერიოზული ყაჩაღური დაჯგუფების წევრების საქმის გამოძიება შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტმა რამდენიმე დღის წინ დაასრულა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს – კახა ბარბაქაძეს, კახა აბულაძეს, სულხან მაკარიძეს, თამაზ გიორგაძეს, დავით გულიაშვილს, დავით თელიასა და კახა თურქაძეს ცოტა ხანში გაასამართლებენ.

ყაჩაღობა, ძარცვა, იარაღის უკანონოდ ტარება, იარაღის მისაკუთრება, ავტომანქანებისა და ავტობუსების გატაცება, ადამიანების მიმართ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა – ეს ის ბრალდებებია, რომელთა გაბათილებასაც ჯგუფის წევრები სასამართლო განხილვისას შეეცდებიან. ჯგუფის ორ წევრზე კი, რომელთა ვინაობაც უკვე დადგენილია, კვლავ ძებნაა გამოცხადებული.

თბილისი, გორი, ზესტაფონი, გურჯაანი - ეს ის ადგილებია, სადაც სამართალდამცველთა განცხადებებით, ჯგუფის წევრები, სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილები, მუქარითა და ძალადობის გამოყენებით, დიდი ხნის განმავლობაში, სისტემატურად სხვადასხვა სახის დანაშაულს სჩადიოდნენ. ჯგუფის ცხრა წევრი სამართალდამცველებმა სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს დააკავეს. გამოძიების პროცესში თითქმის ყველა მათგანი დუმილის უფლებით სარგებლობდა, თუმცა, მოპოვებული ნივთმტკიცებები და დაზარალებულთა ჩვენებები გამოძიებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. „ეს ის ჯგუფია, რომლებიც აყაჩაღებდნენ ავტომანქანების მფლობელებს – აქტიურად "მუშაობდნენ" ავტომაგისტრალებზე, ძარცვავდნენ არა მარტო ოჯახებს, არამედ ყაჩაღურ შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობდნენ სავალუტო ჯიხურებზე, ძირითადად ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯგუფის თითოეული წევრი მოქმედებდა სისასტიკით. გამოძიებით დადგინდა, რომ დამნაშავეებს თითოეული თავდასხმის დეტალური გეგმა წინასწარ ჰქონდათ შემუშავებული და როლებსაც წინასწარ ინაწილებდნენ, ერთი სიტყვით, მათ უამრავი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი", – აცხადებს შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი კახა თურქაძე.

*„24 საათი"*

# მკვლელობა, რომლის გამოძიებასაც გავლენიანი ძალები ხელს უშლიან

ინგა ალავიძე

*საქმე, რომლის ძიებაც პროკურატურამ უკვე მეოთხედ დაიწყო, რამდენიმე დღის წინ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო კვლავ ჩიხში შევიდა. შემთხვევა, რომლის გამოძიებაც ვერა და ვერ დასრულდა, ზუსტად 9 წლის წინ, რუსთავში მოხდა. გარდაცვლილის ახლობლებს წლების წინ რუსთავის პროკურატურის მიერ დაწერილ საბრალდებო დასკვნაში სერიოზული ეჭვი შეაქვთ. ეჭვის საფუძველს თავდაპირველი გამოძიებისას დაშვებული ძალიან სერიოზული იურიდიული ხარვეზები იძლევა.*

1993 წლის 19 აგვისტოს, რუსთავში მდებარე ერთ-ერთ სახლში დაიჭრა ზურაბ სამხარაძე. „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტიდან გასროლილი ერთადერთი ტყვია, რომელიც ზურაბ სამხარაძეს მარცხენა ფეხის ბარძაყის არტერიაში მოხვდა, სასიკვდილო აღმოჩნდა. დაჭრილი რუსთავის მეტალურგიულ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით რუსთავის პროკურატურაში საქმე აღიძრა. გამოძიებამ გარდაცვლილის მეგობარს, პისტოლეტის მფლობელ იური ჭოლოკავას იარაღის დაუდევრად შენახვაში დასდო ბრალი და რამდენიმე თვეში მის მიმართ საქმის გამოძიება შეწყვიტა. „იური ჭოლოკავა შრომით კოლექტივს გადაეცა აღზრდა-გამოსწორებისთვის," – ასეთი გადაწყვეტილებით დაიხურა საქმე.

ერთი სიტყვით, რუსთავის პროკურატურამ საქმე გამოიძია და დაასკვნა, რომ იური ჭოლოკავამ ტუალეტში შესვლისას „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი მაგიდაზე დატოვა, უკან ოთახში დაბრუნებულ ჭოლოკავას ზურაბ სამხარაძემ იარაღი მიაწოდა - ასე დაუდევრად რატომ დატოვეო. ამ დროს მას პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა, იატაკზე დაეცა და ტყვიაც გავარდა. შემთხვევით გასროლილი ტყვია ზურაბ სამხარაძეს მარცხენა ფეხის ბარძაყის არტერიაში მოხვდა. ზურაბ სამხარაძის გარდაცვალების ფაქტზე ასეთი საბრალდებო დასკვნა დაწერა რუსთავის პროკურატურამ.

1994 წელს გენერალურმა პროკურატურამ რუსთავის პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმე „ჩამოწერა", გამოძიების დასრულების დადგენილება გააუქმა და იგი ხელახალ ძიებაში დააბრუნა. იგივე განმეორდა 2001 წელსაც. არსებული სერიოზული დარღვევებისა და არასრულყოფილად ჩატარებული გამოძიების გამო, ზურაბ სამხარაძის საქმე რუსთავის პროკურატურას ხელახლა გამოსაძიებლად დაუბრუნდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2002 წლის სექტემბერში, გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ საქმე კვლავ არასრულყოფილად გამოძიებულად მიიჩნია და ისევ ძიებაში დააბრუნა. ამ საქმეში ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ისიცაა, რომ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებამდე საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა და ვერანაირ ხარვეზს ვერ მიაგნო, ანუ რუსთავის პროკურატურის საბრალდებო დასკვნა გაამართლა.

ერთი სიტყვით, ზურაბ სამხარაძის საქმის ძიება მეოთხედ დაიწყო. თუმცა, გამოძიების მიერ თავდაპირველად დაშვებული სერიოზული იურიდიული შეცდომები არც მომდევნო ძიების პროცესში გასწორებულა.

გენერალური პროკურატურის მითითებებს ეთანხმება დაზარალებულის - გარდაცვლილის დის, ნანა სამხარაძის ადვოკატიც. იასონ ბესელიას განცხადებით, რუსთავის პროკურატურაში გამოძიება ფაქტობრივად არც ჩატარებულა. საქმიდან დაკარგულია სერიოზული მტკიცებულებები. გამოძიების პროცესში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ზურაბ სამხარაძის ის ტანსაცმელი, რომელიც მას გარდაცვალების დღეს ეცვა. არადა, ტანსაცმელს, რომელზეც ნატყვიარის კვალი იყო, ფიზიო-ტექნიკური ექსპერტიზა უნდა ჩატარებოდა და მას ერთ-ერთი სერიოზული მტკიცებულების ფუნქცია დაეკისრებოდა.

რუსთავის საავადმყოფოდან, სადაც დაჭრილი სამხარაძე მიიყვანეს, დაიკარგა ავადმყოფობის ისტორია. სხვათა შორის, გამოძიება ავადმყოფობის ისტორიით მხოლოდ 8 წლის შემდეგ დაინტერესდა, მაშინ, როცა მითითებები მიიღო გენერალური პროკურორისგან.

გარდა ამისა, საავადმყოფოს მიღების ჟურნალიდან ამოხეულია სწორედ ის მონაცემები, რომელიც სამხარაძის საავადმყოფოში შეყვანისას შედგა და სადაც სამხარაძის სხეულზე მიყენებული დაზიანებები აღირიცხა.

გარდაცვლილის ახლობლებმა დიდი ძებნის შემდეგ საკმაოდ სერიოზულ დოკუმენტს მიაგნეს. რუსთავის მეტალურგიული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების აღრიცხვის ჟურნალში აღმოჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ზურაბ სამხარაძე საავადმყოფოში „მუცლის ღრუსა და ბარძაყის შემავალი ჭრილობით" მიიღეს (1993 წელს კი ექსპერტმა და გამოძიებამ დაადგინეს, რომ სამხარაძე მხოლოდ ბარძაყის არტერიის დაზიანებით გარდაიცვალა). სწორედ ამ მნიშვნელოვანი საბუთის საფუძველზე ანუ, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, 2002 წლის სექტემბერში ნუგზარ გაბრიჩიძემ საქმე ხელახალ ძიებაში დააბრუნა.

არადა, 1993 წელს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ექსპერტმა ზურაბ კვაჭაძემ დეტალურად აღწერა გარდაცვლილის შინაგანი ორგანოები; თუმცა არ მიუთითებია, რომ ცხედარს ჭრილობა მუცლის ღრუშიც აღენიშნებოდა. სხვათა შორის, გარდაცვლილის და - ნანა სამხარაძე უკვე წლებია აცხადებს, რომ მან, მეზობელმა და მამამისმა დაკრძალვამდე გარდაცვლილის სხეულზე (მუცლის არეში) დაახლოებით 5-6 მმ დიამეტრის მქონე მრგვალი ფორმის ღრმა ჭრილობა ნახეს. ნანა სამხარაძემ თავიდანვე გამოთქვა სერიოზული ეჭვი, რომ ცხედარს ექსპერტიზა არ ჩატარებია. **„ცხედარს ექსპერტიზის ჩატარების კვალი – ნაკერი-ნაწიბური არ ემჩნეოდა. დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ექსპერტიზა არ ჩატარებულა,"** – აცხადებს ნანა სამხარაძე. ხელახლა დაწყებულ გამოძიებაში თითქმის დადასტურდა, რომ სამხარაძის ცხედარს ექსპერტიზა არ ჩატარებია. ამის თაობაზე ჩვენებები მოწმეებმაც მისცეს გამომძიებელს; ამიტომაც რუსთავის პროკურატურამ ნანა სამხარაძის თხოვნა დააკმაყოფილა და რუსთავის სასამართლოს სთხოვა ზურაბ სამხარაძის ცხედრის ექსჰუმაციის ნებართვა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა გაუგებარი მოტივით არ დააკმაყოფილა. „ექსჰუმაციის ჩატარება საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან საქმეზე ყველაფერი დადგენილია," – ასეთი დაუსაბუთებელი პასუხით „გაამაგრა" სასამართლომ თავისი უარი. არადა, გენერალურმა პროკურორმა საქმე ხელახალ გამოძიებაში სწორედ იმიტომ დააბრუნა, რომ საქმეში ძალიან ბევრი რამ არ იყო დადგენილი. სხვათა შორის, გენერალური პროკურორის მიერ რუსთავის პროკურატურაში გაგზავნილ მრავალპუნქტიან მითითებებში ცხედრის ექსჰუმაციაზეცაა საუბარი.

**„ჩემი ძმა ფინანსური ინტერესების მსხვერპლი გახდა. საუბარია მშენებლობის ბიზნესზე და ძალიან დიდ ფულზე. მე ზუსტად ვიცი, ვინ დგას ამ საქმის უკან და 9 წლის მანძილზე ხან პროკურატურაში და ხანაც სასამართლოში საქმეს აწყობს, რათა სიმართლე არ გამოაშკარავდეს. ეს ძალიან სერიოზული ფიგურაა, ყოფილი მინისტრი, რომელსაც ახლაც საკმაო გავლენა აქვს. სხვათა შორის, ჭოლოკავა სწორედ მან დაიხსნა პატიმრობიდან და ჩვენც გვარწმუნებდა, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა. არადა, დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ჩემი ძმა მოკლეს. ამიტომაც ექსჰუმაციის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა არსებული ეჭვი ან დადასტურდება, ან გაბათილდება. თუ მართალი არ აღმოვჩნდები, ბოდიშს მოვიხდი, "** – აცხადებს გარდაცვლილის და ნანა სამხარაძე.

რუსთავის პროკურატურის მიერ რამდენჯერმე გამოძიებულ საქმეში არსებულ სერიოზულ დარღვევებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, რადგან, როგორც გითხარით, საქმე, ფაქტობრივად, მხოლოდ დარღვევებზეა აგებული. 9 წლის მანძილზე წამოჭრილ ყველა კითხვას პასუხი ექსჰუმაციის ჩატარების შემდეგ გაეცემა. ცხედარის ექსჰუმაციას კი საქმისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნათელი გახდება შემთხვევით გავარდნილი ტყვიის მსხვერპლი გახდა ზურაბ სამხარაძე, თუ იგი მოკლეს.

# ფინანსურ მაქინაციებში ბრალდებული მაღალჩინოსანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

ბექა სისაური
ქუთაისი

*ქუთაისის ენერგოკომპანია „ქელასის" დირექტორი რამაზ ხარაბაძე 23 მარტს დააპატიმრეს. იგი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია, რომელიც იმერეთის მხარის სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით თანხის მითვისებისთვის დააკავეს.*
*ქუთაისის საოლქო სასამართლომ „ქელასის" ყოფილ ხელმძღვანელს რამაზ ხარაბაძეს აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა შეუცვალა პოლიციის ზედამხედველობით და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*

პროკურატურამ ხარაბაძე 106 ათასი ლარის მითვისების ბრალდებით დააკავა, მაგრამ მას, საგამოძიებო მასალების მიხედვით, დამატებით 290 ათასი ლარის მითვისებასაც ედავებიან. „ქელასის" დირექტორს სხვა ფინანსური მაქინაციის ბრალდებაც აქვს წაყენებული, რომლის შესახებაც „24 საათი" უკვე წერდა.

მიუხედავად ბრალდებების სიმძიმისა, პროკურატურა დათმობებზე წავიდა და თანხის ბიუჯეტისთვის დაბრუნების შემთხვევაში ხარაბაძეს პატიმრობის შეცვლას დაჰპირდა. ამ ეტაპზე ხარაბაძემ თავისუფლების სანაცვლოდ 106 ათასი ლარი უკან დააბრუნა. რაც შეეხება დანარჩენ 290 ათას ლარს, თუკი „ქელასის" ყოფილმა ხელმძღვანელმა გამოძიებას აღნიშნულის შესახებ ეჭვები არ გაუბათილა, ამ თანხის დაბრუნებაც მოუწევს.

შესაძლოა, ზემოთ მოყვანილ ციფრებს ახლო მომავალში „მთის ბროლის" შესაძენად უკანონოდ გადარიცხული 100 ათასი ლარიც დაემატოს. თუმცა, ამ თანხის დაბრუნებაზე ხარაბაძე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს. სავარაუდოდ, 100 ათასის დაბრუნება იმ პირს მოუწევს, რომლის საბანკო ანგარიშზეც თანხა ჩაირიცხა. ეს პიროვნება კი ქუთაისის ვიცე-მერი დავით სანიკიძე გახლავთ.

# ხელისუფლება პატიმრებისთვის ვერ იცლის

თამარ კაციტაძე


კანონპროექტის ავტორები.

*შეწყალების მოთხოვნით ხონში მოშიმშილე მეომარი პატიმრების ბედი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება გაურკვეველი. მსჯავრდებულების შიმშილობის აქციას, რომელიც დაახლოებით სამი კვირის წინ დაიწყო, ჯერჯერობით, ხელისუფლების მხრიდან არავინ გამოხმაურებია. უყურადღებოდ დარჩენილმა 30-მა პატიმარმა კი რამდენიმე დღის წინ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ჩვენი ინფორმაციით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო უკვე ერთი პატიმარი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს....*

პატიმრობაში დარჩენილი ყოფილი მეომრების მოთხოვნაა, მათ მიმართაც გავრცელდეს 2001 წლის 20 აპრილის პარლამენტის ის ცნობილი დადგენილება, რომელიც მეომრების შეწყალებას ითვალისწინებდა. თავის დროზე მეომარ მსჯავრდებულებს პარლამენტარები ჰპირდებოდნენ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ამნისტია გამოვიდოდა და დარჩენილ მეომრებსაც გაათავისუფლებდნენ, მაგრამ მას შემდეგ ორი თვე გავიდა და იმის შიშით, რომ თითქოს მეომარი პატიმრების გათავისუფლებით ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობა დაიძაბება, ხელისუფლებაში მოშიმშილე პატიმრების თემაზე საუბრისგან ყველა თავს იკავებს.

პატიმრები კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ და ამბობენ - **„ხელისუფლებას ვინც უნდოდა, ყველა გაათავისუფლა - ეკუთვნოდათ თუ არა მათ კანონით შეწყალება. ჩვენ კი, ვინც რეალურად ვიბრძოდით ქვეყნის ერთიანობისთვის, მაგრამ ფული ან პატრონი არ გვყავს, დღესაც ციხეში ვართ და წლიდან წლამდე ტყუილი დაპირებებით გვაიმედებენ".**

იმისათვის, რომ ამ კატეგორიის პატიმრებისადმი ქვეყანაში სამართლიანი დამოკიდებულება არსებობდეს, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ამნისტიის შესახებ კანონპროექტი შეიმუშავა და იგი რეაგირებისთვის ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დეპუტატ გია ყარყარაშვილს და სახალხო დამცველს გაუგზავნა.

კანონპროექტის თანახმად, ომის ყველა მონაწილე მსჯავრდებულს უნდა ეპატიოს დარჩენილი სასჯელის 1/3. **„აღნიშნული კანონპროექტის ძალაში შესვლის შემთხვევაში, პატიმრობაში დარჩენილი ყოფილი მეომრები გათავისუფლდებიან არა ერთდროულად, რისიც ასე ეშინია ხელისუფლებას, არამედ ისინი ეტაპობრივად გამოვლენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან,"** – განაცხადეს გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ორგანიზაციის წევრებმა ნანა კაკაბაძემ და გელა ნიკოლაიშვილმა.

გია ყარყარაშვილის მიერ შეგროვილი მასალების თანახმად, დღეს პატიმრობაში იმყოფება 700 ყოფილი მეომარი. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით კი, 2004 წელს გათავისუფლდება 50 პატიმარი, 2005 წელს - 100, 2007 წელს - 80 და ა.შ. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, ბოლო მეომარი პატიმარი 2016 წელს გათავისუფლდება.

**„პატიმრებისთვის მთავარია, რომ მათი საქმით ვინმე დაინტერესდეს და ყინული დაიძრას. ჩვენი აზრით, ამნისტიის ეს ფორმა მათთვის მისაღები იქნება, მაგრამ ყოფილი მეომარი პატიმრების პრობლემით დაინტერესდება თუ არა პარლამენტი და გამოძებნიან თუ არა ისინი დროს აღნიშნული კანონპროექტის განსახილველად, ძნელი სათქმელია,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნანა კაკაბაძემ.

## მოკლედ

**ცხინვალი.** 18 აპრილს, ცხინვალში გაიმართება ქართული და ოსური სამართალდამცავი ორგანოების სამუშაო ჯგუფების მორიგი შეხვედრა, რომელსაც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებიც დაესწრებიან. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ცხინვალში ჩასვლას არ აპირებს. შეხვედრაში ქართველ სამართალდამცავთა ჯგუფს მინისტრის მოადგილე ზურაბ ხაჟალია უხელმძღვანელებს, ოსურ მხარეს კი "სამხრეთ ოსეთის" შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი. წინასწარი ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე განიხილავენ კონფლიქტის ზონაში სამართალდამცავი ორგანოებისა და სამშვიდობო ძალების კოორდინირებული საქმიანობის საკითხებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტებმა ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულების კონტინგენტს ამერიკული წესით აუღეს თითის ანაბეჭდები. თითის ანაბეჭდებს აუღებენ ყველა პატიმარს, მსჯავრდებულს და სამართალდამცავი სტრუქტურების ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც გამოძიებაში მონაწილეობს. დღემდე თითის ანაბეჭდები აუღეს 150-მდე მსჯავრდებულს ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებებში. ცენტრის ხელმძღვანელის მაია ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, ერთ თვეში საქართველოს ეწვევიან ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც ქართველ კოლეგებს თითის ანაბეჭდების დამუშავებას და კომპიუტერში შეყვანას ასწავლიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ სერთიფიკატები გადასცა სასჯელაღსრულების სისტემის 31 თანამშრომელს. მათ იუსტიციის სასწავლო ცენტრში ერთთვიანი კურსი დაასრულეს და ტესტირება წარმატებით გაიარეს.

მეცნიერებათა სწავლება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლებს პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი იურისტები შემდეგ სალექციო კურსს უკითხავენ: სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, დამნაშავის პიროვნება, სასჯელაღსრულების სამართალი და ისტორია და თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებები ევროპის საბჭოს აქტებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**იმერეთი.** ბაღდათის რაიონის პოლიციამ დააკავა ზესტაფონში მცხოვრები, 27 წლის ჯაბა წულაია. მან - არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა - სოფელ ვარციხეში ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდსა და მუცელში დაჭრა იქვე მცხოვრები, 39 წლის დავით ბოლქვაძე. **მედია-ნიუსი**

**ქვემო ქართლი.** ქვემო ქართლის სამხედრო პროკურატურის ცნობით, გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში თავდაცვის სამინისტროს 11-ე ბატალიონთან არსებული კომანდოს ბატალიონის ოფიცერმა, უფროსმა ლეიტენანტმა, 22 წლის დიმიტრი მარღანიამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით მარჯვენა ბარძაყის არეში დაჭრა ვაზიანის დასახლებაში მცხოვრები, 26 წლის სპარტაკ მოსემღვდლიშვილი. **მედია-ნიუსი**

# სოხუმში მოსკოვის გავლენა ძლიერდება

პირველი გვერდიდან

რაოდენობის იარაღიც აქვთ. "ამცახარას" რიგებშია ყოფილი პრემიერი, ამჟამად რუსეთში მცხოვრები ანრი ჯერგენია, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციას რუსეთის გენერალიტეტთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს. სწორედ რუს მაღალჩინოსან "პაგონიანთა" დახმარებით მოხვდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ასორმოცდაათკაციანი შეიარაღებული სპეცდანიშნულების რაზმი. ნადარეიშვილის ინფორმაციით, ამჟამად რუსი სამხედროები ერთ-ერთი დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე არიან ბაზირებულნი და, საჭიროების შემთხვევაში, "ამცახარას" აუცილებლად დაეხმარებიან.

ოპოზიციის უკმაყოფილებას, ძირითადად, არძინბას საკადრო პოლიტიკა და აფხაზეთში შექმნილი მძიმე სოციალური პირობები იწვევს. თავად არძინბას გადადგომის მოთხოვნით ოპოზიცია ჯერ არ გამოსულა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, არძინბას ქმედითუნარიანობა დაქვეითებული აქვს და ქვეყნის მართვაში თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს, ის არავითარ წინაღობას არ წარმოადგენს ოპოზიციისთვის.

"ამცახარას" გარდა, აფხაზეთში სხვა ოპოზიციური ძალებიც არიან. ნადარეიშვილის ინფორმაციით, მათ შორის კოორდინაცია არ არსებობს, თუმცა საერთო ეროვნული ფორუმის ჩატარებაში, რომელიც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი, ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

**"არ უნდა გვქონდეს ილუზია იმისა, რომ აფხაზეთში მოქმედი რომელიმე ოპოზიციური ძალა პროქართულია. ისინი, რა თქმა უნდა, ყველანი რუსული ორიენტაციის არიან, თუმცა, მათ შორისაცაა უთანხმოება. ზოგ მათგანს რუსეთის გენერალიტეტი მართავს, ზოგს - სახელმწიფო დუმა, ნაწილს რუსეთის მთავრობის წევრები ლობირებენ... მოსკოვსაც არ აქვს ერთიანი პოზიცია. ბევრ რუს მაღალჩინოსანს აფხაზეთთან დაკავშირებით გარკვეული ამბიციები აწუხებს და ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, ამის გამოძახილია,"** – ამბობს ნადარეიშვილი.

არძინბას პრესმდივანი რუსლან ხაშიგი, რომელსაც "24 საათი" ესაუბრა, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ხედავს. **"ნუთუ თბილისში არ გყავთ ოპოზიცია? მართალია, არის გარკვეული სამთავრობო კრიზისი, მაგრამ ეს ბუნებრივია. ოპოზიციას თავისი ინტერესები აქვს. ახლოვდება 2004 წელი, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, ასე რომ, ოპოზიციის გააქტიურება მოსალოდნელიც იყო. არ მესმის, რატომ აიტაცა ჩვენი შიდა პრობლემები თბილისმა? ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს რაღაც-რაღაც პრობლემები, იგივე სოციალური კუთხითაც, მაგრამ დამიჯერეთ, აფხაზეთის მოსახლეობა დღეს ქართველებზე არც უკეთესად და, მით უმეტეს, არც უარესად არ ცხოვრობს,"** – აცხადებს ხაშიგი. მისი თქმით, სოხუმში სრული სიწყნარეა, არავითარი მიტინგები არ მიმდინარეობს, ოპოზიცია "ნორმის ფარგლებში მოქმედებს" და პრეზიდენტი არძინბაც სრულ სამუშაო მზადყოფნაშია.

# ალექსანდრ ვაშჩენკო: აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი საქართველოს უშუქოდ, უგაზოდ და უწყლოდ დატოვებს

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

*„24 სათთან" საუბარში რუსეთის პარლამენტის გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის უფროსი ალექსეი ვაშჩეკნო, აფხაზეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ, არ გამორიცხავს მოსკოვისათვის საიმედო პიროვნებების მოსვლას.*

- ომის მერე გაიფლანგა აფხაზეთის აღდგენაზე გამოყოფილი სახსრები. თანამდებობები დატოვეს ანქვაბმა, ბერულავამ, დამენიამ, ხაშბამ, ბარგანჯიამ. მათ ადგილას არძინბამ საკუთარი ნათესავები დანიშნა - ის ადამიანები, ვინც აღდგენის ნაცვლად აფხაზეთის ძარცვა დაიწყო. არძინბას გარემოცვა მხოლოდ დეკლარაციებს დასჯერდა, ვერ შექმნა აფხაზეთის დამოუკიდებლობის კონცეფცია, დაიმსხვრა თურქეთის აფხაზურ დიასპორასთან დაკავშირებული იმედებიც, - ამბობს რუსეთის პარლამენტის წევრი.

ვაშჩენკოს აზრით, შემდგომ სიტუაცია გაართულა გალისა და კოდორის ხეობის მოვლენებმა. ვლადისლავ არძინბას ახლო ნათესავის, აკა არძინბას ინიციატივით „ამცახარას" შექმნას რუსი პოლიტიკოსი სწორედ ამ მიზეზით ხსნის. ვაშჩენკო ამტკიცებს, რომ **"ხელისუფლებაში მოსულმა ანრი ჯერგენიამ აფხაზეთის პრეზიდენტობისათვის ბრძოლა დაიწყო და არძინბას საწინააღმდეგო კამპანია გააჩაღა. ჯერგენიამ ვერ შეაჩერა ომისშემდგომი განუკითხაობა - ადამიანების გატაცება, ვერ გახსნა მთელი რიგი პოლიტიკური მკვლელობები. მანვე მოაწერა ხელი იმ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია... რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ვოლოშინისა და მისი მოადგილის სურკოვის მიერ არძინბას წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია აფხაზეთში ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად იყო მოწოდებული, არძინბას გარემოცვამ ეს დროზე შეიტყო და ჯერგენია თავიდან მოიშორა".**

ვაშჩენკო აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების კრიმინალიზების ფაქტებსაც ასახელებს: **"გენადი გაგულია არძინბას ახლო ნათესავია, ხოლო ვიცე-პრემიერი რუსლან არძინბა ერთდროულად საქართველოს, რუსეთისა და კანადის მოქალაქეა. სწორედ რუსლან არძინბას სინდისზეა „აფსოიუზის" ქონების (ხორცის გასატარებელი მანქანების, სარეცხი მანქანებისა და პირველადი მოხმარების სხვა საგნების დატაცება) გაფლანგვა. მის კისერზეა აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის ყოფილი უფროსის კომახიას გატაცებაც, რომელიც შემდეგ ლევან არძინბამ თბილისისაგან გარკვეულ საფასურად გამოისყიდა და თბილისიდან სოხუმში საკუთარი ავტომანქანით ჩამოიყვანა",** - ამჟამინდელი ვითარება კი, ალექსეი ვაშჩენკოს ხედვით ასე გამოიყურება:

**„ამცახარას" ყრილობამდე სოხუმში გაავრცელეს პროკლამაციები, რამაც ვითარება უფრო დაძაბა. სამსაათნახევრის განმავლობაში პირდაპირი ტელეტრანსლაცია მიდიოდა ყრილობისა. იქ მისულმა ანრი ჯერგენიამ ყველა ერთად ამხილა. იქ მისი მისამართით ბევრი რეპლიკა ისმოდა. ყრილობას მოჰყვა შეკრება ლიხნის ველზე, რომელიც აფხაზთათვის წმინდა ადგილია. მაგრამ ამასობაში მეორე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: სოხუმის ციხიდან გააპარეს ცნობილი კრიმინალები. საქართველოს სპეცსამსახურების ხელშეწყობით ისინი კოდორის ხეობაში გაიყვანეს. ამის მერე გენადი გაგულიამ დაწერა განცხადება გადადგომაზე, რაც არძინბამ არ მიიღო.**

რუსეთის დუმაში ამტკიცებენ, რომ აფხაზეთში შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც საარჩევნო კანონში ცვლილებებით შეეცდება, პრეზიდენტობის კანდიდატისათვის აფხაზეთში ცხოვრების ხუთწლიანი ცენზის მოხსნას. გარდა ამისა, ახალი პროექტით კანდიდატისთვის არ იქნება აუცილებელი აფხაზური ენის ცოდნა.

საქმე ისაა, რომ, როგორც ვაშჩენკო ამტკიცებს, **"მოსკოვში დღეს ცხოვრობს აფხაზეთის საზოგადოების რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელი, ვინც აფხაზეთის პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატურები არიან."**

შეკითხვაზე - რამდენად რეალურია აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებში მოსკოვის კანდიდატურის გამარჯვება - ვაშჩენკო პასუხობს:

**"მოსკოვის კანდიდატურა აუცილებლად გაიმარჯვებს. იგი ის კაცი იქნება, ვინც საქართველოს უშუქოდ, უგაზოდ და უწყლოდ დატოვებს. აფხაზეთის ხელისუფლება არ დაუშვებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ამერიკული გამანადგურებლების ფრენას."**

## ტელეკაზინოს გათამაშების შედეგები

14:50 - 23 | 19:50 - 28 | 22:45 - 8



www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ოპტიმიზმის ფორმულას აღმოჩენა უნდა

*ზაზა კოკაია: 1962 წელს თბილისში დაიბადა. მამა - ცნობილი ჩოგბურთელი გივი კოკაია ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. დედა - ინეზა სანადირაძე - მუსიკის თეორიის პედაგოგი. დაამთავრა 24-ე საშუალო სკოლა, თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩააბარა. მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა იყო. 1987 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა. ჰყავს მეუღლე, პროფესიით ფილოლოგი და მთარგმნელი თამარ ჩიქოვანი და ორი ვაჟი - 12 წლის გიორგი და 9 წლის ლუკა.*

მაია ჭალაგანიძე

*იქნებ, ყველაზე საინტერესო სამოგზაურო ადგილი - ტვინია?! ყოველ შემთხვევაში, ეს ორგანო მრავალი საუკუნის მანძილზე ყველაზე დიდი „ტვინების" კვლევის საგანია და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება საიდუმლოდ... ადამიანის გონებას არ ძალუძს, ბოლომდე ჩაწვდეს და იწინასწარმეტყველოს ტვინის მაქსიმალური შესაძლებლობები. აქამდე ექიმებისა თუ ბებიებისგან მუდმივად გვესმოდა: ნერვიულობა არ შეიძლება, რადგან დაზიანებული ნერვული უჯრედები არ აღდგებიან... როგორც ჩანს, ეს სიცრუეა. ტვინი უჯრედების მწარმოებელი ნამდვილი ფაბრიკა ყოფილა. ასე რომ, ხვალიდანვე არა, მაგრამ უახლოეს მომავალში შეგიძლიათ ინერვიულოთ - შვედეთის ლუნდლის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ულე ლინდვალმა და ნევროლოგიის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა ზაზა კოკაიამ აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ტვინს შესწევს უნარი, ინსულტის შემდეგ "შეიკეთოს თავი" ღეროვანი უჯრედების, ორგანიზმის სათადარიგო უჯრედების ხარჯზე. შესაძლოა, ამ აღმოჩენამ მიგვაახლოვა ისეთი „პოპულარული" დაავადების განკურნებასთან, როგორიცაა ინსულტი. თუმცა, ულე ლინდვალიცა და ზაზა კოკაიაც ფიქრობენ, რომ აღმოჩენის კონკრეტულ კლინიკურ გამოყენებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია...*

*ზაზა კოკაია ახლა თბილისშია. მან ჯერ მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა ლექცია და შემდეგ – უნივერსიტეტში, ფიზიოლოგიის განყოფილების სტუდენტებთან... ზაზა 1989 წელს გაემგზავრა შვედეთში. კონტაქტები მისმა ძმამ და კოლეგამ, მერაბმა - ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაამყარა. სსრკ-სა და შვედეთს შორის გაცვლითი პროგრამა იყო. სსრკ-დან კონკურსში სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა სპეციალისტები მონაწილეობდნენ. მერაბმა კონკურსში გაიმარჯვა და წავიდა... ამ კონტაქტებით ზაზამაც ისარგებლა - დაუკავშირდა ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორს ულე ლინდვალს და ექვსი თვით წავიდა შვედეთში... 10 თვის შემდეგ ოჯახის წასაყვანად ჩამოვიდა საქართველოში. აქ კი 1992 წლის იანვარი იდგა - სამოქალაქო ომის ხანა....*



ზაზა კოკაია

- მივდიოდი ოჯახით. გიორგი ჯერ ერთი წლისაც არ იყო... ბილეთები, ცხადია, გვქონდა. მაგრამ, სამოქალაქო ომისა და ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გაქცევის გამო, აეროპორტი ჩაიკეტა. გადავწყვიტეთ, სოხუმიდან მოსკოვში მატარებლით გავმგზავრებულიყავით. დაჯავშნილი ბილეთების ასაღებად სადგურში რომ მივედი, მითხრეს, სენაკში რელსები აყარეს და სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილიაო... ვეღარც მატარებლით წავედით. მამამ და ჩემმა სიმამრმა მანქანაში ჩაგვსხეს და სოხუმისკენ გავემგზავრეთ. გაფრენამდე 3 საათით ადრე ვიგებთ, რომ სოხუმის აეროპორტიც დაიკეტა და ჩვენი თვითმფრინავისთვის ადლერში უნდა მიგვესწრო... იმ დროს ბენზინის დიდი დეფიციტი იყო. ორი საათი ერთი ბალონი ბენზინის საშოვნელად ვიწრიალეთ. როგორც იქნა, ვიშოვეთ და თვითმფრინავს ადლერში ჩავუსაწარით... გავაღწიეთ.

**- თქვენი აღმოჩენის ფორმულირება ამგვარად ჟღერს: ინსულტის შედეგად დაღუპული ნერვული უჯრედების შენაცვლება ტვინის სხვა უჯრედების ხარჯზე ხდება. ტვინს ეს უნარი ოდითგან ჰქონდა. ცხადია, ეს აღმოჩენა ახალ გზებს გაკვალავს. რა იქნება შემდეგი?**

- ამ აღმოჩენამ, ფაქტობრივად, მოგვცა იმის თეორიული შანსი, რომ განვავითაროთ მკურნალობის ახალი, პრინციპულად განსხვავებული მეთოდი: თუ ტვინს თვითგანახლების უნარი აქვს, იქნებ მოგვეცეს საშუალება, რომ პროცესის სტიმულაცია მოვახდინოთ, დავეხმაროთ ტვინს ამ პროცესში და ხელი შევუწყოთ იმას, რომ ახლად წარმოქმნილი უჯრედები არ დაიხოცონ. ანდა, ტვინს ამ ტიპის უჯრედები ტრანსპლანტაციის გზით მივაწოდოთ. ტვინი ამ უჯრედებს საჭიროების მიხედვით თვითონ მოიხმარს.

**- გამოდის, რომ ტვინს ეს უნარი ყოველთვის ჰქონდა.**

- რა თქმა უნდა, და ჩვენ ეს დავინახეთ.

**- ეს ორგანო ისეთი დანიშნულების და სტრუქტურისაა, რომ სწორედ გასაკვირია, აქამდე რატომ ეგონათ შეუძლებელი.**

- რა თქმა უნდა, ასეა. სირთულე ისაა, რომ ის ძალზე კომპლექსურია, რთულია. ტვინში მილიარდობით უჯრედია განლაგებული და მათი ფუნქციისა და სტრუქტურის საბოლოო წვდომა და კვლევა ძალზე რთული საქმეა. დარწმუნებული ვარ, ტვინში კიდევ ბევრი რამ არის ჩვენთვის ამოუცნობი.

**- ლეონარდო და ვინჩიდან მოყოლებული, რაც ადამიანს იკვლევენ, იკვლევენ ტვინსაც. ტვინის შესაძლებლობების რა ნაწილია შესწავლილი?**

- ალბათ, ძალიან მცირე ნაწილი.

საქმე ის არის, რომ ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მეთოდიკის განვითარებასთან ერთად იზრდება საშუალებაც, უფრო დეტალურად ჩავწვდეთ ტვინის ფუნქციას, უჯრედების გენით დაწყებული, ქცევით დამთავრებული. მთელი არსი ისაა, რომ შესწავლა ერთიანად უნდა მოხდეს. ეს პროცესი კი ერთმანეთთან უნდა დავაკავშიროთ - გენი, უჯრედი, ქსოვილი, ფუნქცია, ქცევა... ამის საშუალებას გვაძლევს იმ ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის პროგრესი, რისი საშუალებითაც ვიკვლევთ ტვინის გენს.

ამ პროცესების შესასწავლად იმდენად რთული ხელსაწყოები არსებობს, რომ შეგვიძლია, საკითხი ღრმად და დეტალურად შევისწავლოთ.

**- პროგრესი, ტექნიკისა და ტექნოლოგიების დახვეწა - ადამიანის ტვინის, თქვენი კვლევის საგნის მუშაობის შედეგია. გამოდის, რომ მკვლევარები ტვინის განვითარებას ფეხდაფეხ მისდევენ. იმედია, განვითარების გზაზე ტვინს ვერასდროს დაეწევით.**

- დიახ, დაწევა შეუძლებელი იქნება და სწორედ ეს არის პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ტვინის შემეცნებით მრავალი პრობლემის ახსნას ვპოულობთ, მაგრამ, პარალელურად, წამოიჭრება ახალი საკითხი, რომლის შესახებაც წარმოდგენაც კი არ გვქონდა. ეს მუდმივი მოძრაობისა და განახლების პროცესია და, ალბათ, სწორედ ეს არის პროგრესის მამოძრავებელი ძირითადი მექანიზმი.

**- ცხადია, გინახავთ, როგორ გამოიყურება ტვინი. შეიძლება თუ არა, ადამიანის შესაძლებლობებზე ტვინის გარეგნობით იმსჯელო? ანუ, არის თუ არა მართალი გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ტვინში არსებული ხვეულთა რაოდენობა ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს?**

- ექიმი არა ვარ. მხოლოდ ვირთაგვების ტვინთან მაქვს საქმე. მათ კი ყველას ერთნაირი ტვინი აქვთ. ჭკვიანი და უჭკუო ვირთაგვები არ არსებობენ. თუმცა, მათ შორისაც არის განსხვავება, მაგრამ ვიზუალურად ამის დანახვა ძნელია.

**- ადამიანები როდის იგრძნობენ თქვენი მეცნიერული აღმოჩენის სიკეთეს?**

- წინ დიდი გზაა. მხოლოდ ფენომენია აღმოჩენილი. თუ რა ფაქტორები ახდენს მის რეგულაციას, რა წვლილი შეაქვს ამ ახლად წარმოქმნილ უჯრედებს აღდგენით პროცესებში, რამდენად ზოგადია ეს მოვლენა და შესაძლებელია თუ არა ამის განხორციელება ერთ, კონკრეტულ დაზიანებულ უბანზე - ეს კვლევის საგანია.

აღმოჩენამ ახალი პერსპექტივა დასახა: როგორ შეიძლება, ინსულტის შემდეგ ხელი შეუწყო აღდგენით პროცესებს ტვინში. ამის დასახვეწად და დასადგენად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ ამ ახალ უჯრედებს, მართლაც, აქვთ წვლილი. ჩვენ იმის შესაძლებლობა და მექანიზმი ვაჩვენეთ, რომ ეს უჯრედები ამ პროცესებში მონაწილეობენ.

მართალია, კლინიკამდე გრძელი გზაა გასავლელი, მაგრამ ეს ფუნდამენტური მოვლენაა. აქამდე არ იყო ცნობილი, რომ გარკვეული ტიპის დაღუპული უჯრედების სანაცვლოდ იგივე ტიპის უჯრედები შეიძლება წარმოიშვას. ნორმალურ პირობებში ეს არ ხდება. ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტრუქტურა დაზიანდა. ასე რომ, ეს ბუნებრივი პროცესი კი არა, ტვინის საპასუხო რეაქციაა დაზიანებაზე.

ინსულტის შემდეგ გადარჩენილ ბევრ პაციენტში ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი პროცესები. მათი მოტორული, სასიცოცხლო ფუნქცია, გარკვეულწილად, აღდგება ხოლმე. ბევრ პაციენტში სრულადაც აღდგება. ეს ინდივიდუალურია და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

**- მეცნიერებას ეროვნება და საზღვრები არა აქვს. მოგეხსენებათ, საქართველოში მეცნიერება პრიორიტეტული არ არის და არც ამის ფინანსები მოიძებნება, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში მაინც. ოდესმე თუ იფიქრებთ აქ დაბრუნებაზე და რამდენად აქტუალურია თქვენთვის ეს საკითხი?**

- დღევანდელი მეცნიერება, მართლაც, საერთაშორისოა. მუშაობა ჯობს იქ, სადაც შესაძლებლობების გამოსავლენად უკეთესი პირობებია, სადაც უკეთ განახორციელებ პროექტებს.

მეორე მხრივ, ადამინისთვის მხოლოდ სამსახური და პროფესია არ არის განმსაზღვრელი. იქნებ სუბიექტური ვარ, მაგრამ მუდმივად რაღაც ძალა მექაჩება თბილისში. ქართველი კაცისთვის საზღვარგარეთ ცხოვრება ძნელია. ბედნიერი ვარ, რომ ქართველი მეუღლე მყავს და ჩემი ძმაც, თავისი ოჯახით, იქ ცხოვრობს. ჩვენ ერთ უნივერსიტეტში ვმუშაობთ და ეს გარკვეული კომპენსაციაა. რა თქმა უნდა, ველი, როდის მომეცემა აქ ჩამოსვლისა და მუშაობის საშუალება.

**- როგორ გგონიათ, როდის დადგება ეს დრო?**

- თუ დავბრუნდები, ჩემს სფეროში სრულყოფილი მუშაობა, ალბათ, შეუძლებელი იქნება. იქ იმდენად მოწინავე, რთული და ძვირად ღირებული კვლევაა, რომ ახლო მომავალში აქ ეს, ალბათ, არ მოხერხდება.

ვფიქრობ, არც არის საჭირო, რომ ყველა არსებული და მოწინავე დარგი განვითარდეს საქართველოში. ეს არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

**- როგორ გგონიათ, დრო გამოავლენს თუ არა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მეცნიერულ დარგებს საქართველოში?**

- თავისით ეს არ დარეგულირდება. საჭიროა გარკვეული პოლიტიკა და ნება იმისა, რომ მეცნიერება განვითარდეს. ეს დიდ დაფინანსებასთან, კვლევისა და უმაღლესი განათლების სისტემის რესტრუქტურიზაციასთან არის დაკავშირებული.

დასავლეთში უმაღლეს განათლებასა და მეცნიერულ კვლევას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს. ყველა უნივერსიტეტი (მცირე გამონაკლისის გარდა), დიდი სამეცნიერო ცენტრია და განათლების პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული კვლევასთან. სტუდენტი საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომების შექმნისას უშუალოდ მონაწილეობს კვლევაში. ყველა კურსშია ჩადებული პრაქტიკული კვლევა, ლაბორატორიული სამუშაოები.

**- რა ინფორმაცია გაქვთ, თუ არის ჩვენს დღევანდელ უნივერსიტეტებში რაიმე ცვლილება მას შემდეგ, რაც აქედან წახვედით?**

- კონტაქტები მაქვს. თსუ-ს ერთერთი ასპირანტურის კურსდამთავრებული ჩემი ასპირანტია, აქედან წავიყვანე და მასთან დავიწყე მუშაობა. რა თქმა უნდა, პოტენცია დიდია, მაგრამ ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ როგორ უნდა შეიცვალოს სისტემა. ამ საკითხში დეტალური ჩახედვაა საჭირო. მიჭირს რაიმეს თქმა, მაგრამ, ფაქტია, რომ 5-მილიონიანი საქართველოსთვის ამდენი უმაღლესი სასწავლებელი და სპეციალისტი, ყველა სფეროში ამდენი სტუდენტის მომზადება მეტისმეტად ბევრია. როგორც ჩანს, საქართველოში ამ საკითხზე არავინ ზრუნავს.

იმედი მქონდა, რომ ბევრი უმაღლესი სასწავლებლის არსებობა თავისთავად დაარეგულირებდა ამ პროცესს და 10 წლის შემდეგ ბიოლოგიაზე მოთხოვნილება შემცირდებოდა – 100-ის ნაცვლად 10 სტუდენტი მომზადდებოდა. როგორც ჩანს, ეს ხანგრძლივი პროცესია და ამის მოსაგვარებლად ათი წელიწადი საკმარისი დრო არ არის.

ალბათ, საჭიროა ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან და გარკვეული პროგრამის ჩამოყალიბება. როგორც ვხედავ, არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა, ერთიანი გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს განათლების სისტემა. ნაკლებად ჩახედული ვარ, მაგრამ შედეგი ზედაპირულადაც არ ჩანს.

**- არ ვგულისხმობ ნიჭსა და მონდომებას. რამდენად ხარისხიანი ცოდნითაა აღჭურვილი მეცნიერულ კვლევებს მოწყურებული ქართველი ახალგაზრდა?**

- ვიტყოდი, რომ საბაზისო ცოდნის დონე კარგია, მაგრამ ჩვენი სტუდენტები ინფორმაციას თანამედროვე მეცნიერების უახლესი მიღწევების შესახებ მოკლებულნი არიან. უფრო კლასიკურ, საბაზისო ცოდნას ეუფლებიან. ხოლო იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს, რა ახალი მეთოდოლოგია არსებობს - ინფორმაცია არ არის.

გარდა ამისა, გადასახედია სალექციო პრინციპები. ლუნდის უნივერსიტეტსა და ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში არსებობს პროგრამა, რომლის მიხედვითაც სტუდენტები ლექციათა კურსს ისმენენ, შემდგომ მათ ამოცანებს აძლევენ და პრობლემებს უსახავენ. ამ პრობლემების გარშემო მცირე ჯგუფებში გაწევრიანებული სტუდენტები თავად ცდილობენ, პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასახონ ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ თემის შესასწავლად არის საჭირო. ლექციებთან ერთად ინდივიდუალური მუშაობაც ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს.

როგორც ვიცი, აქ ყველაფერი ძველებურადაა და ეს ნაკლებად ეფექტურია.

**- თქვენ სწორედ ამ ნაკლებად ეფექტური ცოდნით ჩახვედით შვედეთში. რამდენად ძნელი იყო თქვენთვის ახალ გარემოსთან ადაპტაციის პერიოდი?**

- მე იქ სწავლა არ გამიგრძელებია. რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო. ბევრი მუშაობა დამჭირდა. თუმცა, ადრეული თანამშრომლობის წყალობით ვიცნობდი მეთოდოლოგიას, ლიტერატურას და ადაპტაცია შედარებით გამიადვილდა. თანაც, აუთვისებადი და შეუსწავლელი არაფერია.

**- როგორც ცნობილია, თქვენი კვლევის საგანზე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა. რა ბედი ეწევა მათ შრომებს?**

- ჩვენი სტატიის გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომი დაიბეჭდა. მათაც ანალოგიური შედეგები მიიღეს, რაც ჩვენთვის სასიხარულო იყო. როდესაც ახალს აღმოაჩენ, ყოველთვის ეჭვი გღრღნის... იმის მიუხედავად, რომ ჩვენ მრავალჯერ გავიმეორეთ ცდები და ერთნაირი შედეგები მივიღეთ, როდესაც სხვა ჯგუფი, სხვა ქვეყანაში, სხვა მიდგომებით მიიღებს იგივე შედეგს, ყოველთვის უკეთესია და რწმუნდები, რომ აღმოჩენა შემთხვევითი არ არის და ეს რეალობაა.

**- რაიმე ჯილდოზე თუ წარგადგინეს?**

- ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის იქნება, თუ, მართლაც, დადგინდება, რომ ჩვენს მიერ აღმოჩენილი მექანიზმების კლინიკებში დანერგვა შესაძლებელია. ამას კი წლები დასჭირდება

**- იმედია, მოესწრებით...**

- ღმერთმა იმედი არ მოგვიშალოს...

**- ოპტიმიზმის ფორმულა ყოველი ადამიანის ტვინში დევს. როგორია იგი?**

- ალბათ, არსებობს, მაგრამ მას აღმოჩენა სჭირდება.






# „სუხიშვილები„ ერთი წლის შემდეგ

ნანა ბასილაშვილი

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის კვირეული მიმდინარეობს. თითქმის ერთი წლის შემდეგ "სუხიშვილები" საიუბილეო სოლო კონცერტებს "მშობლიურ სცენაზე" მართავენ. ამ დღეებში წარმოდგენილ კონცერტებს, ანსამბლი ილიკო სუხიშვილის 95 წლის იუბილეს უძღვნის.

რამოდენიმე თვის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საკმაოდ გრძელვადიანი გასტროლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული "სუხიშვილების" ანსამბლი აქტიურ მუშაობას შეუდგა. ანსამბლმა სრულიად ახალი და საკმაოდ ორიგინალური სიტყვა თქვა ქართულ ფოლკლორში, რომლის დამკვიდრებას, მათ მიერვე შექმნილ "ფოლკოთეკაში" შეეცადნენ. სულ ახლახანს, ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ფილარმონიაში გამართულ "ქართული ფოკლორის საღამოზე".

კვირეულის პირველ დღეს ილიკო სუხიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე, "სუხიშვილებმა" მთლიანად ძველი, ტრადიციული პროგრამა წარმოადგინეს. ამ დღეს მხოლოდ ის ცეკვები შესრულდა, რომლებსაც ანსამბლი უფროსი ილიკოს დროს ცეკვავდა. წარმოდგენილი ყველა ძველი კომპოზიცია უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა აღადგინა.

ტრადიციული ცეკვები გუშინაც შესრულდა, მხოლოდ ამჯერად მათ პირველი განყოფილება დაეთმო. გუშინ ანსამბლი მაყურებლის წინაშე ორ განყოფილებიანი პროგრამით (ტრადიციული და განახლებული) წარსდგა. ამ პროგრამით ანსამბლი უკვე მესამე წელიწადია მუშაობს. ტრადიციულ ცეკვებს, ანუ როგორც მას "სუხიშვილები" უწოდებენ - მემორიალურ პროგრამას, ყოველთვის კონცერტის პირველი განყოფილება დაეთმობა. რაც შეეხება მეორე განყოფილებას, მასში უკვე 10 ახალი კომპოზიცია შედის. ახალი კომპოზიციები ბოლო სამი წლის განმავლობაში ნელ-ნელა იქმნებოდა.


"სუხიშვილები"

"ჩვენი მცდელობაა შეიქმნას რამოდენიმე პროგრამა და სხვადასხვა დროს იქნას წარმოდგენილი. მაგალითად ზოგს კლასიკური ტრადიციული ცეკვა მოსწონს, ზოგს განახლებული ვარიანტის ხილვა უნდა, ზოგიც სრულიად ახალ კომპოზიციებს არჩევს. რადგან დღეს ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ახალი პროგრამის მთლიანად ერთი განყოფილება ვაჩვენოთ, მომავალში, შესაძლოა, ორი ახალი განყოფილება შეიქმნას. ჩვენს საკონცერტო პროგრამაში უკვე მესამე წელიწადია სიახლის შეტანას ვცდილობთ. მთავარია, რომ ყველა კომპოზიცია ტრადიციული და ხალხურ ფოლკლორზეა აგებული", - აღნიშნა ანსამბლის დირექტორის მოადგილემ, ნინო სუხიშვილმა.

"მთიულური ფერხული" და "სვანური ნანა" საკონცერტო პროგრამის მეორე განყოფილებაში "სუხიშვილებმა" გუშინ პირველად შეასრულეს.

# ფრანგული თეატრის ფრანკო (სიგიჟეები) ფოლიები

ნათია ვადაჭკორია

"დიუმას საღამოების" ეგიდით, საფრანგეთის საელჩო საქართველოში და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, განაგრძობს თავის საღამოებს, რომლებიც თებერვლის თვეში ცეკვით დაიწყო და მარტში ფრანკოფონიის დღეებით გაგრძელდა. ამჯერად, ორი დღის მანძილზე ფრანგებმა დებატების და ფილმების ციკლი – თანამედროვე ფრანგული თეატრის ასპექტები წარმოგვიდგინეს. ფილმებს კომენტარები დაურთო ქალბატონმა ირინა ღოღობერიძემ, რომელიც საფრანგეთის კულტურის ატაშემ ფრანსუა ლორანმა არა მხოლოდ "ფრანკოფონს", არამედ, "ფრანკოფოლს" ანუ ფრანგულ კულტურაზე გადარეულს შეადარა. ხუმრობით რასაკვირველია, მაგრამ ქალბატონი ირინა, მართლაც, ფრანგული კულტურის თითქმის ყველა ასპექტში ერკვევა – თარგმნის, ასწავლის, ცხოვრობს და არსებობს ფრანგული თეატრით.

## ცარიელი სივრცე

დოკუმენტურ ფილმში "ცარიელი სივრცის გარშემო", პიტერ ბრუკი თავის შესახებ ყვება – "რაიმე ფასეული რომ შევქმნა, ცარიელი სივრცე უნდა არსებობდეს და შემდეგ შევავსო ენით, მუსიკით, გრძნობებით, განცდებით ანუ იმით, რაც ფასეულია სპექტაკლში და კიდევ, რაც ყველაზე მთავარია ცარიელი სივრცის ასპექტი – რაც შეიძლება ნაკლები დეკორაცია". ამიტომაცაა ბრუკის ყველა სპექტაკლს დეკორაციის არარსებობა ახასიათებს. თუ როგორ მოხვდა ბრიტანელი ბრუკი ფრანგულ თეატრში, ამას ირინა ღოღობერიძე ასე ხსნის – "არ მინდოდა თეატრზე საუბრის დაწყება პიტერ ბრუკის გარეშე, მით უმეტეს, რომ იგი საუბრობს იმაზე, რაც ყველაზე მთავარია თეატრში – ცარიელ სივრცეზე ანუ იმ ადგილზე, სადაც თეატრალური ქმედება უნდა მოხდეს. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ 1957 წლიდან იგი საფრანგეთში მოღვაწეობს და პარიზში ერთ-ერთი საუკეთესო Boule du Nord-ის თეატრი აქვს.

## თეატრი, სადაც მზე ღამეც ანათებს

"არიანი და კომპანია" – დოკუმენტური ფილმი ეძღვნება ფრანგი რეჟისორის არიან მნუშკინის "მზის თეატრს", რომელიც პარიზთან ახლოს, ვენსანის ტყეში მდებარეობს და თავად რეჟისორის და თეატრის ადმინისტრაციის მიერაა აგებული. "მზის თეატრს" მუდმივმოქმედი დასი არ ჰყავს, მსახიობები მოწვეულნი არიან ამა თუ იმ სპექტაკლისთვის.


ირინა ღოღობერიძე და ფრანსუა ლორანი

თავად რეჟისორი ჯერ კიდევ სორბონის უნივერსიტეტში სწავლის დროს ქმნის თეატრალურ დასს და სპექტაკლებს დგამს, საფრანგეთის 1968 წლის მაისის მოვლენების შემდეგ კი, საკუთარი თეატრის შექმნას გადაწყვეტს. "მზის თეატრის" მაყურებელს სპექტაკლზე დასასწრებად პირდაპირ დარბაზში შესვლა კი არ უწევს, არამედ ჯერ კულისებს გაივლის, შემდეგ თეატრის სამზარეულოს და ასე ხვდება დარბაზში, რაც სპექტაკლის დაწყებამდე უკვე თეატრალურ სამყაროში ძირავს დამსწრე საზოგადოებას. დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენებია მოლიერის "ტარტიუფის" შექმნის მნუშკინისეული დადგმის ფრაგმენტები და სპექტაკლის დაბადების პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ მოტივებზე დადგმულმა "ტარტიუფმა", რომელიც უკვე 213-ჯერ ითამაშეს, "მზის თეატრს" 6 მილიონის ვალი დააფარვინა და უხელფასო მსახიობებისთვის ხელფასიც გააცემინა. "მზის თეატრის" კრედო გახლავთ არავითარი გაფლანგვა – არც დროის, არც ფულის და არც მაყურებლის პატივისცემის.

მნუშკინის ფრანგულ წარმომავლობაში ეჭვი შემეპარა და ქალბატონმა ირინამ ერთი ისტორია მომიყვა – "1987 წელს საფრანგეთში გახლდით თეატრის მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც ცნობილი დრამატურგი მიხეილ შატროვი ხელმძღვანელობდა. არიანმა თავის თეატრში დაგვპატიჟა და უცებ აფიშასთან მისულმა შატროვმა რუსულ ყაიდაზე წაიკითხა – მადამ არიანა მნუშკინა, რაზეც არიანამ მიუგო – მე მქვია არიანა მნუშკინ, მე ვარ ფრანგი, მამაჩემმა თქვენი ქვეყანა დატოვა მაშინ, როცა თქვენმა რევოლუციამ იქ გაიმარჯვა და თქვენ პირველი ჯგუფი ხართ, ვინც ჩემს თეატრში იმ სივრციდან მივიღე".

## შემოქმედებითი დღიური

ოლივიე პი ძალზედ ძლიერი, ორიგინალური, სადა რეჟისორია, მისი დადგმები გულგრილს არავის ტოვებს. მან ეგრეთწოდებული კვარტალის თეატრი დააარსა, სადაც ახალი პლეადის დრამატურგები მუშაობენ, მის დადგმებს ყოველდღიურობის შეგრძნება ახასიათებს და საყოფაცხოვრებო თემებზეა ორიენტირებული.

## ინვენტარიზაცია

რეჟისორი რობერტ კანტარელა თავის სპექტაკლს დიდ სუპერმარკეტში სამი მსახიობი ქალის დაუსრულებელი ლაი-ლაის სახით წარმოგვიდგენს, რომლებსაც სახლიდან აქვთ წამოღებული მურაბის ტაშტი, ლამფა და ორმოცდაათიანი წლების ჩანთა. ამ ნივთებზე ისინი სხვადასხვა სახალისო ისტორიებს ყვებიან და სუპერმარკეტში შემოსულ მყიდველს, რომელიც სხვათაშორის პირდაღებული უყურებს ყოველივეს, წარმოდგენაც არა აქვს, რომ ფარული კამერით იღებენ და სპექტაკლის უშუალო მონაწილე ხდება.

ასეთია ფრანგული თეატრის ფრანკოფოლიები.

# ჟურნალი "სახე(ლ)ები", პატარკაციშვილის ჰალსტუხი და კანდელაკის ხელთათმანები

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ სასტუმრო „მარიოტში" საგამომცემლო სახლის „სახელებისა" და მისი პროექტის, ჟურნალ „სახე(ლ)ები-2002"-ის პრეზენტაცია გაიმართა. საზოგადოებას წარმოუდგინეს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული 280-გვერდიანი ჟურნალი, რაც მასშტაბების და შინაარსის მიხედვით, ქართულ მედია-სივრცეში სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს. მას-მედიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჟურნალმა 2002 წლის გაზეთად „24 საათი" დაასახელა, წლის ტელევიზიად აღიარების პატივი „რუსთავი 2"-ს ერგო, ხოლო ყველაზე პოპულარულ ტელეწამყვანად ეკა ხოფერია მიიჩნიეს. პრეზენტაციის ყველაზე საინტერესო ნაწილს საქველმოქმედო აქცია-აუქციონი წარმოადგენდა, რომელზეც ჩვენი საზოგადოების პოპულარულმა წარმომადგენლებმა პირადი ნივთები გამოიტანეს. აუქციონს უძღვებოდა ვანიკო თარხნიშვილი. სააუქციონე ნივთების ნუსხაში იყო ზურაბ ჟვანიას ჰალსტუხი, რომელიც მას ფრაზის - „ქართველი ვარ, ესე იგი, ევროპელი ვარ", წარმოთქმის დროს ამშვენებდა, „უცნობის" ერთ-ერთი პირველი ნიღაბი, მაკა ასათიანის მიერ შეკერილი შარფი და საკერავი მანქანა, გიორგი კანდელაკის კრივის ხელთათმანები, რაგბის ბურთი „ბორჯღალოსნების" ავტოგრაფებით, ბადრი პატარკაციშვილის ჰალსტუხი... რეკორდულ თანხად - 300 ლარად ორი ნივთი გაიყიდა: კანდელაკის ხელთათმანები და პატარკაციშვილის ჰალსტუხი. რაგბის ბურთში ომბუდსმენმა, ნანა დევდარიანმა 200 ლარი გადაიხადა. შემოსულმა თანხამ 2 520 ლარი და 175 დოლარი შეადგინა. ეს თანხა გუშინვე გადაირიცხა სპეცანგარიშზე, საიდანაც ის „ერთიანი სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის" მიერ წარმოდგენილი სიების შესაბამისად, სოციალურად დაუცველ ფენას დაურიგდება. აქციის ორგანიზატორების თქმით, 60-მდე ადამიანი 50-50 ლარს მიიღებს.

ჟურნალი „სახე(ლ)ები" გამოვა სეზონურადაც, წელიწადში ოთხჯერ და მთავარი რედაქტორის, ნანა აკობიძის თქმით, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა მსგავსი საქველმოქმედო აქციით აღინიშნება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## "რაიო ვალეკანო" გამოსავალს ეძებს

მიმდინარე სეზონში ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ერთბაშად სამი მადრიდული კლუბი ასპარეზობს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მაისის ბოლოს ერთ-ერთი მათგანი თავს სეგუნდა დივიზიონში ამოყოფს. რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ვარსკვლავებით გაჭედილ "რეალს" არ ემუქრება, არც მეორე დივიზიონიდან ახლად გადასულ "ატლეტიკოს". ერთადერთი მადრიდული კლუბი, რომელსაც, ალბათ, სასწაული თუ იხსნის სეგუნდა დივიზიონში გავარდნისგან, ეს "რაიო ვალეკანო" გახლავთ.

ახლა "რაიო" სატურნირო ცხრილის უკანასკნელ საფეხურზეა და არც იმის იმედი არსებობს, რომ სეზონის ბოლომდე აუტსაიდერთა ზონას თავს დააღწევს. წინა ტურში მადრიდელებმა საკუთარ მოედანზე მიიღეს ბილბაოს "ატლეტიკი" და მხოლოდ ერთი ქულა აიღეს, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ წარუმატებლობად მიიჩნია და გუნდის თავკაცი გუსტავო ბენიტესი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ბენიტესი მხოლოდ სამი თვე იყო "რაიოს" მთავარი მწვრთნელი. იანვრის ბოლოს მან შეცვალა ფერნანდო ვაკესი, რომლის დროსაც "რაიო" მეთვრამეტე ადგილზე იყო. რაკი ბენიტესმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა (მეტიც: ახლა "რაიო" ბოლო ადგილზეა), კლუბის ბოსებმა ანტონიო ირონდოს მიანდეს გუნდის კრიზისიდან გამოყვანის ურთულესი მისია.

## "ატლეტიკი" ტორესის გარეშე დარჩა

მადრიდის "ატლეტიკის" ახალგაზრდა ფეხბურთელი ფერნანდო ტორესი, მთელი სეზონის განმავლობაში ისე შესანიშნავად თამაშობდა, რომ ლამის მთელი ევროპა გადარია. "ატლეტიკოს" დიდი ნებისყოფის გამოჩენა დასჭირდა, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონის დროს ტორესი მადრიდში შეენარჩუნებინა. ესპანელი ფეხბურთელის შეძენა ყველაზე მეტად სურდა იტალიურ "მილანს", რომელთანაც "ატლეტიკომ" შარშან დიდი გარიგებები დადო - მადრიდელებმა ბერლუსკონის კლუბიდან ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი ითხოვეს და ლამის "მილანის" "ფან-კლუბად" იქცნენ. სეზონის ბოლოს "მილანი" თავისი ფეხბურთელების დაბრუნებას აპირებს და, შესაძლოა, ფერნანდო ტორესიც ხელს გააყოლოს.

"ატლეტიკოს", სულ ცოტა, ერთ თვეს მოუწევს თამაში თავისი ახალგაზრდა ლიდერის გარეშე, რადგან პრიმერა დივიზიონის 29-ე ტურში, კატალონიურ "ესპანიოლთან", ტორესმა მარცხენა ფეხი დაიზიანა. ექიმების ვარაუდით, ერთი თვე მაინც დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად.

## ინძაგი და დელ პიერო პოლემიკას მართავენ

სერია A-ს 28-ე ტურის შემდეგ, როცა "მილანმა" დერბი მოუგო "ინტერს", ჩემპიონატის ლიდერმა "იუვენტუსმა" კი ფრედ ითამაშა "ბოლონიაში", იტალიაში სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. აქამდე "იუვეს" მდევარი მხოლოდ "ინტერი" იყო, ახლა კი "ბებერი სინიორა" ერთბაშად ორ გუნდს უნდა შეებრძოლოს - "ინტერს" უკვე "მილანიც" დაემატა.

შაბათს გაიმართა მილანური დერბი, კვირას კი - "ბოლონიისა" და "იუვენტუსის" მატჩი. მილანის ფეხბურთელები იმ დღეს, რა თქმა უნდა, გულშემატკივრობდნენ "ბოლონიას", რომელიც ბოლო წუთებამდე იგებდა მატჩს, მაგრამ "იუვემ" მაინც შეძლო შეხვედრის გადარჩენა - ბოლონიიდან ერთი ქულა წამოიღო. ამის მიუხედავად, "მილანში" მაინც სჯერათ, რომ "სკუდეტოს" მოიგებენ. ფილიპო ინძაგიმ იტალიის ტელეარხ TG 5-ისთვის მიცემულ ინტერვიუში "იუვე" დუელში გამოიწვია. "კვირას, "ბოლონია"-"იუვენტუსის" მატჩს რომ ვუყურებდი, კინაღამ მოვკვდი ნერვიულობით. მხოლოდ დიდ გუნდს თუ შეუძლია თითქმის წაგებული თამაშის ფრედ დამთავრება. "იუვე" სწორედ ასეთი გუნდია, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია მისი დაძლევა. "მილანი" შესანიშნავ ფორმაშია. ჩვენ "იუვესაც" მოვუგეთ და "ინტერსაც", მაგრამ ქულები დავკარგეთ უფრო სუსტ გუნდებთან შეხვედრაში. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, "სკუდეტოს" მაინც მოვიპოვებთ", - თქვა "იუვეს" ყოფილმა ფორვარდმა.

ამის საპასუხოდ, "იუვენტუსის" კაპიტანმა ალექს დელ პიერომ თქვა, რომ "იუვენტუსისთვის" წარუმატებლობად სულაც არ ითვლება ბოლონიაში მიღწეული ფრე. "ჩვენ ექსტრემალურ სიტუაციაში ავიღეთ ერთი ქულა, რის გამოც თავს ბედნიერად ვგრძნობ. არა მგონია, წლეულს "სკუდეტოს" "მილანი" შეწვდეს. "იუვე" ხომ ისევ საუცხოო ფორმაშია", - ექს-თანაგუნდელის საყურადღებოდ განაცხადა "პინტურიკიომ".

## "ბაიერი" ისევ მხსნელს ეძებს

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი, ლევერკუზენის "ბაიერი" ისევ საშინელ დღეშია. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა ერთი მწვრთნელი უკვე გაუშვა გუნდიდან და "ასპირინთა" თავკაცად თომას ჰიოსტერი, სპორტულ დირექტორად კი იურგენ კოლერი დანიშნა, "ბაიერის" კრიზისიდან გამოყვანა ვერც ერთმა შეძლო და ვერც მეორემ. ლევერკუზენელები ისევ აუტსაიდერთა შორის არიან და ბუნდესლიგიდან გავარდნა ემუქრებათ.

გასულ ტურში მეორე ადგილზე მყოფ "შტუტგარტთან" დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ სასოწარკვეთილ რაინერ კალმუნდს მორიგი იდეა მოუვიდა: როგორც გერმანული პრესა ირწმუნება, კალმუნდს განზრახული აქვს, თავისი კლუბი ცნობილ გერმანელ სპეციალისტს, 68 წლის უდო ლატეკს ჩააბაროს.

ლატეკის კლუბში მიწვევა კალმუნდს ურჩია იურგენ კოლერმა, რომელიც მხცოვან მწვრთნელს კარგად იცნობს და მისი დიდი იმედი აქვს. კალმუნდი ლატეკს გუშინ ვერ დაუკავშირდა, რადგან ის გოლფის სათამაშოდ იყო წასული. მათი შეხვედრა, ალბათ, ხვალ შედგება.

თუ ლატეკი მოინდომებს ფეხბურთში დაბრუნებას, კალმუნდს, ალბათ, სოლიდური თანხის გაღება მოუწევს მისთვის ხელფასის გადასახდელად, რადგან ლატეკი წარმატებულ მწვრთნელად ითვლება, მისი ხელმძღვანელობით მიუნხენის "ბაიერნს" თოთხმეტჯერ აქვს მოგებული ბუნდესლიგა. 2000 წელს დორტმუნდის "ბორუსიაც" ისეთივე მძიმე მდგომარეობაში იყო, როგორშიც ახლა "ბაიერნია". მაშინ ლატეკმა "ბორუსიასთან" ერთად ხუთი მატჩი ჩაატარა, გუნდი კრიზისიდან გამოიყვანა და ამ ხუთი თამაშისთვის 75 000 ევრო მიიღო. ნაკლებზე, ალბათ, არც ახლა დათანხმდება...

## "შალკეს" მიკუ მოსწონს

იტალიური "პარმადან" ბრემენის "ვერდერში" გადასული ფრანგი ჟოან მიკუ ბუნდესლიგის გასული ტურის შემდეგ გერმანიაში მეტად პოპულარული გახდა. ოცდამერვე ტურში "ვერდერი" მიუნხენის "ბაიერნს" ესტუმრა და ბუნდესლიგის ლიდერი საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ დაამარცხა. მატჩის ერთადერთი გოლი მიკუმ გაუტანა პირადი პრობლემებით შეჭირვებულ ოლივერ კანს.

ამ გოლმა, შესაძლოა, ძირეულად შეცვალოს მიკუს მომავალი. აქამდე ფრანგ ფეხბურთელს დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, ახლა კი მისი შეძენით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. მიკუს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს გელზენკირხენის "შალკე", რომელიც დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში უეფას თასის საგზურს აუცილებლად მოიპოვებს და აქედანვე სურს, საერთაშორისო ტურნირისთვის ძლიერ შემადგენლობას მოუყაროს თავი.

### ისტორიული ფოტო

## ეს იყო 9 წლის წინათ...



1994 წლის 18 თებერვალი, ნეაპოლი, იტალია. ამხანაგური მატჩი იტალია - საფრანგეთი (0:1). პაოლო მალდინი და ერიკ კანტონა.

### მოკლედ

# უეფა-ს რისხვა ქართველ გულშემატკივრებს

### ხან უშუქოდ, ხან ცარიელი ტრიბუნებით

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა საქართველოსა და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის 29 მარტს „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩის დროს მომხდარ ინციდენტზე და მკაცრი ვერდიქტი მიიღო. მართალია, რუსეთის ეროვნულ გუნდთან საშინაო მატჩის ნეიტრალურ მინდორზე გადატანა ავიცილეთ და ეს შეხვედრა, დაგეგმილისამებრ, 30 აპრილს, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება, მაგრამ ბილეთები არ გაიყიდება. მატჩი მაყურებლების გარეშე, მხოლოდ მედიის წარმომადგენელთა დასწრებით გაიმართება. მოსალოდნელი იყო სხვა სანქციებიც, კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფულადი ჯარიმით დასჯა, მაგრამ უეფა-მ ისედაც კრიზისულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ფედერაცია შეიწყალა და ფინანსური სანქციები არ დაადო.

შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრის დროს მოედანზე ტრიბუნებიდან სხვადასხვა საგნები ისროლეს. ასეთი რამ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც თითქმის ყოველდღე ხდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ვითარება დაამძიმა ტრიბუნიდან ნასროლმა გაშლილმა დანამ, რომელიც ერთ-ერთ ირლანდიელ ფეხბურთელს ხელში მოხვდა. იმის თქმას, რომ იმ დანასროლიას, ტრიბუნიდან კი არა, ტელევიზორშიც უნდა აეკრძალოს მატჩის ყურება, აზრი არა აქვს. ფაქტი ერთია: მატჩს, რომელიც ქართულ რეალობაში წლის სპორტულ მოვლენადაც შეიძლება შეფასდეს და გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ქართველი ქომაგი მხოლოდ ტელეეთერით თუ მიადევნებს თვალს. ეს კი მხოლოდ ქართველი გულშემატკივრისთვის არ არის დანაკლისი. „შინაური კედლების" ფაქტორი ასეთ პრინციპულ მატჩებში ხშირად გადამწყვეტია და ამ უპირატესობის გარეშე, საქართველოს ნაკრების გამარჯვების შანსი საგრძნობლად მცირდება.

უეფა-ს ვერდიქტთან დაკავშირებით „24 საათმა" კომენტარი სთხოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს **ვალერი ჩოლარიას**.

- უეფა-ს ვერდიქტში ახალი და უცნაური არაფერია. ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ველოდით. თუ საქართველოს სტადიონებზე წესრიგი არ დამყარდა, უეფა ასეთ სანქციებს არ გვაკმარებს და მომავალში უფრო მკაცრადაც დაგვსჯის.

**- იმ გულშემატკივრებისთვის, ვინც შარშან, 12 ოქტომბერს, საქართველო-რუსეთის ჩაშლილი მატჩის ბილეთი შეინახა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბილეთების გადაცვლას აპირებდა. რა ბედი ელით ამ გულშემატკივრებს და მათ ბილეთებს?**

- ახლა ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მზად არა ვარ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში იმსჯელებს ამის თაობაზე და მიიღებს გადაწყვეტილებას, რასაც, პრესის საშუალებით, საზოგადოებას ვაცნობებთ.

# ჩაუთვლელი გოლის ქრონიკა

საქართველოს ჩემპიონატი
ფინალური ეტაპის მე-4 ტური
**დინამო 3:0 ლოკომოტივი**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

პენალტი ანჩაბაძის შესრულებით

მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთი რჩებოდა, როცა „ლოკომოტივმა" მარცხენა ფრთიდან შეტევა წამოიწყო. დინამოელთა საჯარიმო მოედანთან ახლოს პერუელმა სალასარმა ონიანთან კედელი გაითამაშა. ონიანის ზუსტი დარტყმა და ბურთი დავით გვარამაძის ბადეში გაეხვია, მაგრამ მატჩის არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა გოლი არ ჩათვალა. მსაჯის აზრით, ონიანს ბურთი ხელზე მოხვდა.

ამ დროს ანგარიში 1:0 იყო „დინამოს" სასარგებლოდ. „ახლა ძნელია იმის ვარაუდი, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, მსაჯს რომ გოლი ჩაეთვალა, მაგრამ ფაქტია: ამის შემდეგ გუნდი მთლიანად მოიშალა და შედეგად ორი გოლი გავუშვით. მე არ ვიცი, აქ როგორი წესებით მოქმედებენ, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელი ხელია, მკერდი კი მკერდი", - არ ცხრებოდა „ლოკომოტივის" მწვრთნელი ლუის ცაკარიასი. მისი აზრით, ონიანმა მკერდით ითამაშა და არა ხელით. ამ ფაქტმა გულშემატკივართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ ლევან ფანიაშვილი რისხვას მაინც ვერ გადაურჩა.

ცაკარიასი მართალი აღმოჩნდა. „ლოკომოტივი", თითქოს ენერგია გამოაცალესო, თამაშზე აღარ ფიქრობდა და, ბუნებრივია, დაისაჯა კიდეც. ორ წუთში ჯერ ალექსიძემ, შემდეგ კი ბობოხიძემ საბოლოოდ გაანადგურეს მეტოქე - 3:0.

ყველაფერი მატჩის მე-15 წუთზე დაიწყო, როცა ლევან ფანიაშვილმა საჯარიმო მოედანზე განზრახ ხელით თამაშისთვის მცველი სერგო ორბელაძე მინდვრიდან გააძევა და „ლოკომოტივის" კარში, სავსებით სამართლიანად, პენალტი დანიშნა. დინამოელთა იერიში ანჩაბაძის გრძელ, დიაგონალურ გადაცემას მოჰყვა. შეტევის მარჯვენა ფრთაზე მას გამოეხმაურა კარლოს და როჩა, რომელმაც მეკარის მოედანზე მაღალი ბურთი დაკიდა. გიორგი ლომაია პოზიციურად შეცდა. ბურთი უხეიროდ, თავის წინ მოიგერია და რატი ალექსიძეს კარში დარტყმა არ გასჭირვებია, მაგრამ ორბელაძემ ლამაზი ნახტომით მოიგერია ბურთი, რისთვისაც მას წითელი ბარათი უჩვენეს.

პენალტი ანჩაბაძემ გამოიყენა და ანგარიში გაიხსნა. „ლოკომოტივი" კაცნაკლული დარჩა. ცხადი იყო, რომ ცაკარიასის გუნდს ძალიან გაუჭირდებოდა, თამაში თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. ერთადერთი მიხეილ სოსელია იყო, რომელიც ორჯერ გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მეკარე დავით გვარამაძეს ვერც ერთხელ ვერ აჯობა.

„დინამოს" მწვრთნელმა ივო შუშაკმა ორბელაძის გაძევების შემდეგ ტაქტიკური ცვლილება განახორციელა - შეტევაში დარასელია-ალექსიძის წყვილს ლადო ბურდულიც შეუამხანაგა, მაგრამ ამან ვერ გამოიღო ის შედეგი, რომელსაც შუშაკი ელოდა. ბურდული ტრავმის შემდეგ ჯერჯერობით ვერ არის სასურველ ფორმაში, ამიტომ მეორე ტაიმში ის შეცვალა მიხეილ ბობოხიძემ, რომელსაც სამჯერ შეეძლო ლომაიას კარის აღება, მაგრამ ვერც ერთხელ ხეირიანად ვერ დაარტყა და გოლის გატანა მხოლოდ მეოთხე ცდაზე, სახვაძის ფლანგური გადაცემის შემდეგ მოახერხა.

„სამწუხაროა, რომ მეორე ტაიმში სამი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მხოლოდ მატჩის მიწურულს შევძელით ჩვენი შანსის რეალიზება. ფეხბურთელის გაგდება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ იმის განსაზღვრა, თუ რა იქნებოდა, ორბელაძე რომ არ გაეძევებინათ, ძნელი გამოსაცნობია. ეს მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო და, ბუნებრივია, ბიჭები გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ. შეიძლება თამაშს ამანაც გარკვეული დაღი დაასვა. ვფიქრობ, თბილისურმა დერბიმ ყველა დააკმაყოფილა. მინდა, ორივე გუნდის მოთამაშეებს დაძაბული მატჩისთვის მადლობა გადავუხადო. რაც შეეხება ჩაუთვლელ გოლს. ერთი წელიწადია, აქ ვმუშაობ და, ალბათ, იცით, რომ მსაჯის გადაწყვეტილებებს კომენტარს არ ვუკეთებ", - მატჩის შემდეგ განაცხადა ივო შუშაკმა.

ლუის ცაკარიასის აზრით, ამ დამარცხების შემდეგ „ლოკომოტივს" ძალიან გაუჭირდება, მაგრამ მისი მიზანი უცვლელი რჩება. „რა თქმა უნდა, პროგრამა მაქსიმუმის შესრულება უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ „ლოკომოტივი" მაინც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება ლეგიონერებს, სალასარს დრო სჭირდება, რომ გუნდის სათამაშო სქემას მოერგოს, ნანა ეშუანი კი, იმედია, მალე მიაღწევს სასურველ ფორმას და ეს გუნდის თამაშსაც დაეტყობა", - ამბობს ლუის ცაკარიასი.

ტურის მეორე უმნიშვნელოვანესი მატჩი ქუთაისში გაიმართა. „ტორპედომ" თბილისის „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. მატჩი დამთავრდა ფრედ - 0:0. ნულოვანი ფრე დაფიქსირდა ბოლნისში, „სიონ"-„კოლხეთის" შეხვედრაშიც. ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ თბილისის „დინამო" თავის უახლოეს მდევარს, „ვიტ ჯორჯიას" სამი ქულით უსწრებს.

**დინამო:** *გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოს და როჩა, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული (ბობოხიძე), დარასელია (კანდელაკი), ალექსიძე (სახვაძე).*
**ლოკომოტივი:** *ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ონიანი, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, სირაძე (კაიდარაშვილი), ნანა, ბურნაძე (სალასარი), სოსელია (ძოძუაშვილი).*
**გოლი:** *ანჩაბაძე (15), ალექსიძე (89), ბობოხიძე (90)*
**გაძევება:** *სერგო ორბელაძე*
**მსაჯი:** *ლევან ფანიაშვილი (თბილისი)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 32 |
| ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 31 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 28 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 22 |
| კოლხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 0:6 | 18 |

# რა ემართება ოლივერ კანს?

### "ბაიერნის" მეკარის უცნაურობანი

ნინო პირველი

ბოლო დროს მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარებულმა ოლივერ კანმა არაერთი უსიამოვნება გადაიტანა. მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ კანს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდა და ორსულ მეუღლეს ღალატობდა, "ბაიერნის" მეკარე საყოველთაო გაკიცხვის ობიექტად იქცა. საქმეს ვერც ვაჟიშვილის დაბადებამ უშველა. კანი სახლიდან წავიდა და ქაოსური ცხოვრებაც დაიწყო. რაც უნდა გასაკვირი იყოს, მსოფლიოში სახელგანთქმულ მეკარეს, რომელსაც "ბაიერნი" მილიონებს უხდის, საკუთარი სახლი აღარა აქვს. კანი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა: ხან მეუღლეს და შვილებს ესტუმრება და ღამეს დივანზე ათენებს, ხან ახალი საყვარლის, ვერენას ბინაში სძინავს, ხან სასტუმროში რჩება. "ოლი" თავადაც ვერ გარკვეულა, რა სურს, რას ეძებს, რას ელის ცხოვრებისგან. ბუნდესნაკრების კაპიტანი ჯერაც ჭოჭმანობს და ვერ გადაუწყვეტია ვერც ცოლთან განშორება, ვერც ვერენასთან ერთად ახალ ცხოვრების დაწყება. მოკლედ, კანის პირადი საქმეები საშინლად მოუწესრიგებელია.

ასეთ სიტუაციაში სულაც არ არის გასაკვირი, თუ "ოლი" მოედანზე ჩვეული შემართებით ველარ გადის და კარის მშრალად შენარჩუნებასაც ვეღარ ახერხებს. ორი-სამი კვირის წინ, როცა ვერენასთან დაკავშირებული სკანდალი კულმინაციას აღწევდა, კანი როგორღაც ახერხებდა სიმშვიდის შენარჩუნებას და ამის წყალობით "ბაიერნი" რეკორდებს ეთამაშებოდა. თავად კანმაც ორჯერ დაამყარა გოლის გაუშვებლობის რეკორდი, რითაც მეტად კმაყოფილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლანძღავდა და მისი ფოტოები ბულვარული გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდიოდა, კანი მოედანზე შეუვალი იყო. ახლა ყველაფერი შეიცვალა.

აჟიოტაჟი მიწყნარდა. კანის და ვერენას ამბავი დაძველდა. ყვითელი პრესის ინტერესიც მინელდა. კანს ახლა აღარავინ აკრიტიკებს. მაგრამ სიტუაციის შერბილებამ "ოლიზე" უარყოფითად იმოქმედა: ადრე ის ლანძღვას არაფრად აგდებდა და ყველას ჯიბრზე ცდილობდა, დაუმარცხებელი ყოფილიყო. ახლა არავინ აღარაფერს ერჩის, ის კი პროფესიულ კრიზისს განიცდის.

ბოლო ორი მატჩია, კანი მეტად უსუსურად თამაშობს. ჯერ "ჰანოვერისგან" მიიღო ორი გოლი, შემდეგ - ბრემენის "ვერდერისგან". ბრემენელებთან "ბაიერნი" დამარცხდა და ქულათა სხვაობა "შტუტგარტთან" თერთმეტამდე შემცირდა. ახლა გერმანიაში იმასაც კი ამბობენ, "შტუტგარტს" ბავარიელებისთვის ჩემპიონის ტიტულის წართმევა შეუძლიაო. ამ წარუმატებლობის მიზეზი კი, წამყვან ფეხბურთელთა ტრავმების გარდა, კანის ცუდი თამაშიცაა.

"ვერდერთან" მატჩში "ოლი" საკუთარ თავს არ ჰგავდა. სოფრად მოდუნებული და მოშვებული იყო. მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როცა ბერემენელთა ფრანგმა ლეგიონერმა ჟოან მიკუმ გოლი გაუტანა. ამის შემდეგ კანი უცნაურად იქცეოდა: ერთხელ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო, მეორედ ტრიბუნებისკენ ისროლა, შემდეგ ვილი სანიოლი ლამის ხელისკვრით მოიშორა თავიდან, როცა ფრანგი მცველი "ვერდერის" ბრაზილიელი ფორვარდის, აილტონის განეიტრალებას ცდილობდა. მატჩის ბოლოს კი საერთოდ უცნაური რამ ჩაიდინა: 89-ე წუთზე, როცა "ბაიერნი" სტუმართა კარს უტევდა, შეშლილივით შევარდა "ვერდერის" საჯარიმოზე და მუშტებით შეეცადა ბურთის კარში შეგდებას. შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გაქანდა საკუთარი კარისკენ, რათა ბრემენელთა კონტრშეტევისთვის ხელი შეეშალა და კინაღამ გადათელა ბოროვსკი, რომელიც მისთვის ბურთის დათმობას არ აპირებდა.

ასეთი გიჟური თამაშის შემდეგ ყველას ერთი კითხვა უჩნდებოდა თავში: რა ემართება კანს? რატომ იქცევა ასე უცნაურად? ბავარიელთა თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი შეეცადა, კანის არანორმალური ქცევისთვის ახსნა მოეძებნა: "უკვე თექვსმეტი ტურია, "ბაიერნი" არ დამარცხებულა. ამ წაგებამ "ოლი", ბუნებრივია, გააღიზიანა. ის, უბრალოდ, გაბრაზებული იყო, რომ "ბაიერნმა" მატჩი ვერ გადაარჩინა. საგანგაშო არაფერია", - ასე გაამართლა ჰიტცფელდმა კანის სიგიჟე, თუმცა, მეორე დღეს მას ვარჯიშზე არ უხმო, შენ დასვენება გჭირდებაო...



ოლივერ კანი

მატჩის შემდეგ კანს გუნდის სპონსორთან, T Mobile-თან ერთად უნდა გადაეღო სურათი, მაგრამ როცა ფოტოგრაფმა სთხოვა, გაეღიმა, "ოლიმ" კუშტად განაცხადა, საქმე სულაც არა მაქვს სასაცილოდო და გასახდელს მიაშურა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ "ბაიერნი" მომდევნო მატჩს ქვეყნის ახლანდელ ჩემპიონთან, "ბორუსიასთან" მართავს დორტმუნდში. თუ კანი ფორმაში არ იქნება და მიუნხენელები ამ შეხვედრასაც წააგებენ, "შტუტგარტს" იქნებ, მართლაც, მიეცეს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი. ეს რომ არ მოხდეს, "ბაიერნის" ფანები კანისგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვენ - ნერვების მოთოკვას და მატჩზე კონცენტრირებას. ეს კი არც ისე იოლია კანის მსგავსი იმპულსური ადამიანისთვის...

ახლა კანი ბადგრისბახში იმყოფება - ოტმარ ჰიტცფელდის ნაბოძები შვებულებით ტკბება. გოლფს თამაშობს და ცდილობს, პრობლემები გადაივიწყოს. მარტო არ არის, ვერენაც თან ახლავს. კანი და ვერენა გადარეული შეყვარებულების შთაბეჭდილებას ტოვებენ, ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ, ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანს. ჰიტცფელდს სურს, "ბორუსიასთან" მატჩის წინ კანმა კარგად დაისვენოს და დორტმუნდში ყოველგვარი საზრუნავისგან თავისუფალი წავიდეს.

მაგიდის ჩოგბურთი

# პატარა იმედი ისევ პატარებშია

გიგა გურასაშვილი

*უსახსრობის გამო სპორტის ბევრი სახეობა გადაგვარების პირასაა. ერთი ასეთია მაგიდის ჩოგბურთი. საქმე ისეა, რომ საქართველოს ნაკრებიც არ ჰყავს. აქედან გამომდინარე, ვერ ვმონაწილეობთ ამა თუ იმ ასპარეზობაში. ერთადერთი ნათელი წერტილი ისევ ბავშვები არიან.*
*13-15 აპრილს თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა საქართველოს იუნიორთა ღია პირველობას უმასპინძლა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*წყვილთა თანრიგის ასპარეზობა.*

ჩვენში მაგიდის ჩოგბურთი გერ-ის როლში არასოდეს ყოფილა. საერთაშორისო სარბიელზეც მრავალჯ-ერ გავსულვართ და წარმატებისთვისაც არაერთხელ მიგვიღწევია, მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირის სახელით გამოვდიოდით. დღეს ჩავლილი წლები ისეთივე მოგონებად დარჩენილა, როგორც სარქის სარხოიანისა და თემურ რამაზაშვილის მიღწევები. სარხოიანის თანამედროვენი აცხადებენ, რომ მას ერთადერთს შეეძლო სპორტის ამ სახეობის დიდოსტატთა - ჩინელების დამარცხება. ის ერთგვარი რეკორდის ავტორიცაა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე სხვადასხვა კატეგორიის (ერთეულთა, წყვილთა და შერეულთა თანრიგებში) 27 მედალი აქვს მოპოვებული, რაც სხვათათვის მიუწვდომელ ოცნებად დარჩენილა. საერთაშორისო სარბიელზე კი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია როგორც შერეულთა თანრიგში, ისე გუნდურში. არის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონიც. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ის 16 წლის განმავლობაში თამაშობდა. როგორც შევიტყვეთ, ახლა ის იტალიაშია და ქვეყნის ქალთა ნაკრებს წვრთნის. სარხოიანთან შედარებით მოკრძალებული შედეგები აქვს რამაზაშვილს, თუმცა, მისი სათამაშო მანერა კვლავაც ახსოვთ. რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს 45-გზის ჩემპიონობაზე, რამაზაშვილი საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონიცაა და ევროპის ზონის პრიზიორიც. დღეს კი...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს, საქართველოში დაარსდა მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია. მსოფლიო ჩემპიონატზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით პირველად სწორედ იმ წელიწადს ვიასპარეზეთ. შვედეთში, საქართველოს ნაკრებმა, მისთვის სადებიუტო ასპარეზობაზე, 120 ქვეყნის გუნდებს შორის 45-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, ეს იყო და ეს. საქართველოს ნაკრები დაიშალა. მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციაში მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავენ იმ თაობაში, რომელიც სამი დღის განმავლობაში საქართველოს იუნიორთა ღია პირველობაზე ერთმანეთში არკვევდა ურთიერთობას. ქართველებთან ერთად ასპარეზობაში სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც მონაწილეობდნენ. იუნიორთა პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფად - 1985 და 1987 წლიანებად იყო დაყოფილი. ბუნებრივია, მასპინძლები ჭარბობდნენ. შეჯიბრებები ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში გაიმართა. რაც შეეხება პრიზიორებს, შეიძლება ითქვას, იგი თანაბრად გადანაწილდა.

ფორმულა 1

# მიხაელ შუმახერს ბედისწერის სჯერა

**ინტერვიუ, რომელშიც მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი საკუთარ კარიერაზე, ოჯახზე, ფულზე და მობილურ კომუნიკაციებზე საუბრობს**

*ფორმულა 1-ის მიმდინარე სეზონი სიურპრიზებით დაიწყო: მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტთა უმრავლესობა 2003 წელსაც მიხაელ შუმახერისა და Ferrari-ს ჰეგემონიას გვპირდებოდა, სამი რბოლის შემდეგ არც შუმახერს და არც ბარიკელოს არც ერთი საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ. გთავაზობთ ინტერვიუს მიხაელ შუმხაერთან, რომელშიც მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი წლევანდელ წარუმატებლობაზე, ფულსა და საკუთარ ოჯახზე საუბრობს.*

**- როგორ გუნებაზე ხართ წარუმატებელი სტარტის შემდეგ?**

- ცოტათი იმედგაცრუებული, თუმცა, ძალიან მოტივირებული. მოკლედ რომ ვთქვათ, სეზონი დიდხანს გრძელდება, ჯერ მხოლოდ სამი რბოლა გაიმართა. ასე რომ, ყველაფერი წინ არის.

**- ფორმულა 1-ის სამყარო სვამს კითხვას: შეცდომების დაშვება ხომ არ დაიწყო შუმახერმა?**

- ოდესმე ვიყავი უშეცდომო? ცხოვრება აღმასვლებითა და დაღმასვლებით არის აღსავსე. კარგი ის არის, რომ აღმართს დაღმართი მოჰყვება.

**- 21-წლიანი პაუზის შემდეგ Ferrari-ს მსოფლიო ჩემპიონის ზედიზედ სამი ტიტული მოუტანეთ. მიუხედავად ამისა, წლევანდელი წარუმატებლობის გამო იტალიური პრესა მწვავედ გაკრიტიკებთ. არ გაღიზიანებთ ეს?**

- ამ საკითხში მე ჩემი მეთოდი მაქვს: წარუმატებლობის პერიოდში, უბრალოდ, არ ვკითხულობ პრესას.

თუმცა, ნეგატიური კომენტარების მიზეზიც გასაგებია. იმ წარმატებების შემდეგ, რომელთაც გასულ წლებში მივაღწიეთ, ძნელია დამარცხებებთან შეგუება. იმათ, ვისაც ჩემი "ბოღმა" ჰქონდათ, საშუალება მიეცათ, საჯაროდ გამოთქვან გულისნადები. კრიტიკა ნაწილობრივ სამართლიანია, თუმცა, ნაწილობრივ უსამართლოც.

**- ექიმები ამტკიცებენ, რომ 28 წლის შემდეგ ადამიანი ყოველწლიურად კარგავს ფიზიკური შესაძლებლობების 1 პროცენტს. თქვენს ორგანიზმს ბიოლოგიური დაბერების პროცესს ხომ არ ამჩნევთ?**

- ვფიქრობ, რომ პილოტს, რომელიც გამუდმებით ვარჯიშობს და თავისი პროფესიის შესაბამისად ცხოვრობს, 40 წლის ასაკშიც შეუძლია, უმაღლეს შედეგებს მიაღწიოს.

თუმცა, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი. ეს სულ სხვა საქმეა. აქამდე არასოდეს მიგრძვნია ფსიქოლოგიური დაღლა, მაგრამ ვიცი, რომ ოდესმე ამ პრობლემის წინაშე მეც დავდგები.

**- ესე იგი, თქვენ ისეთივე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კონდიციებს ფლობთ, როგორსაც 20 წლის ასაკში ფლობდით?**

- როდესაც ჩემს ახლანდელ და 6-7 წლის წინანდელ შესაძლებლობებს ვადარებ, ვრწმუნდები, რომ ზენიტი ჯერ კიდევ არა მაქვს გადალახული.

**- როგორია თქვენი ახლანდელი ფიზიკური მონაცემები?**

- ვიწონი 72 კილოგრამს, პულსი წუთში 44 დარტყმაა. რბოლის დროს პულსის სიხშირე 110-130 დარტყმამდე იზრდება, გააჩნია სიტუაციას.

**- ასეთი პულსით ადამიანს შეიძლება ჩაეძინოს კიდეც...**

- ცხადია, ეს უჩვეულოდ დაბალი პულსია, თუმცა, მას მხოლოდ ფიზიკური დატვირთვები კი არა, ფსიქიკური კონდიციებიც განსაზღვრავს.

**- ხომ არ გაღიზიანებთ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა პილოტები, მაგალითად, 21 წლის ფერნანდო ალონსო, ან კიდევ 13 წლის კიმი რაიკიონენი, დიდ წარმატებებს აღწევენ და მწვავე კონკურენციასაც გიწევენ?**

- არა, ეს არ მაღიზიანებს, თუმცა, მათი გამარჯვებები ჩემთვის ახალი გამოწვევაა. უნდა ვაღიარო, რომ მათგან რაღაცის სწავლაც შემიძლია.

**- კონკრეტულად, რისი?**

- ძირითადად, ეს მხოლოდ ნიუანსებია. მაგალითად, მათი სტილი, მათი შემართება, ტაქტიკა. იმ კოლეგების სტილი, რომლებიც ფორმულა 1-ში დიდი ხანია გამოდიან, უკვე ზეპირად ვიცი. ახალგაზრდა პილოტებზე დაკვირვება კი ყოველთვის საინტერესოა.

**- დაასახელეთ მიზეზი, რომლის გამოც ფორმულა 1-დან წახვიდოდით.**

- პირველი და უმნიშვნელოვანესი: მაშინვე წავალ, როგორც კი ხალისს დავკარგავ. მაგრამ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ასეთი რამ არ მიგრძვნია და, არა მგონია, უახლოეს წლებში ეს დამემართოს.

მეორე ის არის, რომ ფორმულა 1-ში ჩემს დარჩენას აზრი დაეკარგება, თუ წარმატებებს ველარ მივაღწევ.

**- იზიარებთ თქვენი ყოფილი კოლეგის, მიკა ჰეკინენის გადაწყვეტილებას, რომელმაც ფორმულა 1 საკმაოდ ახალგაზრდამ მიატოვა და თავის შვილთან, ჰუგოსთან თამაშს ანიჭებს უპირატესობას?**


REUTERS

*მიხაელ შუმახერი*

- ამ მხრივ მე არ განვსხვავდები ჰაკინენისგან. ოჯახთან ერთად გატარებული დრო უმთავრესია ჩემთვის. თუ ოჯახისთვის დრო აღარ დამრჩება, მეც ვიფიქრებ ფორმულა 1-დან წასვლაზე. ეტყობა, მიკამ დრო სწორად ვერ გაანაწილა და ამიტომ მიატოვა სპორტი.

**- თქვენი ცხოვრება მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. სად და როდის აძლევთ თავს ამ ჩარჩოებიდან გამოსვლის უფლებას?**

- ცხადია, კონტროლი და მკაცრი რეჟიმი ჩემი სამსახურის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. როდესაც დრო და სამსახური ამის საშუალებას მაძლევს, ნორმალური, სიცოცხლით აღსავსე ადამიანი ვხდები.

**- მაინც როგორი?**

- დავისხამ ერთ ჭიქა წითელ ღვინოს, შესაძლოა, სიგარაც მივაყოლო. თუმცა, ყველაზე დიდი სიამოვნება ჩემს მეუღლესთან და შვილებთან ერთად გატარებული დროა.

**- ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე მიიჩნევს, რომ კაცობრიობა ძალიან არასწორი გზით წავიდა, კულტურული და ადამიანური ფასეულობები გაქრა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

- 11 სექტემბრის ტრაგედიის, ერაყის ომისა და სხვა მსგავსი უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრ დადებით ასპექტს ვხედავ, რაც უკეთესი სამყაროს იმედს მაძლევს.

**- მაგალითად?**

- ჩვენ კომუნიკაციების მორევში ვცხოვრობთ. ვსაუბრობთ მობილური ტელეფონებით, დავძვრებით ინტერნეტში. აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ მობილური ტელეფონის საშუალებით, დედამიწის ნებისმიერ წერტილში შემიძლია, ჩემი შვილების ხმა გავიგონო, ან კიდევ, ლეპტოპის მონიტორზე მათი გამოსახულება დავინახო. ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანესი, დადებითი მოვლენებია.

**- ახლა თქვენს ფინანსებზე ვისაუბროთ. იცით, საერთოდ, რამდენი ფული გაქვთ?**

- დიახ.

**- უფრო ზუსტად?**

- შესაძლოა, უკანასკნელ ცენტამდე არ ვიცოდე, რადგან ყოველთვის არ ვითვლი, რამდენს ვხარჯავ.

**- მაგრამ თქვენს ფულს თავიდან ბოლომდე აკონტროლებთ. ასეა?**

- მე მყავს მენეჯერები და მრჩევლები, რომლებიც კომპეტენტურ დახმარებას მიწევენ. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებებს მე ვიღებ. ასე რომ, ჩემს ფინანსებზე აბსოლუტური კონტროლი მაქვს.

**- ბოლოს: კიდევ გაქვთ შიშის გრძნობა თუ არა და, თუ გაქვთ, როგორ შეიცვალა ის თქვენი 12-წლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში?**

- გულახდილად რომ გითხრათ, შიშის გრძნობა დროთა განმავლობაში შემიმცირდა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ტრასები და მანქანები ბევრად უფრო უსაფრთხო გახდა.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც არასოდეს შეცვლილა - სიფრთხილე. მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერის მჯერა. ვფიქრობ, მოსახდენი აუცილებლად მოხდება.

## ფოლიანტი

იასონ ფირალიშვილი

### F1: ხუთი ყველაზე საინტერესო ჩემპიონატი

ჩვენი, შესაძლოა, სუბიექტური, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად კომპეტენტური მოსაზრებით შერჩეული ათი საუკეთესო ჩემპიონატის მეორე ხუთეული თითქმის მთლიანად ემთხვევა „დიდი ოთხეულის" - ფრანგი ალენ პროსტის, ბრიტანელი ნაიჯელ მენსელისა და ბრაზილიელების, აირტონ სენასა და ნელსონ პიკეს ხანას.

ეს, მართლაც, გამორჩეული ეპოქა იყო ფორმულა ერთში. ოთხი ჩემპიონი, რომლებსაც ერთმანეთთან არასოდეს უმეგობრიათ, თუმცა, უერთმანეთოდ საკუთარი დიდების ნაწილსაც ვერ მიაღწევდნენ. ოთხივეს უამრავი უარყოფითი თვისება ჰქონდა, მაგრამ ტრასაზე ისინი შეუდარებელნი იყვნენ.

და მთავარი: ამ ოთხეულიდან თუნდაც ორი სპორტში რომ არ ყოფილიყო, დღეს ყველაზე მეტი ტიტული ხუან მანუელ ფანხიოსა და მიხაელ შუმახერის კი არა, რომელიმე მათგანის იქნებოდა...

**1983**

ეს სეზონიც ისევე არეულად დაიწყო, როგორც წინა დასრულდა - პირველი 8 რბოლა 6 სხვადასხვა გუნდის შვიდმა პილოტმა მოიგო. ტიტულზე კი სამი გუნდის ოთხი პილოტი აცხადებდა პრეტენზიას.

საბოლოოდ, მათგან საუკეთესო გამოდგა ბრაზილიელი ნელსონ პიკე (ბრებჰემი), რომელმაც ორი ქულით აჯობა ფრანგ ალენ პროსტს (რენო). ეს იყო პირველი ჩემპიონატი, რომელშიც ტურბოკომპრესორიანი ძრავით (ბეემვე) აღჭურვილი ბოლიდით მოასპარეზე პილოტმა გაიმარჯვა.

**1986**

სეზონს სხვადასხვა სტადიაში ოთხი განსხვავებული ლიდერი (აირტონ სენა, ალენ პროსტი, ნაიჯელ მენსელი და ნელსონ პიკე) ჰყავდა. თავიდან გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ „უილიამსის" პიკესა და მენსელს, რომლებმაც სეზონში 9 რბოლა მოიგეს, მაგრამ ჩემპიონი მაინც პროსტი გახდა.

თავის მეორე ტიტულს ფრანგი უნდა უმადლოდეს „მაკლარენის" შეფს რონ დენისს, რომელმაც ბოლო რბოლის წინ სატყუარა ჩაუგდო მეტოქე გუნდს და ამით თავის ფავორიტს შანსი მისცა. შედეგად, ჩემპიონატის ლიდერმა, მენსელმა, გამსკდარი საბურავით დაასრულა რბოლა, პიკეს ბოქსში ზედმეტი ვიზიტი მოუხდა და ტიტული პროსტს დარჩა. სენამ სულ ორი რბოლა მოიგო, რვა პოულს დაეუფლა და ჩემპიონატში მეოთხე დარჩა.

**1988**

თითქოს ეს სეზონი არაფრით არ უნდა ყოფილიყო საინტერესო, მაგრამ „მაკლარენის" ორი პილოტის - სენასა და პროსტის უშელავათო პაექრობამ ის მაინც გამოარჩია. საბოლოოდ, პროსტმა თანაგუნდელზე მეტი ქულა კი მოიპოვა, მაგრამ, მოქმედი წესის მიხედვით, ჩემპიონატის ჩათვლაში 11 საუკეთესო შედეგი შედიოდა, უფრო მეტი ქულა სენას დარჩა და ჩემპიონიც (პირველად კარიერაში) ის გახდა.

**1990**

ისევ სენასა და პროსტის დუელი. თუმცა, ამჯერად ისინი სხვადასხვა გუნდში ასპარეზობდნენ - ბრაზილიელი „მაკლარენში" დარჩა, პროსტმა კი „ფერარის" ბოლიდი არჩია. პირადად მათი და მათი გუნდების ბრძოლა სეზონის ბოლომდე გაგრძელდა. წინ თითქმის ყოველთვის სენა იყო, პროსტი კი მდევრის როლში გამოვიდა.


*ეპოქის ოთხი სუპერპილოტი - სენა, პროსტი, მენსელი და პიკე*

ბოლო რბოლა, იაპონიის დიდი პრიზი, აღინიშნა „საუკუნის ტარანით", რომლითაც სენამ მეტოქეს 1989 წლის მსგავსი მანევრისთვის გადაუხადა სამაგიერო და მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

**1997**

მთელი სეზონის განმავლობაში პირველობისთვის იბრძოდა ორი პილოტი: კანადელი ჟაკ ვილნევი (უილიამსი) და გერმანელი მიხაელ შუმახერი (ფერარი). ხან ერთი იყო წინ, ხან - მეორე. ამასთან, თითქმის ყოველ კვალიფიკაციაზე პოულს პირველ 10-15 პილოტთან მხოლოდ წამი აშორებდა.

საინტერესო სეზონის აკორდი იყო ევროპის დიდი პრიზი, რომელსაც ესპანეთის სამხრეთში მდებარე „ხერეს დე ლა ფორნტერამ" უმასპინძლა. შუმახერმა „სენას ტარანის" გამოყენებით სცადა, მეტოქე გზიდან ჩამოეშორებინა, რაც მას ტიტულის მოპოვების შანსს აძლევდა, მაგრამ არ გაუვიდა და, საბოლოოდ, დისკვალიფიკაცია დასტყუა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას, ჩემპიონი კი ვილნევი გახდა.

კალათბურთი

# კრიმინალური ისტორია აივერსონის მონაწილეობით

*2000-2001 წლის სეზონში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიერ უძვირფასეს მოთამაშედ აღიარებულ "ფილადელფია სიქსერზის" მცველს ალენ აივერსონს კვლავაც სასამართლოში მოუწევს სიარული. არა, NBA-ს ვარსკვლავს ამჯერად არაფერი დაუშავებია, უბრალოდ, მისდა სავალალოდ, აღმოჩნდა იქ, სადაც შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. მორიგ კრიმინალურ ისტორიაში აივერსონი ფაქტის თვითმხილველია და, ბუნებრივია, მისგან, როგორც მოწმისგან, ჩვენებას ელიან.*

"ფილადელფია სიქსერზის" ვარსკვლავისთვის ალენ აივერსონისთვის მართლმსაჯულებასთან ურთიერთობა პირველი შემთხვევა როდია. აივერსონთან დაკავშირებით პირველი ფაქტი 1993 წელს გახმაურდა. მაშინ ჩხუბსა და აყალმაყალში მონაწილეობისთვის კალათბურთელს ვირის აბანოში ოთხი თვით უკრეს თავი. 1997 წელს კი მანქანაში არარეგისტრირებული პისტოლეტი და ორი სიგარეტი მარიხუანა აღმოუჩინეს. ყველაზე დიდ შარში შარშან, ზაფხულში გაეხვია, როდესაც კერძო საკუთრების ტერიტორიაზე შეჭრის, თავდასხმის, ფიზიკური ანგარიშსწორების, მუქარისა და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის 54-წლიან პატიმრობას გადაურჩა. ამჯერად აივერსონისგან ჩაშვებას, უფრო სწორად, ჩვენებას ითხოვენ.


REUTERS

*ალან აივერსონი*

საქმე ის არის, რომ აივერსონმა ჩვევას არ უღალატა და მორიგი მატჩის შემდეგ განსამუხტავად ღამის კლუბს მიაშურა. სად იყო და სად არა, ატყდა ერთი ბათქა-ბუთქი. სროლასა და გაუგებრობაში აივერსონის მეგობარი, ვინმე ლარი რობინსონი დაჭრეს. რობინსონმა შეატყო, რომ საქმე ცუდად იყო, აივერსონის ვერცხლისფერ "ბენტლის" ეცა და საკუთარი თავი საავადმყოფოში გააქანა. ექიმებმა დაადგინეს: აივერსონის მეგობარს ფეხის გამჭოლი ჭრილობა ჰქონდა. ამ დროს დამფრთხალი აივერსონი ბორდიურზე იდგა და ყოველივეს პირდაფჩენილი უცქერდა. ცოტა ხანში პოლიციელებიც გამოჩნდნენ და მას, როგორც ძვირფას თვითმხილველს, მოქალაქეობრივი ვალის შესასრულებლად, სასამართლოს მისამართი უთხრეს. საქმეს რამდენიმე დღეში განიხილავენ. მანამდე კი ტკბილეულობითა და ფუნთუშეულობით დატვირთული აივერსონი საავადმყოფოში მწოლიარე მეგობრის სანახავად დადის.

# ხორვატული ალიანსი

**"დინამო" ორივე ფრონტზე იგებს**

წარმატებული გამოდგა გუშინდელი დღე თბილისელი დინამოელებისთვის. ჯერ ფეხბურთელებმა დაამარცხეს "ლოკომოტივი", შემდეგ კი კალათბურთელებმა იმარჯვეს რუსთავში, "აზოტის" წინააღმდეგ - 93:90. დრომ მოიტანა და, ეროვნულ ჩემპიონატში საინტერესო და დაძაბული მატჩები თითზე ჩამოსათვლელია. გუშინ ერთ-ერთი ასეთი მატჩი გაიმართა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ვიცე-ჩემპიონი ხორვატმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა გამოიყვანა. გასულ კვირას ბრაიკოვიჩი გულმა შეაწუხა, თუმცა, ექიმებთან ვიზიტმა დაამშვიდა, საგანგაშო არაფერიაო და მანაც საქმიანობა განაგრძო. მშვენივრადაც: გუშინდელი მოგებით "დინამო" სატურნირო ცხრილის სათავეს დაუბრუნდა.

თავდაპირველად რუსთაველები ფლობდნენ უპირატესობას. მეექვსე წუთზე მასპინძელთა უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია, მაგრამ "დინამომ" მალე მოახერხა თამაშის გამოსწორება. ამაში დიდი წვლილი შეიტანა იოვან სიროვინამ. ტრავმით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ სერბი ნელ-ნელა იბრუნებს სათამაშო ფორმას. მეორე მეოთხედის მთავარი პერსონაჟი არჩილ ჟღენტი გახდა. დინამოელთა შემდგომი მოქმედებები მისი განეიტრალებისკენ იყო მიმართული. ვიცე-ჩემპიონი 11 ქულით დაწინაურდა. მატჩის მიწურულს გააქტიურებულმა მასპინძლებმა სცადეს, თამაში გადაერჩინათ, მაგრამ საამისოდ აღარც დრო ეყოთ და აღარც ძალა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 25 | 4 | + 591 | 54 |
| სტუ | 30 | 23 | 7 | + 466 | 53 |
| ბასკო | 28 | 22 | 6 | + 664 | 50 |
| თსუ | 30 | 18 | 12 | + 125 | 48 |
| აზოტი | 29 | 18 | 11 | + 76 | 47 |
| მაკაბი | 30 | 7 | 23 | - 541 | 37 |
| სსუ | 30 | 7 | 23 | - 605 | 37 |
| აკადემია | 30 | 6 | 24 | - 405 | 36 |
| ქუთაისი | 28 | 6 | 22 | - 371 | 34 |

**ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს**

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე

კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე
**www.idg-georgia.org.ge**
ან
თვით კავშირში
თბილისი, რუსთაველის **22**
ტელეფონი: **990037**
ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

**ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებული ორთვიანი კურსები პირველი მაისიდან.**
**ტელ:** 34-41-15, 34-67-50
etv@ip.osgf.ge

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9.00-დან 20.00-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს. ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა. საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41**
**69-94-27 ბელა.**

იყიდება 1,5-იანი სუფთა ბინა, გადაკეთებული 2 ოთახიანად. მე-9 სართული. ფასი 3300. ვარკეთილი, 2 მ/რ. 8(93) 32 06 72

იყიდება ან იცვლება თბილისში ბინაზე ხეხილიანი ნაკვეთი კოჯორში. 96 99 34 ნინო, ნუკრი

იყიდება ან იცვლება საცხოვრებელი 140 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ., 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება 11-ოთახიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი საბურთალოზე 400 000-ად ან ქირავდება უცხოელებზე 5 000-ად. 98 32 80

იყიდება "ყავლაშვილის" გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა 9(3) ბ/აირით მეუნარგიაზე. ფასი 14 000. 95 79 13

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული კერძო სახლი 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფ. გლდანში. 63 29 26

## კომერც. ფართი

ქირავდება რესტორანი ქალაქის ცენტრში, კარგ ადგილას. 99 52 73

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77;**
**93-16-11; 899 539097**

ქირავდება
4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ( პარლამენტის სახლში ) მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას.
32 03 71, 8(99) 29 88 05

შევასწავლი გერმანულ ენას.
32 03 71, 8(99) 29 88 05

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე.**
**ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442**

## სხვადასხვა

ვწვრთნი ძაღლებს. დავეხმარები დატოვება-შენახვაში. იყიდება გერმანული ნაგაზის ლეკვები, სტაფორშირტერიერის ლეკვები. ერთ თვეში გაიყიდება როტვეილერის ლეკვები. 897 575116

მესაჭიროება ა/მანქანის ძრავისა და სავალი ნაწილის პროფესიონალი ხელოსანი პრესტიჟულ ადგილას. 95 96 25, 78 08 82 (საღამოს)

იყიდება მხატვრული ლიტერატურა, მათ შორის ბავშვთა მსოფლიო ლიტერატურის 50-ტომეული, ახალთახალი წიგნები. 34 24 00

მოდელების სააგენტო "ფიესტა" იწვევს 10-დან 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს მანეკენებისა და ფოტომოდელების სტუდიაში. მიღება 14-დან 31 აპრილამდე. 38 59 71, 38 94 69







**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

**ტელ:** 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს ესაჭიროება ინგლისურის, კომპიუტერის და ინტერნეტში მუშაობის მცოდნე ექიმი. უზნაძის 68. 95 69 56

მაცივრებისა და კონდიციონერების შეკეთება გარანტიით. 53 32 19, 8(99) 91 71 34

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

**კაზინო "მუმიაა" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 216566**







# TV პროგრამა 16 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
14.50 ტელეკაზინო
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
19.50 ტელეკაზინო
22.00 ხალხის პირისპირ
22.45 ტელეკაზინო
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „სამი იქსი" მთ.რ-ში ვან დიზელი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა"
11.15 მრავალჟამიერ
11.40 ტელესერიალი „ქილის წინ"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი „ტაში ცალი ხელით"
16.40 ქართული სიმფონიური მუსიკა
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „მათი შვილები" გია აბულაძე
22.35 ტელესერიალი „ქილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „პოლიციელის სიტყვა"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „გალაქტიკის ძიებაში"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „ლამაზმანი"
01.40 ფილმი ღამურა „გაურკვეველ მდგომარეობაში"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „როგორც ლურჯა ცხენები"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ტრასა 60"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „იუბილარი"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „კისრისტეხით"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ჭაბუკი გიშტიდან"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სატელევიზიო ფილმი
20.30 მულტფილმი
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 თინეიჯერი
23.30 მუსიკალური პაუზა
23.45 ტელესერიალი „ყავახანა"
00.00 მხ. ფილმი „ოქროს მილიონი დოლარი"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ. ფილმი „დიდი იმედები"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „ანგარიშსწორება"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „სახიფათო ზონა"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ალყაშემორტყმულები"

### იმედი

17.00, 17.56, 20.57, 01.00 ახალი ამბების დაიჯესტი
17.05, 01.05 იმედის მელოდიები
18.00 სერიალი „იუდას ქალი" მე-5 ს.
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 „არტ-ბულვარი"
21.00 სერიალი „მოქალაქე უფროსი"
22.45 ფანების კინოკლუბი „სხვები" (ნ. კიდმანი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საბავშვო ფილმი „ოქროს კულულები"
11.05 დრამა „საზღვარი" 3 ს.
12.15 კომედია „ცრუმაგიერი პირი"
14.00 დოკუმენტური ფილმი
14.35 ისტორიული ფილმი „ფარიკაობის მასწავლებელი"
16.15 მულტფილმი
17.15 ვესთერნი „ახალგაზრდა მსროლელები"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი"
19.35, 22.35 „პრესდაიჯესტი"
19.40, 00.55, 03.20 მუსიკა
20.15 სათავგადასავლო ფილმი „იასონი და არგონავტები"
23.00 „ალტერნატივა"
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.20 კომედია „სადა ხარ ძმაო"
03.55 მხატვრული ფილმი „ამერიკელი პრეზიდენტი"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -გამეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „ბიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 კომპიუტერული ტექნიკა
22.40 მელოდია
23.00 „კინოკლუბი „ - „ყორანის ჩრდილი". ისტორიული.
01.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.25 „ბიორითმი" - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 „Земля любви, земля надежды"
11.10, 22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „ПРОЩАЛЬНЫЕ ГАСТРОЛИ"
14.40 „Непутевые заметки" с Дм. Крыловым
15.00 „Новый день". „Русский экстрим"
15.30 „Новый день". „Неизвестная планета"
16.20 Детектив „ОТЕЛЬ „БЕРТРАМ" 2-я ч.
18.00 „Большая стирка"
19.30 Смехопанорама
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
23.45 Док. сериал „Звездный отряд"
01.10 „Новый день". „Сканер".
01.40 „Новый день". „Гении и злодеи". Илья Мечников.
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"
04.05 Худ. фильм „УДАР БЛОНДИНКИ"
06.05 „ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „РУССКИЕ АМАЗОНКИ"
10.40, 23.00 Сериал „ТАЙГА"
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 04.25 Агентство одиноких сердец
18.50, 03.20 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
00.40 Худ. фильм „ЗАГАДОЧНЫЙ НАСЛЕДНИК"
03.35 „ТВИН ПИКС"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.20 „Внимание розыск!"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Растительная жизнь". Владимир Кузьмин.
12.35 „Вы будете смеяться"
13.05 Детектив „ЛАБОРАТОРИЯ „КРАСОТКА"
14.50 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Чистосердечное признание
20.35, 00.25 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.30 Гордон
02.30 „Доктор"
03.15 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სოლო კონცერტი
დას: 19:00 სთ; ფასი 8,10,15 ლარი

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვალერიანო გამგებლის გასტროლი (ესპანეთი)
ჯუზეპე ვერდი "ბალ-მასკარადი", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**„ქარვასლა"**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
ბესა და ლაშა, გრაფიკა და კოლაჟები

**ეროვნული გალერეა**
ომარ ჩუბინიძის მემორიალური გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"რვა მილი"
დას: 15:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6-8 ლარი
ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
დას: 17:30; ფასი 5,6 ლარი

**„რუსთაველი"**
"ჩიკაგო"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 17:30; 21:45 სთ; ფასი 5,9 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი



# http://www.ჩვენ გვიყვარს ერაყის ინფორმაციის მინისტრი.com

თამარ ბაბუაძე

ერაყის დაბომბვები ის-ის იყო, იწყებოდა, რომ ხელების ფშვნეტით წარმოთქმული ერთი ასეთი ფრაზა მოვისმინე: "ეხლა წავალ, ლუდს მოვიმარაგებ, CNN-ს ჩავრთავ და მერე პირდაპირ ეთერში ომს ვუყურებო". თუმცა, რა გულქვაა-მეთქი, ამ ფრაზის ავტორზე ნამდვილად არ მიფიქრია. რა მისი ბრალია – ტელევიზიამ ხომ სამხედრო ოპერაცია მთელ მსოფლიოს, მართლაც, პირდაპირ ეთერში აყურებინა, რითაც ისეთი დიდი ტრაგედიაც კი, როგორიც ომია, ერთ დიდ შოუდ აქცია; ტელე-სერიალად, რომელიც აუცილებლად სანახავია, რომლის არც ერთი ეპიზოდიც არ უნდა გამოგრჩეს, თორემ შემდეგ სერიას ვეღარ გაიგებ.

პუბლიკაც დაინტრიგდა. საინფორმაციო სააგენტოებში გაჩნდა ასეთი სათაურები: მაყურებელმა აღარ იცის, როდის გამორთოს ტელევიზორი; ვეღარ ხვდება, როდის დაწვეს დასაძინებლად; ჰგონია, ეკრანს, რომ მოსცილდეს ერაყში რაღაც უმნიშვნელოვანესი მის გარეშე მოხდება...

თუმცა, მასობრივი ისტერიკა მაინც არ ამტყდარა. მეტიც, დღე დღეს მისდევდა, ერაყში სიტუაცია სულ უფრო მწვავდებოდა, მაგრამ CNN-ზე "შემჯდარი" პუბლიკა პირდაპირ ეთერში მიმდინარე ომს ხალისითაც კი ადევნებდა თვალს. მიზეზი ერთი ბერეტიანი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბაღდადელი კაცი გახლდათ, რომელსაც ინფორმაციის მინისტრს ეძახდნენ. ის ყოველ დღე თავს უყრიდა ჟურნალისტებს, სათვალეს ირგებდა და პათეტიკური სახით ჰყვებოდა ზღაპრებს: კოალიციის ჯარები ალყაში არიან, ჯარისკაცებს მალე საკუთარ სისხლში აბანავებენ, მათი ბაღდადში გამოგზავნა იგივე იყო, რაც გაზის კამერაში შეშვება და ა.შ.

პენტაგონი და ტელე-აუდიტორია თავიდან დაიბნა. ტელევიზიებიც სხვადასხვა სააგენტოებზე დაყრდნობით ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს ავრცელებდნენ. თუმცა, ღიმილმა დაბნეულობა უმალ შეცვალა, როდესაც გაირკვა, რომ ერაყის ინფორმაციის მინისტრს სულ სხვა რეალობის მიუხედავად, უბრალოდ, ასე სჯეროდა.

...ყველა ომს ჰყავს თავისი გმირები; ადამიანები, რომლებიც სწორედ ომის გამო ხდებიან პოპულარულები. ერაყის ომში, ბუში-ბლერი დუეტისა და აშშ-ს ადმინისტრაციის გარდა, მთელმა მსოფლიომ ასევე გაიცნო: რამდენიმე ამერიკელი და ბრიტანელი გენერალი, ერაყელების ტყვეობიდან დახსნილი გოგონა, ჯესიკა ლინჩი (რომლის ისტორიასაც მალე ფილმად აქცევენ) და სწორედ ზემოთხსენებული მინისტრი. თუმცა, ამ უკანასკნელს მხოლოდ ომის რიგით სახეს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. თუ შეიძლება, რომ სამხედრო ოპერაციებს ჰყავდეს თავისი კოლორიტი, მუჰამედ საედ ალ-საჰაფი სწორედ ის გახლავთ.

ფაქტობრივად, ზუსტად ალ-საჰიფის სალაღობოდ ქცეულმა პრესბრიფინგებმა გაანეიტრალა ის შოკის მომგვრელი სიახლე, რასაც ომი პირდაპირ ეთერში ერქვა. ინფორმაციის მინისტრის თითოეული გამოსვლა ხომ თვით საომარ მოქმედებებსაც ანეიტრალებდა. მეტიც, მათ კომიკურ ელფერს ანიჭებდა. და ახლა, როდესაც ეს გლობალური ტელე-სანახაობა დასასრულს მიუახლოვდა და ინფორმაციის მინისტრი სადღაც გაუჩინარდა, მის თითოეულ ფრაზას მეტი ფასი დაედო, მისი თითოეული ყოვლად უტოპიური გამოსვლა კიდევ უფრო უტოპიური და კომიკური გამოჩნდა. ამავე დროს, გაირკვა, რომ მსოფლიოს ეს კაცი ძალიან შეჰყვარებია; ისე ძალიან, რომ განუზრახავს, მისი პერსონა ვირტუალურ სამყაროშიც უკვადავეყო:

ინტერნეტ-საიტი http://www.welovetheiraqiinformationminister.com (ქართულად: ჩვენ გვიყვარს ერაყის ინფორმაციის მინისტრი) სწორედ მინისტრისადმი ცინიკური სიყვარულით არის განმსჭვალული და ალ-საჰაფის პრესზღაპრების უდიდეს კოლექციას შეიცავს. ბაღდადის აღების პირველ დღეებში ის ინტერნეტში ყველაზე პოპულარული მისამართი გახლდათ. გვერდი ყოველწამიერად 4 ათასამდე მნახველს იღებდა. მაგრამ რადგანაც ვებ-საიტი ერთდროულად ამდენი სტუმრის მიღებაზე გათვლილი არ გახლდათ, ორგანიზატორებს მისი ორიოდე დღით დახურვა მოუხდათ. თუმცა, საიტი უკვე გამართულია, მშვენივრად მუშაობს და დღესდღეობით ინფორმაციის მინისტრის ყველაზე დიდ ფან-კლუბს წარმოადგენს. ბოლო, გუშინდელი ინფორმაცია საიტიდან ასეთია: "15 აპრილი: მუჰამედ სიედ ალ-საჰაფი კვლავაც არსად ჩანს. "დეილი ტელეგრაფის" ცნობით მისი ვაჟი ირლანდიაში ცხოვრობს და ექიმი გახლავთ. "მამაჩემი კარგი კაცია, - აცხადებს ექიმი ალ-საჰაფი, - როდესაც ის შინ ბრუნდება და სამხედრო ფორმას იხდის, ჩვენ მის სამსახურზე აღარ ვსაუბრობთ"...

საიტის ორგანიზატორების თქმით, ჰოლივუდში სერიალს გადაიღებენ, რომელსაც "მინისტრი" ერქმევა. მთავარ როლს, მათი აზრით, სიდნი პოლაკი შეასრულებს. იქვე იყიდება მაისურები, ჭიქები და წინსაფრები, რომელთაც მინისტრის ცნობილი ფრაზები ამშვენებთ. ვებგვერდზე, რომელსაც უკვე მთელი მსოფლიო სტუმრობს, დიდ ფორუმსაც ნახავთ. იქ საიტის მნახველები ენაკვიმატობენ და ინფორმაციის მინისტრის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებსა და ინიციატივებს აქვეყნებენ. ზოგი ტერმინის "ალ-საჰაფიზმის" დამკვიდრებას და ახალი ზმნის – "ალ-საჰაფობის" შემოღებას ითხოვს; თუ ასეც მოხდა, ადამიანზე, რომელსაც შეუძლია მინისტრივით პათეტიკურად და დამაჯერებლად იცრუოს, იტყვიან: " ეს კაცი როგორ ალ-საჰაფობს!"...

საიტის ერთ-ერთი სტუმარი კი წარმოიდგენს, რომ ინფორმაციის მინისტრი თვითონაა და მსოფლიოს მისი სახელით ასეთ ცნობას უგზავნის: "ეხლა ფლორიდაში ვარ. "დისნეილენდს" ვსტუმრობ. აქ ამერიკელები არ არიან. მხოლოდ იმას ვხედავ, თუ როგორ იკლავენ თავს ანიმაციური ფილმების პერსონაჟები, თანაც ათასობით მათგანი. ერაყის მოსალოდნელი თავდასხმის წარმოდგენაზე ისინი ცახცახებენ და შიშისგან ქვედა საცვლებს ასველებენ. ჩვენ გავიმარჯვებთ. ეს წინასწარმეტყველებაა, რომელიც ასრულდება. ეხლა უნდა წავიდე. ჩემი საყვარელი ფილმი "რიგითი რაიანის გადარჩენა ჩაიშალა" უნდა ვნახო. კარგად მენახეთ. რა თქმა უნდა, ჩემი ჰოტმეილის ელექტრონული ფოსტიდან გწერთ".

ასე რომ, კაცი, რომელიც წესით ანტი-გმირი უნდა გამხდარიყო, ერაყული სამხედრო ოპერაციის მთავარი და თან სრულიად დადებითი პერსონაჟი გახდა; გმირი, რომელიც ყველაზე ანტი-ერაყულად განწყობილმა ამერიკელებმაც კი შეიყვარეს. შესაბამისად, მისი ინტერნეტ-საიტი კვალავაც ერთ-ერთ ყველაზე სტუმართმოყვარე ვირტუალურ მისამართად რჩება. არადა, ვებ-გვერდი ალასკელმა მეგობრებმა ხუმრობა-ხუმრობით მხოლოდ საკუთარი ვიწრო წრისთვის შექმნეს. "მეგობარს ვუთხარი, ეს ტიპი იმდენად ურცხვად ცრუობს, რომ მგონი, მართობს კიდეც", - იგონებს კირენ მალვენი. სამიოდე დღეში მათ ყველაფერი მოამზადეს, გვერდი ინტერნეტში განათავსეს და ამის შესახებ მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებს შეატყობინეს. თუმცა, ინფორმაციის მინისტრის პოპულარობიდან გამომდინარე, მალე ამ მისამართს მთელი მსოფლიო მიაწყდა. მალვენის თქმით, მათ პენტაგონიდანაც დაუკავშირდნენ და უთხრეს: "ეს კაცი ძალიან მოგვწონს. მოგვენატრება კიდეც". ალასკელებიც ამბობენ: "იმედი გვაქვს, რომ ის ცოცხალია და იცის, თუ როგორი პოპულარული გახდა". და ბოლოს, ღიმილის კიდევ ერთხელ მოსაგვრელად ინფორმაციის მინისტრის უკანასკნელი განცხადება გავიხსენოთ, რომელიც მან ბაღდადის დაცემამდე ერთი დღით ადრე გაავრცელა: "ისინი ისტერიკაში არიან. ფიქრობენ, რომ უბრალო მოქალაქეების დახოცვით გაიმარჯვებენ. არა, ეს ბოროტმოქმედები საბოლოოდ მაინც ვერ იზეიმებენ".

***P.S.*** *უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ალ-საჰიფი, შესაძლოა, ცოცხალი აღარც არის. არსებობს ეჭვი რომ მან თავი მოიკლა.*

## ისტორიული ფაქტები მინისტრის ინტერპრეტაციით



*მინისტრი ვატერლოოს ბრძოლიდან:*
*"იმპერატორმა ნაპოლეონმა, ღმერთმა ადიდოს მისი სახელი, ბრიტანელ ანგარებიან ძაღლებს ყელი გამოჭრა. ლონდონს უკვე ალყაში ვაქცევთ. ეს, უბრალოდ, სიმართლეა, გაუმარჯოს საფრანგეთს!"*



*მინისტრი და წმინდა გრაალი:*
*"შავმა რაინდმა, დიდება მის სახელს, ურწმუნო არტური სიცოცხლეს სასტიკად გამოასალმა. ის ახლა ჭოჭოხეთის ცეცხლში იწვის. ახლა კი, როდესაც მე თქვენ გესაუბრებით, შავი რაინდი მრგვალ მაგიდას უზის და სადილს მიირთმევს".*



*მინისტრი ნორმანდიის გათავისუფლებისას:*
*"ამერიკელები? რა ამერიკელები? საფრანგეთში არავითარი ამერიკელი ურწმუნოები არ არიან. არასოდეს!"*

http://www.we-lovetheiraqiinformationminister.com

# სიდნეის ოპერის ავტორს პრიტცკერის პრემია გადასცეს

ნინო ჟანიშვილი

სიდნეის საოპერო თეატრის შენობას, თავისი განუმეორებელი იერის წყალობით, სხვადასხვა პოპულარულ გამოცემებში მსოფლიოს არქიტექტურულ შედევრებს შორის საპატიო ადგილი უკავია. იგი უკვე დიდი ხანია იქცა არა მარტო სიდნეის, არამედ მთლიანად ავსტრალიის სიმბოლოდ.

აპრილის დასაწყისში, ლოს ანჯელესში გამოცხადდა, რომ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ არქიტექტურულ პრემიას (პრიტცკერის პრემიას) გადასცემენ სიდნეის საოპერო თეატრის შენობის ავტორს, 85 წლის დანიელ არქიტექტორს, იორნ ატცონს. ჟიურის თავმჯდომარემ, ამერიკელმა არქიტექტორმა ფრენკ გერიმ განაცხადა, რომ, "შესანიშნავი და მიუღწეველი შეიძლება მიღწეულ იქნას არქიტექტურაში". პრიტცკერის პრემია 1979 წელს დაარსდა. მისი მფლობელები ფრენკ გერი, რენცო პიანო და რემ კულჰასი არიან.

ამჟამად იორნ ატცონი მეუღლესთან ერთად მაიორკაზე ცხოვრობს. როგორც მისმა შვილმა, არქიტექტორმა და მამის საქმიანმა პარტნიორმა, იან ატცონმა განაცხადა, არქიტექტორს ძალიან გაეხარდა, როცა გაიგო, რომ, პრიზად 100 ათას დოლარს და ბრინჯაოს მედალს მიიღებს. თავად ატცონი 20 მაისს მადრიდში, დაჯილდოების ცერემონიალზე ჩასვლას არ აპირებს - პრიზის ასაღებად შვილს გააგზავნის.

დანიაში ზღვის სანაპიროზე გაზრდილმა ატცონმა 1937 წელს დანიის სამეფო აკადემიაში ჩააბარა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როცა ევროპის ქალაქებში მშენებლობა გაჩაღდა, ატცონი სხვადასხვა არქიტექტურულ კონკურსებში მონაწილეობდა. როცა 1954 წელს სიდნეის საოპერო თეატრის პროექტზე კონკურსი გამოცხადდა, თავისი ნამუშევარი 29 წლის ატცონმაც გააგზავნა. კონკურსში 233 არქიტექტორი მონაწილეობდა 32 ქვეყნიდან. სხვა მონაწილეებივით ატცონსაც არ ჰქონდა ნანახი ის ადგილი, სადაც ოპერა უნდა აშენებულიყო და მხოლოდ ფოტოებით იცნობდა. პროექტზე მუშაობისას იგი სიდნეის პორტში მდგომი იახტების იალქნების ცქერით ტკბებოდა და თან აგონდებოდა აცტეკებისა და მაიას ტაძრები, რომლებიც მექსიკაში ენახა. საბოლოოდ იორნ ატცონის მეტად გაბედულმა და უცნაურმა პროექტმა დიდი კამათი გამოიწვია საერთაშორისო ჟიურის წევრებს შორის. აღშფოთებას იწვევდა ატცონის უცნაური ფორმის თაღები, რომლებიც, თითქმის, 60 მეტრის სიმაღლე იყო. ატცონის იდეის რეალიზება ტექნიკური თვალსაზრისითაც ძალიან რთული ჩანდა. ისე კი, დანარჩენ პროექტებს შორის მკვეთრად გამოირჩეოდა და ყველაზე ორიგინალური იყო.

მშენებლობა, რომლის ღირებულება 7 მილიონ დოლარად შეფასდა, 1963 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ოპერის მშენებლობას ათი წლით მეტი დასჭირდა და 100 მილიონი დოლარი დაჯდა. თავისი ქმნილება ატცონს დასრულებული სახით არასდროს უნახავს - 1966 წელს, ტექნიკური და ფინანსური პრობლემების გამო, იგი მშენებლობის პროცესს გამოეთიშა. მისი დაწყებული საქმე ავსტრალიელმა არქიტექტორებმა გააგრძელეს, რომლებმაც, გარკვეულწილად, შეცვალეს კიდეც მისი პროექტი.

სიდნეის საოპერო თეატრი ოფიციალურად 1973 წლის 20 ოქტომბერს გაიხსნა - პროკოფიევის ოპერით "ომი და მშვიდობა". საზეიმო ცერემონიალს ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ მეორე ესწრებოდა. გახსნაზე ატცონიც მიიწვიეს, მაგრამ არქიტექტორი სიდნეიში არ ჩავიდა.

ბეტონისა და მინისგან კონსტრუირებულ სიდნეის ოპერას, რომელსაც ხან სიურეალისტურ გედს, ხან კი ოკეანის ნიჟარას ადარებენ, 2,2-ჰექტარიანი მოედანი უკავია.

ოპერის ინტერიერის სტილს არქიტექტურაში "კოსმოსური ერის გოთიკა" უწოდეს; აქ კიდია მსოფლიოში ყველაზე დიდი თეატრალური ფარდა; თეატრის მექანიკური ორღანიც ყველაზე დიდია მსოფლიოში. საოპერო დარბაზი 1 550 ადამიანს იტევს, საკონცერტო კი – 2 700-ს.

სკანდალის შემდეგ დანიაში დაბრუნებული ატცონი შეკვეთებს იშვიათად იღებდა - უმეტესად პედაგოგობა უწევდა და ჰავაის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მისი პროექტით აშენდა ახალი ეკლესია კოპენჰაგენის მახლობლად და კუვეიტის ნაციონალური ასამბლეის შენობა, რომელიც 1991 ომის დროს ძლიერ დაზიანდა.

ამჟამად ატცონი დათანხმდა, თავის შვილთან ერთად იმუშაოს სიდნეის ოპერის ინტერიერის განახლებაზე. ოპერის კედლებს უფრო სადღესასწაულო იერი მიეცემა - ისეთი, როგორც მას თავის დროზე ჰქონდა ჩაფიქრებული.



იორნ ატცონი



სიდნეის ოპერა

# ანდერსენის ზღაპრული სამყარო

### 16 აპრილი - დანიის ეროვნული დღესასწაულია

ეკა გვახარია

**დანია** – მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. სკანდინავიის ქვეყნებს შორის ის ყველაზე პატარაა.

**ტერიტორია** – 43094 კვ.კმ.

**დედაქალაქი** – კოპენჰაგენი.

**სახელმწიფო წყობა** – კონსტიტუციური მონარქია.

**მოსახლეობა** – 5 მილიონ 368 ათას 854; დანიელები (98 პროცენტი).

**ფულის ერთეული** – დანიური კრონა.

**რელიგია** – ლუთერანული რწმენის მიმდევრები.


ქალთევზა - კოპენჰაგენის სიმბოლო


კოპენჰაგენის არხი

გერდა, კაი და ბოროტი თოვლის დედოფალი, პატარა ქალთევზა, რომელიც ზღვის ქაფად გადაიქცა, კალის ჯარისკაცი, რომელსაც ქაღალდის ბალერინა შეუყვარდა, ლამაზი ელიზა, რომელიც ძმები-გედების გადასარჩენად ჭინჭრის პერანგებს ქსოვდა, პრინცესა მუხუდოს მარცვალზე, მახინჯი იხვის ჭუჭული, რომელიც ულამაზეს გედად გადაიქცა... ამ ზღაპრებზე არაერთი თაობა აღიზარდა, მაგრამ ცოტამ თუ იცის მათი ავტორის, დანიელი მეზღაპრის ჰანს ქრისტიან ანდერსენის ცხოვრების შესახებ. ჰანს ქრისტიანი დაიბადა ქალაქ ოდენსეში (კუნძული ფიონია, დანია) 1805 წელის 2 აპრილს. თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში "ზღაპარი ჩემი ცხოვრებისა" ასე აღწერს ამ ამბავს: "1805 წელს ქალაქ ოდენსეში, ერთ პატარა ფიცრულში ცხოვრობდა ახალგაზრდა, ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ცოლ-ქმარი. ქმარი მეწაღე იყო. სახელოსნო და სახლი თავისი ხელით ჰქონდა მოწყობილი, ლოგინიც კი მისი გაკეთებული იყო, სწორედ ამ ლოგინზე 2 აპრილს დავიბადე მე, ჰანს ქრისტიან ანდერსენი." ჰანსი ერთადერთი ბავშვი იყო ოჯახში, მიუხედავად სიღარიბისა, მშობლები ძალიან ანებივრებდნენ:

"დედისაგან ხშირად მსმენია, უბედნიერესი ბავშვი ხარო. თავად დედაჩემს პატარაობაში სახლიდან აგდებდნენ და ძალით ამათხოვრებდნენ, ის ხშირად ხიდის ქვეშ ემალებოდა ყველას. როდესაც დედა ამ ამბებს მიყვებოდა, მახსოვს ცხარე ცრემლებით ვტიროდი. მე, მართლაც, უკეთესად ვიზრდებოდი..." - იხსენებს ანდერსენი. მამა ხშირად ასეირნებდა შვილს, ხმამაღლა უკითხავდა წიგნებს, უნდოდა პატარა ჰანსისათვის უკეთესი მომავალი შეექმნა და ოცნებობდა ლამაზ, ვარდებით მორთულ სახლზე. მოგვიანებით ასეთი სახლი ანდერსენს არაერთ ზღაპარში აქვს აღწერილი. ჰანს ქრისტიანი ბავშვობიდანვე ემოციური ხასიათით გამოირჩეოდა. ყველაზე უმნიშვნელო შთაბეჭდილებები დიდ კვალს ტოვებდნენ მასზე: "მახსოვს ერთი მოვლენა, ექვსი წლის ვიყავი, 1811 წელს გამოჩნდა კომეტა, ამბობდნენ დედამიწას დაეჯახება და ნაფლეთებად აქცევს, ან რაიმე სხვა უბედურება დაგვატყდება თავსო, ამ თემაზე ნათქვამ ყველანაირ ჭორს ვუგდებდი ყურს და ცრურწმენამ ისეთივე ფესვები გაიდგა ჩემში, როგორც ნამდვილმა რწმენამ," - იხსენებს ჰანსი. ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა, დედა იძულებული გახდა სამრეცხაოში დაეწყო მუშაობა, ამ პერიოდში პატარა მეზღაპრე მარტო იყო სახლში და თავისივე მოფიქრებულ სიუჟეტებზე მამის გაკეთებული თოჯინებით სპექტაკლებს დგამდა. მათ მეზობლად ერთი ოჯახი ცხოვრობდა, სწორედ ისინი იყვნენ ჰანსის პირველი მაყურებლები: "ამ სახლში, ბუკენფოლდებთან, პირველად გავიგე სიტყვა პოეტი, პირველად გავეცანი შექსპირს,"- წერს ანდერსენი.

დიდი ფანტაზიის მქონე, ძალიან გამხდარი, ცისფერთვალება ჰანს ქრისტიანი სკოლაში არაჩვეულებრივი თხრობის უნარით გამოირჩეოდა: "ძალიან მიყვარდა წარმოუდგენელი ამბების მოყოლა მეგობრებშიც, ამ ამბების მთავარი გმირი, რასაკვირველია, თავად ვიყავი," - იხსენებს ჰანსი, რის გამოც ხშირად დაცინვის ობიექტი ხდებოდა. "ფანტაზიორრო!"- ეძახდნენ მას და პატარა ანდერსენი ტირილით ბრუნდებოდა სახლში. როდესაც ცოტათი წამოიზარდა, დედას სურდა ის თერძისათვის მიებარებინა, რათა როგორმე დავიწყებოდა ბავშვური ფანტაზიები და ხელობისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ ჰანს ქრისტიანს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა – კოპენჰაგენში გამგზავრება, "როდესაც დედამ მკითხა, რა უნდა ქნა უცხო ქალაქში? ვუპასუხე: უნდა გასახელო, შენ ჩემით იამაყებ-მეთქი," – იხსენებს ჰანს ქრისტიანი - "ჩემი გამგზავრების დღეს მზიანი ამინდი იყო. მიხაროდა, რომ მივდიოდი, მაგრამ როდესაც გემი დაიძრა, რაც უფრო ვშორდებოდი მშობლიურ კუნძულს, სულ უფრო და უფრო ვგრძნობდი მარტოობას და უმწეობას, გარშემო არავინ იყო, ვისი იმედიც შეიძლება მქონოდა, გარდა ღმერთისა...".

მრავალი ძიებისა და მუშაობის შედეგად ჰანს ქრისტიანმა მაინც იპოვა თავისი მოწოდება და წერა დაიწყო, რამაც სახელი გაუთქვა კოპენჰაგენში. მას შექმნილი აქვს პროზაული ნაწარმოებები: "ქვეითად მოგზაურობა ჰოლმენარხიდან კუნძულ ამაგერის აღმოსავლეთ კონცხამდე", "ჩრდილოვანი სურათები ანუ მოგზაურობა ჰარცზე", "სურათებიანი წიგნი, უსურათოდ", რომანები: "იმპროვიზატორი", "მხოლოდ მევიოლინე", "ორი ბარონესა", დრამა " მულატი", რომელიც წარმატებულად იდგმებოდა სხვადასხვა სცენებზე. ზღაპრების წერა მან ცოტა მოგვიანებით დაიწყო. კრიტიკა თავიდან უარყოფითად შეხვდა მის ამ გატაცებას. მაგრამ შემდგომში სწორედ ამან მოუტანა დიდი პოპულარობა. მისი ზღაპრების გამოცემები ძალიან სწრაფად იყიდებოდა, ხალხმა ზეპირად იცოდა ისინი. მისი გმირები უსაყვარლეს გმირებად იქცნენ.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი თავის სიცოცხლეშივე მოესწრო საკუთარი ძეგლის გახსნას მშობლიურ ქალაქ ოდენსეში. თუმცა, თავად მწერალი უფრო დიდ საჩუქრად პატარა, ღარიბი გოგოსა და ბიჭისგან ნაჩუქარ კალის ჯარისკაცს და ვარდის ფურცლებს თვლიდა, რომელსაც მთელი ცხოვრება თავის სკივრში ინახავდა. ის ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1875 წლის 4 აგვისტოს გარდაიცვალა. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე დიდი მეზღაპრე, ყველა თაობის ბავშვების უსაყვარლესი მეზღაპრე, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ საკუთარი შვილები არ ჰყოლია.


ჰანს ქრისტიან ანდერსენი

## კროსვორდი







# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში